ლელო
პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 ივნისი პარასკევი 2010
№ 129 (13 117) ფასი 60 თეთრი



მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა

**7** დღე

# ბენიტესი გადადგა



## შემდეგი გაჩერება ინტერი?

## ვის ელოდებიან ლივერპულში?

» გვერდი 8



## რა გამოჩნდა ბრაზილიაში?

*ინტერვიუ გურამ მოდებაძესთან*

ძიუდო » გვერდი 11



» გვერდი 6

## ფიორენტინაში მიხაილოვიჩი დაინიშნა



გიორგი ცინცაძე

## მთავარია, საქმეს გულით მოეკიდოს...

» გვერდი 12





შაბათის ნომერში

საჩუქარი ლელოს მკითხველს

მუნდიალის პლაკატი-გზამკვლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

მოულოდნელი ტრანსფერი



შოთა არველაძე



ალექსანდრე ამისულაშვილი

# ამისულაშვილი თურქეთისკენ იხრება

საქართველოს ნაკრებისა და ნალჩიკის „სპარტაკის" მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილით** რამდენი კლუბი რომ არის დაინტერესებული, ეს უკვე არახალია. ქართველი მცველის მსურველთა შორის სამარის „კრილიაც" დასახელდა. უფრო მეტიც, სამარელთა გუნდის თავკაცმა **იური გაზაევმა** კლუბის ხელმძღვანელობას პირდაპირ დაავალა ამისულაშვილის ტრანსფერზე მუშაობა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამისულაშვილის დამატებით სერიოზულად არის დაინტერესებული თურქული „ქაისერისფორი", რომლის მთავარი მწვრთნელიც **შოთა არველაძეა**. ჩვენი ინფორმაციით, ამისულაშვილი სწორედ თურქული ვარიანტისკენ იხრება. რუსულ ვებგვერდებზე გავრცელებული ცნობის თანახმად, ქართველი მცველი „კრილიაში" გადასვლისგან თავს იკავებს. სამარელთა კლუბის პრეზიდენტი **ვიქტორ რაზვეევი** რუსულ პრესას „კრილიას" სატრანსფერო გეგმებზე ესაუბრა. მან ამისულაშვილიც ახსენა. მისი თქმით, ქართველი მცველის აგენტმა სამარელთა წინადადება მიიღო და სამდღიანი ტაიმ-აუტი ითხოვა. მას მერე მხარეებს შორის კონტაქტი აღარ ყოფილა.

ჩვენი ინფორმაციით, თურქულ სუპერლიგაში სატრანსფერო პერიოდი ოფიციალურად 10 ივნისს იხსნება და ამჟამინდელი ვითარების მიხედვით, დიდი შანსია, ამ თვის ბოლომდე ამისულაშვილმა „ქაისერისფორთან" კონტრაქტი გააფორმოს.

შოთა არველაძე ამისულაშვილისა და **ლადო დვალიშვილთან** ერთად, შოტლანდიის ნაკრებისა და გლაზგოს „რეინჯერსის" ფორვარდ **კრის ბოიდის** გადაბირებისთვისაც ირჯება. ქაისერელთა გუნდის ქართველი მწვრთნელი, ორიოდე დღის წინ, ტელეფონით ესაუბრა ბოიდს, მერე კი ბრიტანულ chroniclelive.co.uk-ის შემდეგი უთხრა:

*„ზოგი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ სასურველ ფეხბურთელთან კლუბის რომელიმე ხელმძღვანელის ან სპორტული დირექტორის მეშვეობით აწარმოოს მოლაპარაკება. მე სხვაგვარად ვფიქრობ. ჩემი აზრით, უმჯობესია სასურველ მოთამაშეს პირადად მწვრთნელი დაელაპარაკოს და აუხსნას, თუ რატომ უნდა მისი აყვანა, რას მოითხოვს მისგან და რა მისია დაეკისრება გუნდში. კრის ბოიდს ტელეფონით პირადად ვესაუბრე და ჩემი გეგმები გავაცანი. მას კიდევ დავუკავშირდები და მერე შევხვდები კიდეც. ბოიდი გამორჩეული ფორვარდია და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. „ქაისერისფორის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნისთანავე, პირველ რიგში სწორედ ბოიდის დამატება გადავწყვიტე. ბოიდთან პირადი ნაცნობობა მაკავშირებს და იმედი მაქვს, ეს ურთიერთობა ამ ტრანსფერის დადებითად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს".*

ბოლოს კი დავძენთ, რომ შოთა კიევიდან (სადაც PRO -კატეგორიის სამწვრთნელო სერთიფიკატის მისაღებად სემინარებს დაესწრო) ამსტერდამში დაბრუნდა, საიდანაც გუშინ საფრანგეთს მიაშურა. სარწმუნო წყაროს ცნობით, შოთა იქ სწორედ ბოიდს შეხვდება და შესაძლოა, შოტლანდიელი ფორვარდის ტრანსფერის საკითხიც ამ დღეებში გადაწყდეს.

**დავით ცაბაძე**

U 17

# შეკრება ათიდან

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ოთხი თველა რჩება და საქართველოს ნაკრების მზადებაც გადამწყვეტ ფაზაში შედის. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი მორიგ შეკრებას 10 ივნისიდან დაიწყებს. ქართველი 17-წლამდელები თავიდან თბილისში ივარჯიშებენ და სავარაუდოდ, რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ, 21 ივნისს კი ესპანურ კურორტ იბიცაზე გაემგზავრებიან, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

იბიცაზე საქართველოს ნაკრებს საზღვარგარეთულ კლუბებში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებიც შეუერთდებიან. ჟორჟიკაშვილი საქმეში მათ დეტალურად ნახავს და დაასკვნის, ვინაა მათგან ნაკრებში თამაშის ღირსი.

შეგახსენებთ, ჟორჟიკაშვილი ამ ცოტა ხნის წინ გერმანიაში იმყოფებოდა, სადაც მიუნხენის „ბაიერნის" წევრ **ლუკას ჰუფნაგელსა** და „მიუნხენ 1860-ში" მოთამაშე **ლუკა ჩხაიძეს** შეხვდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ტრანსფერები

# ბათიაშვილი, ხმალაძე და ორი სერბი

## ოლიმპი სატრანსფერო სეზონს ხურავს

რუსთავის „ოლიმპში" საკადრო ცვლილებები დასასრულს მიუახლოვდა. ეს კლუბისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. რუსთაველთა ხელმძღვანელობამ წლევანდელ სატრანსფერო პერიოდში მეტად ეფექტურად იმუშავა - გასაშვები სეზონის დასრულებისთანავე გაუშვა, მისაწვევიც მიიწვია და კონტრაქტებიც გაუფორმა.

გუნდიდან წავიდა 37 წლის გამოცდილი მეკარე **გია ჭანტურია**. სამაგიეროდ, რუსთაველებმა ცხინვალის „სპარტაკის" ყოფილი მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი** დაიმატეს.

*„ცხინვალელებთან კონტრაქტი დამიმთავრდა, ახალიც არ შემოუთავაზებიათ და წამოვედი. სიმართლე გითხრათ, „ოლიმპში" მიწვევა ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ორი დღის წინ დამიკავშირდნენ და ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. მიხარია, რომ გუნდში ჩემი დიდი ხნის მეგობარი გია ბედიაშვილი მხვდება. გარდა იმისა, რომ გია ძლიერი მეკარეა, ასაკობრივ ნაკრებებში ერთად გვითამაშია და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ერთად გავსულვართ. ასე რომ, რუსთავში არა კონკურენტი, არამედ, მეგობარი მხვდება. „ოლიმპში" მოხვედრა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. გუნდი ჩემპიონი გახდა და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. სხვა კუთხითაც მისაღები ვარიანტია, სახლთან ახლოს ვიქნები და აქეთ-იქით გაუთავებელი სიარული არ მომიწევს",* - გვითხრა ბათიაშვილმა.

როგორც გავიგეთ, რუსთაველები მოლაპარაკებას აწარმოებენ თბილისის „დინამოს" ყოფილ კაპიტან **ლევან ხმალაძესთანაც**. ეს ინფორმაცია „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ჯაფარიძემ** დაგვიდასტურა: *„მოლაპარაკება მიმდინარეობს და საკითხი ხვალ გადაწყდება. ამას გარდა, „ოლიმპი" სერბეთიდან ორ თავდამსხმელს ელოდება. მეტი რა სიახლე უნდა იყოს?! 9 ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ და 9 გავუშვით".*

„ოლიმპი" ხვალ დილით რუსთავში შეიკრიბება და პირველ ვარჯიშსაც ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან ხმალაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# დღეს გადაწყდება...

დღეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება. სხდომას, რომელიც 14 საათზე დაიწყება, საკმაოდ ვრცელი დღის წესრიგი აქვს:

**1. სფფ-ის მორიგი, XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ;**
**2. სფფ-ის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ;**
**3. ს. კ. „სამტრედიას" განცხადების შესახებ;**
**4. ს. კ. ქუთაისის „ტორპედო 2008-ის" განცხადების შესახებ;**
**5. ს. კ. „ზესტაფონის" განცხადების შესახებ;**
**6. საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების შესახებ;**
**7. სხვადასხვა.**

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს „სამტრედიის" საკითხი. შეგახსენებთ, რომ სპორტული პრინციპის გათვალისწინებით, იმერული გუნდი XXI ეროვნულ ჩემპიონატში VII ადგილზე გავიდა და, შესაბამისად, უმაღლეს ლიგაში ადგილიც შეინარჩუნა. თუმცა პრობლემა ისაა, რომ კლუბს ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზია არ მიუღია. წესი კი ასეთია - კლუბი, რომელიც ამ ლიცენზიას ვერ მიიღებს, პირველ ლიგაში დაქვეითებას ვერ ასცდება. ლიცენზირების პროცესის დასრულებისთვის „სამტრედიას" გარკვეული შენიშვნა-რეკომენდაციები და დროც მისცეს. თუ რამდენად გაითვალისწინეს სამტრედიელებმა ეს შენიშვნები და რეკომენდაციები, ან აკმაყოფილებენ თუ არა ყველა საჭირო სალიცენზიო ნორმას, ეს დღეს გამოჩნდება. ერთი სიტყვით, „სამტრედია" ახალ სეზონში კვლავ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს თუ პირველში დაქვეითდება, სწორედ ეს დღეს გადაწყდება.

ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებით გარკვეული მითითება მიეცა ქუთაისის „ტორპედოსაც". ქუთაისში განახლებული სტადიონის გახსნის შემდეგ, საფეხბურთო ბუმი უფრო მასშტაბური გახდა, გულშემატკივარი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია და არა გვგონია, „ტორპედო 2008-ის" ხელმძღვანელობამ მოთხოვნები ვერ შეასრულოს და ერთგული ქომაგი გააწბილოს.

რაც შეეხება „ზესტაფონის" განცხადებას. ფეხბურთის ფედერაციის წინა აღმასკომისას ყველაზე მწვავე საკითხი თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონს" შორის დაძაბულ ურთიერთობას ეხებოდა. შეგახსენებთ, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობამ საჯაროდ განაცხადა - ჩვენი კლუბის ფიზმომზადების მწვრთნელი **ივო კატუშიჩი** „ზესტაფონს" ჩვენს გუნდზე ინფორმაციებს აწვდიდაო. აღმასკომის წინა სხდომაზე „დინამომ" მოითხოვა, რომ ეს საკითხი მომდევნო სხდომაზეც განხილულიყო. ამას გარდა, „დინამოსავე" მოთხოვნით, აღმასკომის სხდომას აუცილებლად უნდა დასწრებოდა „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია**. ის ახლა საქართველოში არ იმყოფება. ნორმების სრული დაცვით მან აღმასკომს აცნობა, რომ უცხოეთშია და დღეს გასამართ სხდომას ვერ დაესწრება. შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობა, შესაძლოა, აღმასკომის მომდევნო სხდომაზე გაიმართოს.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონებს შორის...

# სატრანსფერო გემოვნება

მსგავსი რამ ადრე არასდროს მომხდარა - XXI ჩემპიონატი წესიერად დამთავრებული არ იყო, ჩვენი გუნდების უმრავლესობამ ახალი სეზონისათვის მზადება რომ დაიწყო! ვერც იმ დროს ვიხსენებთ, ასე ნაადრევად რომ დაწყებულიყო სატრანსფერო კამპანია, არადა, სეზონის დასრულებიდან ჯერ მხოლოდ ორი კვირაა გასული. თანაც, ადრე თუ სატრანსფერო აქტიურობა პიკს უშუალოდ სეზონის დაწყების წინ აღწევდა, ახლა ორი თვით ადრე დაიწყო. თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს წამყვან ოთხ გუნდს („ოლიმპი“, „დინამო“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“) ევროტურნირებზე გამოსვლა ელოდებათ. ჰოდა, საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად ასპარეზობისათვის, რაღა თქმა უნდა, შესაფერისი მომზადებაც არის საჭირო...

ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ყველას გულით გვინდა ევროტურნირებზე ჩვენი გუნდების წარმატებული თამაშის ხილვა; ისიც ყველას გვინდა, რომ ჩვენმა ოთხივე გუნდმა წლევანდელ ევროტურნირებზე, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გადალახოს; მაგრამ, მეორეს მხრივ, ნამდვილად არ გვინდა, რომ საფუძვლიანი „ეჭვი“ გამართლდეს: ევროტურნირებზე მოასპარეზე ოთხიდან სამი გუნდის შემადგენლობაში სერიოზულზე სერიოზული ცვლილებები მოხდა და ახალწვეულები ერთმანეთთან შეთამაშებას რამდენად მოასწრებენ, ძნელი სათქმელია. ისე, სეზონის დაწყების წინ გუნდების რადიკალურად „გადასხვაფერება“, წესითა და რიგით, არც უნდა გვიკვირდეს; ჰო, მართლაც არახალი ამბავია, რომ ჩვენი გუნდების უმეტესობა თავის შემადგენლობაში რადიკალურ ცვლილებებს წელიწადში კი არა, ნახევარ წელიწადში ერთხელ ახორციელებს. ანუ, ადრე თუ ხშირად გვესმოდა: „ერთწლიანი გუნდიაო“, ახლა უკვე... „ნახევარწლიანი გუნდების“ ტერმინიც უნდა დავამკვიდროთ. თანაც, როცა გუნდი ვერაფრით ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას, მაშინ, კიდევ შეიძლება რაღაცა „გამართლება“ მოეძებნოს ყოველი ექვსი თვის მერე განხორციელებულ რადიკალურ ცვლილებებს. მაგრამ ცოტა არ იყოს უცნაურად გვეჩვენება ხშირ-ხშირი და ძირეული ცვლილებები ისეთ გუნდებში, სეზონი წარმატებით რომ დაასრულეს. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელთა თუ მწვრთნელთა კომპეტენციაში ეჭვის შეტანას არ ვაპირებთ; ანუ, „სხვანაირად“ რომ ვთქვათ, გემოვნებაზე ხომ, საერთოდ, არ დაობენ და ამ მხრივ, გამონაკლისი, ალბათ, არც „ქართული სატრანსფერო... გემოვნებაა“!

ახლა კი ბოლო ერთ კვირაში მომხდარ ცვლილებებზე ვისაუბროთ და, რაღა თქმა უნდა, ჯერ ჩემპიონი გუნდით უნდა დავიწყოთ. რუსთავის „ოლიმპმა“ თავისი ერთგული ქომაგი უკვე დიდი ხანია „მიაჩვია“ ყოველ ექვს თვეში ახალ-ახალი ფეხბურთელების გაცნობას. რაღა შორს მივდივართ: ახლახან დასრულებული სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „ოლიმპიდან“ თერთმეტი ფეხბურთელი წავიდა, მათ სანაცვლოდ კი ათი ახალწვეული ვიხილეთ. ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა და ნუ გამოვრიცხავთ, რომ კიდევ ბევრი ცვლილება შეიძლება მოხდეს, მაგრამ „ოლიმპის“ შემადგენლობა, ამ ეტაპისთვის, ვფიქრობთ, საკმარისზე მეტად შეიცვალა. გუნდი დატოვეს: **აკინომ, ფრაგამ, გრიგოლ ჭანტურიამ, ოლეგ გველესიანმა, პავლე დათუნაიშვილმა, მირზა მერლანმა, აქვსენტი გილაურმა** და **ემანუელ ელოხმა**. აღსანიშნავია, რომ ამ ცხრა ფეხბურთელიდან ხუთი... „ოლიმპში“ ხუთი თვის წინათ ჩაირიცხა...


გრიგოლ ბედიაშვილი მშობლიურ ქალაქში შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება

„ოლიმპი“ ჯერჯერობით ცხრა ფეხბურთელს შეელია, სამაგიეროდ შვიდი საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელი დაიმატა: **დავით ბოლქვაძე** ეროვნულ ჩემპიონატს 3-წლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება, **რევაზ გეწაძე** - ორწლიანი პაუზის მერე; წარდგენა არ სჭირდებათ ბოლო წლების „ვიტ ჯორჯიას“ წარმატების შემოქმედთ: **ალექსანდრე კვახაძეს, ლუკა რაზმაძეს, ლაშა ჯაფარიძესა** და **გრიგოლ ბედიაშვილს**. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი მშობლიურ ქალაქში... შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება. თანაც, „ოლიმპის“ (**ამბობენ, სახელწოდება უნდა შეეცვალოსო - გ.ტ.**) ახალ მეკარეს კონკურენტად არანაკლებ გამოცდილი ახალწვეული ეყოლება - **ზურაბ ბათიაშვილი**. აღსანიშნავია, რომ 30 წლის მეკარეებს კარიერის განმავლობაში მესამედ მოუწევთ ერთ გუნდში თამაში: ჯერ „თბილისში“ იყვნენ კონკურენტები, შემდეგ კი - „გორდაში“, ოღონდ, ორივეჯერ მათი ერთად ყოფნა მხოლოდ ნახევარ-ნახევარი სეზონით შემოიფარგლა. „ოლიმპი“ დღეს უნდა შეიკრიბოს და არ არის გამორიცხული, უკვე დღეს სხვა სიახლეებიც შევიტყოთ. ყოველ შემთხვევაში, **თემურ მახარაძეს** კვლავაც საინტერესო ფეხბურთელებთან მოუწევს მუშაობა.


მეკარე ზურაბ ბათიაშვილი კარიერას რუსთავის ოლიმპში გააგრძელებს

ოდნავ გვიან, შვიდ ივნისს შეიკრიბება „დინამო“ - ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ივლისის დასაწყისში ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ელოდება. თუმცა **კახა კაჭარავას** გუნდის ახალწვეულებზე საუბარი ამ ეტაპისთვის ნაადრევია; სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ კონტრაქტები დაუმთავრდათ და გუნდიდან წავიდნენ წამყვანი ფეხბურთელები: **გურამ კაშია, შოთა კაშია, ჯორჯ აკირემი, თენგიზ ჩიკვილაძე** და **ალექსანდრ კრსტეკსკი**, ძნელი სათქმელია, როგორ მოხერხდება ამ ხუთი ფეხბურთელის სრულფასოვნად და „უმტკივნეულოდ“ შეცვლა.

უმაღლესი ლიგის გუნდებიდან კი ყველაზე ადრე ახალი სეზონისათვის მზადება „ზესტაფონმა“ დაიწყო. თუმცა რაც ამ გუნდში **გია გეგუჩაძე** მუშაობს, „ზესტაფონი“ მუდამ სხვა გუნდებზე ადრე იწყებს მომზადებას. თანაც, გუნდი არც ამ ზაფხულს ღალატობს ტრადიციას და თბილისში ათდღიანი მომზადების მერე ორკვირიან უცხოურ შეკრებაზე (ამჯერად ავსტრიაში) მიემგზავრება. „ზესტაფონის“ შემადგენლობაში ბევრი ცვლილება არ არის - გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი (**ლევან კორღალიძე**) წავიდა; სამაგიეროდ, ორი მეტად საინტერესო ფეხბურთელი დაიმატეს: **გოგა ფიფია** „ზესტაფონში“ ორწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება, **შოთა ბაბუნაშვილი** კი საქართველოს ჩემპიონატში ნახევარწლიანი პაუზის მერე იასპარეზებს. ისე, მართლაც რომ სოლიდურზე სოლიდური შუახაზი ეყოლება „ზესტაფონს“; თანაც, როგორი საქმეა, როცა გუნდში ერთდროულად ოთხი „შემქმნელი“ ფეხბურთელი იქნება - ზემოთ ხსენებული გოგა ფიფიასა და შოთა ბაბუნაშვილის გარდა „ზესტაფონში“ ხომ **თორნიკე აფციაური** და **შოთა გრიგალაშვილი** თამაშობენ!..

...ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული გუნდებიდან შედარებით გვიან „ვიტ ჯორჯია“ დაიწყებს მზადებას. თუმცა, ეს ფაქტი გასაკვირი სულაც არ არის - საქართველოს თასის ფინალში გამარჯვებამ „ვეტერინარები“ ევროპის ლიგის გათამაშებაში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „გაიყვანა“. აი, იქ კი, ევროტურნირებზე, **გელა გომელაურის** გუნდი აშკარად სახეშეცვლილი წარდგება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ არის პატარა საქმე ერთდროულად ოთხი ძირითადი ფეხბურთელის (გრიგოლ ბედიაშვილის, ალექსანდრე კვახაძის, ლაშა ჯაფარიძის, ლავრენტი რაზმაძის) სრულფასოვნად შეცვლა. თანაც, ამ ფეხბურთელებს ხომ ლომის წილი შეჰქონდათ „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო წლების წარმატებებში. ჯერჯერობით გაურკვეველია ამ გუნდის კიდევ ერთი ლიდერის, **გიორგი დათუნაიშვილის** საკითხი, რომელსაც „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. ახალწვეული კი ამ ეტაპზე მხოლოდ მეკარე **ვლადიმერ ზუხბაიაა**, ჩემპიონატის მეორე ეტაპი „სიონში“ რომ ჩაატარა. აქვე, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ „ვიტ ჯორჯია“ 10 ივნისს შეიკრიბება და მზადებას თბილისში დაიწყებს, 23 ივნისიდან კი უკრაინაში, კერძოდ, სიმფეროპოლში გააგრძელებს ვარჯიშს.

დანარჩენი ექვსი გუნდიც სხვადასხვა დროს დაიწყებს მომზადებას: „სპარტაკი“ შვიდ ივნისს შეიკრიბება, „სამტრედია“ და „კოლხეთი“ - ათ ივნისს, „ბაია“ - თხუთმეტ ივნისს, ხოლო „სიონი“ - ოც ივნისს. ოღონდ, როგორც ბოლნისური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** გვითხრა, უკვე ათი რიცხვისთვის მეტ-ნაკლებად გარკვეული იქნება გუნდში დამრჩენ-წამსვლელ ფეხბურთელთა ვინაობა. რაც შეეხება უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ტორპედოს“, ქუთაისური კლუბი უახლოეს დღეებში დაიწყებს მომზადებას. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა შემადგენლობა ეყოლება „ტორპედოს“, სამაგიეროდ, უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ამ ამბიციურ გუნდს არანაკლებ ამბიციური და კვალიფიციური მწვრთნელი **რამაზ მუმლაძე** უთავკაცებს. სამწვრთნელო ტრანსფერებიდან კი, რაღა თქმა უნდა, **გელა სანაიას** „სამტრედიაში“ გადასვლა უნდა გამოვყოთ: იმედი დავიტოვოთ, რომ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი მომავალ სეზონშიც არაერთხელ დაამტკიცებს თავის შესაძლებლობებს.

ამ ეტაპისათვის, ეს „ვიკმაროთ“; დაახლოებით, ორ კვირაში კი უფრო ვრცლად შეგვეძლება ქართულ სატრანსფერო სიახლეებზე საუბარი. არადა, ამ დროს მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება „გახურებული“, მაგრამ არც ჩვენი პირველობა უნდა დაგვავიწყდეს...

**გია ტუხაშვილი**

ტრანსფერი

# გამეზარდაშვილი ყვითელი მგელია

## მესამე ქართველი დაჩიაში



როგორც გაცნობეთ, **დავით გამეზარდაშვილმა** „ზესტაფონი“ სეზონის დასრულებისთანავე დატოვა. 28 წლის ტანმაღალმა მცველმა, რომელიც მანამდე ქუთაისის რიგის „სანტოსა“ და „ტორპედოში“ ასპარეზობდა, გუშინ კიშინიოვის „დაჩიაში“ გადავიდა. როგორც გავიგეთ, გამეზარდაშვილმა „ყვითელ მგლებთან“ (ასე ეძახიან მოლდოვაში „დაჩიას“) 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ გუნდში მეოთხე ქართველი ფეხბურთელია. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, „დაჩიამ“ ასევე 3-წლიანი კონტრაქტები გააფორმა 25 წლის მცველ **მამუკა ლომიძესა** და 30 წლის შემტევ ნახევარმცველ **ლევან კორღალიძეს**.

კორღალიძემ, რომელმაც გასული სეზონი „ზესტაფონში“ ჩაატარა, 28 მატჩში 6 გოლი გაიტანა. იმერელთა გუნდში ის სწორედ „დაჩიადან“ გადავიდა 2008/09 წლების სეზონში. კიშინიოველთა გუნდში მან 37 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება ლომიძეს, ის ბოლოს სლოვაკურ „რუჟემბეროკსა“ და კიშინიოვის „ზიმბრუში“ თამაშობდა. ამ ტრიოს გარდა, „დაჩიაშია“ თავდამსხმელი **ვასილ ლუჭაშვილიც**, რომელმაც გასულ სეზონშიც მოლდოვაში იასპარეზა და 12 მატჩი 2 გოლი მიითვალა.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუ რამდენად ფასობენ ხსენებული ფეხბურთელები. transfermarkt.co.uk-ის მონაცემებით, „დაჩიას“ ძველ-ახალ ქართულ სამეულში ყველაზე ძვირად გამეზარდაშვილია შეფასებული - მისი სატრანსფერო ფასი 150 ათასი ევროა, კორღალიძის სატრანსფერო ფასი 75 ათასი ევრო, ხოლო ლომიძისა - 50 ათასი ევრო.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა „დაჩიაზეც“ ვთქვათ. გუნდი, რომლის მთავარი მწვრთნელი რუმინეთის მოქალაქე **ალექსანდრ კამალდინოვია**, ჩემპიონატში მე-5 ადგილზე გავიდა. „დაჩია“ ახლოს იყო თასის მოპოვებასთან, მაგრამ ფინალში **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფთან“ დამარცხდა. დედაქალაქელთა გუნდი ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას, ამჯერად უკვე ქართული კვარტეტით. ვნახოთ...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რთული გზა ოლიმპამდე

**რუსთავის „ოლიმპმა" ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. ეს ერთგვარი პარადოქსია, რადგან სეზონის დაწყებამდე გუნდს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა. გუნდის მეპატრონეები არიან სააქციო საზოგადოება „რუსთავის ფოლადი" და სამხარეო ადმინისტრაცია - პირველს გუნდის აქციათა 60 პროცენტი ეკუთვნის, სახელმწიფოს კი - 40. კლუბის განვითარებაში კომპანიის ძველმა გენერალურმა დირექტორმა ვილი ელიგულაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა. როდესაც მთელ მსოფლიოში მეტალურგიულ წარმოებას გაუჭირდა და ლამის გაკოტრების პირას მივიდა, რუსთავის „ოლიმპი" კიდევ უფრო გაძლიერდა. მართალია, „რუსთავის ფოლადის" გენერალური დირექტორის პოსტზე გივი გიგინეიშვილი დაინიშნა, მაგრამ ვითარება უცვლელი დარჩა და კომბინატის ხელმძღვანელობა ფეხბურთზე ძველებურად ზრუნავდა.**

**თუმცა შემოდგომაზე კლუბის ძირითადი მეპატრონე „ქართული ფოლადი" კრიზისიდან ბოლომდე გამოსული არ იყო, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით კირკიტაძემ თავისი სიტყვა რომ თქვა. მან „ოლიმპი" სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსა და გადაარჩინა. ეს მნიშვნელოვანი დეტალია, რომელიც რუსთაველთა წლევანდელი წარმატების საფუძვლებში გაგვარკვევს. მეორე ეტაპზე კი ვითარება დალაგდა, მეტალურგიული კომბინატი ფეხზე წამოდგა და გუნდს ძველებურად მიხედა. თუმცა არის ინფორმაცია, რომ კირკიტაძემ გუნდიდან ჩამოცილება გადაწყვიტა. გულდაწყვეტილია - რეგიონისა და ქართული ფეხბურთისთვის სიკეთე მსურდა, საფასურად კი ტალახის სროლა მივიღეო. მისი წასვლა „ოლიმპს" ნაღდად არ წაადგება, რადგან ბევრი პროექტი სწორედ კირკიტაძის ავტორიტეტით განხორციელდა.**

## მუდმივი საკადრო რევოლუციების გუნდი

„ოლიმპი" არასტაბილურობასთან ასოცირდებოდა. ყოველ ნახევარ სეზონში შემადგენლობა იცვლებოდა. წავიდოდა ერთი „პარტია" და მოვიდოდა - მეორე. ასე მოხდა სეზონის დასაწყისშიც და ამის მიზეზი საკადრო პოლიტიკა გახლდათ - „ოლიმპი" ფეხბურთელებს ხშირად ნახევარწლიან კონტრაქტს უფორმებდა.

სეზონის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე კლუბის ხელმძღვანელებმა შეცვლილ საკადრო პოლიტიკაზე ილაპარაკეს - იანვრიდან კლუბში ჩარიცხულ ნებისმიერ მოთამაშესთან 2-წლიან კონტრაქტს გავაფორმებთო. საჭირო იყო გუნდის სახის ჩამოყალიბება, სტაბილური შემადგენლობა, რაც პროგრესისა და წინსვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ხალხს კი სტადიონზე ლამაზი ფეხბურთი და შეთამაშებული გუნდი დააბრუნებს.

თუმცა დაიწყო ჩემპიონატი და კვლავ ძველი სურათი ვიხილეთ: ჩემპიონატის დაწყებამდე რუსთავის „ოლიმპი" დატოვეს მეკარეებმა **ბექა შეყრილაძემ, ზვიად სტურუამ**, მცველებმა **ავქსენტი გილაურმა, თემურ ლონლაძემ, მამუკა ლომიძემ**. სეზონის მსვლელობისას გაუშვეს **გიორგი სეთურიძე**, კლუბიდან წავიდნენ ნახევარმცველი **გიორგი ჭელიძე, გელა ხუბუა**, თავდამსხმელები - **გიორგი მეგრელაძე, გოგი ფიფია, ირაკლი სირბილაძე, აკაკი მიკუჩაძე** და **გაგა ჩხეტიანი**, სულ 13 (!) მოთამაშე.

მათ ნაცვლად რამდენიმე ქართველი და ბრაზილიელი დაიმატეს: მეკარე **გია ჭანტურია**, მცველები - **დაჩი ფოფხაძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი**, ნახევარმცველები - **ზაზა ჭელიძე, დავით იმედაშვილი**, თავდამსხმელები - **გია თოდუა** და **გიორგი ჭედია**.

მეორე წრეში აზერბაიჯანიდან დაბრუნდა ლონლაძე, ბოლნისიდან ხუბუა, ცხინვალის „სპარტაკიდან" გილაური. „ბაიადან" დაიმატეს **პაატა დათუნაიშვილი** და **რეზო ჯიქია**, წელიწად-ნახევრის უთამაშებელი მეკარე **მირზა მერლანი**, ნიგერიიდან მცველი **ემანუილ ელოხი**, „გაგრადან" მცველი **დათო გიგაური**, მახაჩყალის „ანჟიდან" გამოშვებული **სანდრო იაშვილი** და მინსკის „მტპ-რიპოს" ვიცე-კაპიტანი **გია კვარაცხელია**.

სამაგიეროდ, ამ პერიოდში „ოლიმპი" დატოვეს **შოთა ბაბუნაშვილმა, მიხეილ ალავიძემ, სევასტი თოდუამ, ვალერი აბრამიძემ, ზაზა ჭელიძემ, გია თოდუამ და დავით კაკულიამ.**

ცალკე თემაა ბრაზილიელები და ლეგიონერები. „ოლიმპში" დიდ იმედს ამყარებდნენ სამხრეთამერიკელებზე: ბრაზილიაში მოღვაწე ქართველი სპეციალისტის **გოჩა ალადაშვილის**, პროფლიგის დღევანდელი პრეზიდენტის **გია ფირცხალავასა** და კირკიტაძის ინიციატივით, ბრაზილიის უმაღლესი ლიგის „ატლეტიკო პარანაანსედან" რუსთავში 6 ფეხბურთელი ჩამოიყვანეს: მცველი **ალექს ფრაგა**, ნახევარმცველები - **ჟერონიმო ოლივეირა, ანდერსონ აკინო**, ფორვარდები - **გილერმე ესტევაო ჩოკო, ჟონატას კარდოზო** და **ედი სალესი**.

საბოლოოდ, იმედები ვერ გაამართლეს და მეორე წრეში გაუშვეს ჟერონიმო, ედი სალესი, ჩოკო და ჟონატასი. სამაგიეროდ, „ოლიმპის" წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს აკინომ და ფრაგამ. პირველი 26 გოლით, ეროვნული პირველობის ბომბარდირი გახდა, ფრაგა კი პირველობის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად აღიარეს.



რუსთაველთა გამორჩეული ფეხბურთელი ანდერსონ აკინო (მარჯვნივ)

## მახარაძის რეკორდი

ამ ყველაფრის გათვალისწინებით გასაოცარია, რომ გუნდი ჩემპიონი გახდა. გასაოცარი იმიტომ არის, რომ არასტაბილური შემადგენლობა წარუმატებლობის წინა პირობა უფროა.

სეზონის დასაწყისში მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** გახლდათ. კლუბმა ხუთი ტური ეფექტურად ჩაატარა და ლამის ჩემპიონად გამოაცხადეს. თუმცა მეექვსე ტურში თბილისის „დინამოსთან" 0:4 განადგურდა და გუნდი აირია. რუსთაველებს შემდგომი ოთხი ტური აღარ მოუგიათ და ვითარება დაიძაბა - ფეხბურთელებიც ანერვიულდნენ და ხელმძღვანელებიც. მართალია, შემდეგ იყო გამარჯვებები „ბაიასთან" და „ლოკომოტივთან", მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა.

21 ოქტომბერს საქართველოს თასის 1/8 ფინალის ერთრაუნდიან შეხვედრაში საჩხერეში „ჩიხურასთან" დამარცხების (0:1) შემდეგ, კორღალიძემ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გადაინაცვლა.

მერვე ტურიდან „ოლიმპი" ბოლნისის „სიონიდან" სასწრაფო დახმარების როლში მოხმობილ **თემურ მახარაძეს** ჩააბარეს, რომელმაც „ოლიმპს" დიდი კვალი დაატყო.

რუსთავის „ოლიმპზე" აგორებული აჟიოტაჟი ის ნაბანი წყალი აღმოჩნდა, რომელსაც მახარაძის შრომა გადაჰყვა. არადა, ფაქტია, რომ მახარაძის გუნდი ყველა კონკურენტზე ძლიერი აღმოჩნდა, რაც უშუალო შეხვედრებში დაადასტურა.

რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის შრომა იმიტომაა დასაფასებელი, რომ მას გუნდის უცხოეთში მომზადების საშუალება არ ჰქონია, გუნდი სეზონის მსვლელობის დროს ჩაიბარა და მაინც ყველას აჯობა. მწვრთნელის ხარისხიანი მუშაობის შეფასების სხვა კრიტერიუმი ბუნებაში არ არსებობს. ეს ფაქტია, მაგრამ ზოგს „ოლიმპი" არ მოსწონს, ზოგს - გუბერნატორი და ამის გამო, მთავარზე თვალებს ხუჭავენ.

სეზონის მსვლელობისას, გუნდს სკანდალები არ აკლდა. განსაკუთრებული უსიამოვნება კი 26-ე ტურში ელოდა: „ოლიმპი" სტუმრად „ზესტაფონს" შეხვდა. მატჩი სეზონის ფაქტობრივი ფინალი უნდა გამხდარიყო და ქვეყნის ჩემპიონის ვინაობა გაერკვია, თუმცა შეხვედრა ცნობილი სკანდალით (მოედანზე ორი ბურთი რომ აღმოჩნდა) დასრულდა - არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** მიიჩნია, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მატჩი შეწყვიტა.

ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის წევრებმა შეხვედრის შედეგი (1:1) გააუქმეს, „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" ნაგება (0:3) ჩაუთვალეს და 5-5 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს.

ამის მიუხედავად, რუსთაველებმა კონკურენტებს მაინც სოლიდური უპირატესობით აჯობეს. კონიუნქტურა გვერდზე გადავდოთ - „ოლიმპმა" ჩემპიონობა დაიმსახურა. ის ყველაზე დაბალანსებული, გამართული და ძლიერი კლუბი გახლდათ.

თემურ მახარაძემ კი სამწვრთნელო რეკორდი დაამყარა - ბოლნისის „სიონში" დაწყებულ 13-მატჩიან წაუგებელ სერიას რუსთავში კიდევ 25 მიუმატა და 38-მატჩიანი წაუგებელი სერია დაუგროვდა. სერია გაგრძელდებოდა, მაგრამ ჩემპიონობამოპოვებული „ოლიმპი" მოეშვა და 34-ე ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" 0:2 დამარცხდა...

**მერაბ მამულაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები (www.sport.gov.ge)

ჩემპიონების ზეიმი



### ოლიმპის ყველა მატჩი

**ადგილი XXI ჩემპიონატში: 1**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 25 | 7 | 4 | 69-26 | 79 |

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ბაია-ოლიმპი | 1:2 |
| II ტური | ლოკომოტივი- ოლიმპი | 0:2 |
| III ტური | ოლიმპი-სამტრედია | 5:0 |
| IV ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:1 |
| V ტური | ოლიმპი -სიონი | 3:0 |
| VI ტური | დინამო- ოლიმპი | 4:0 |
| VII ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| VIII ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 2:2 |
| IX ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 1:1 |
| X ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| XI ტური | ოლიმპი-ლოკომოტივი | 3:1 |
| XII ტური | სამტრედია-ოლიმპი | 0:4 |
| XIII ტური | ოლიმპი - ოლიმპი | 5:0 |
| XIV ტური | სიონი- ოლიმპი | 0:6 |
| XV ტური | ოლიმპი -დინამო | 1:0 |
| XVI ტური | ვიტ ჯორჯია- ოლიმპი | 1:2 |
| XVII ტური | ოლიმპი -ზესტაფონი | 1:0 |
| XVIII ტური | სპარტაკი - ოლიმპი | 1:2 |

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XIX ტური | ოლიმპი-ბაია | 1:0 |
| XX ტური | ოლიმპი-ლოკომოტივი | 2:0 |
| XXI ტური | ოლიმპი-სამტრედია | 3:1 |
| XXII ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:2 |
| XXIII ტური | ოლიმპი-სიონი | 0:0 |
| XXIV ტური | დინამო-ოლიმპი | 0:0 |
| XXV ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| XXVI ტური | ზესტაფონი-ოლიმპი* | |
| XXVII ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 4:0 |
| XXVIII ტური | ბაია-ოლიმპი | 1:1 |
| XXIX ტური | ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:2 |
| XXX ტური | სამტრედია-ოლიმპი | 0:1 |
| XXXI ტური | ოლიმპი-გაგრა | 3:0 |
| XXXII ტური | სიონი-ოლიმპი | 1:2 |
| XXXIII ტური | ოლიმპი-დინამო | 1:1 |
| XXXIV ტური | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 2:0 |
| XXXV ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 3:1 |
| XXXVI ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 4:1 |

**- ორივე გუნდს ჩაეთვალა ნაგება 0:3*

მეკარეები: გია ჭანტურია - 34, მიხეილ ალავიძე - 2, ვახტანგ ლობჟანიძე - 1, მირზა მერლანი - 1;

მცველები: პაატა დათუნაიშვილი - 16, ალექს ფრაგა 31 (1), ემანუილ ელოხი - 3, დათო გიგაური - 10, ავქსენტი გილაური - 3, თემურ ლონლაძე - 14, ოლეგ გველესიანი - 13, ნოდარ მაჭავარიანი - 24 (1), გიორგი რეხვიაშვილი - 27 (2), ბესიკ ამაშუკელი - 1, სევასტი თოდუა - 16, ვალერი აბრამიძე - 11 (1), დაჩი ფოფხაძე - 9;

ნახევარმცველები: ვასილ აფციაური - 1, დენის დობროვოლსკი - 35, დათო გოგოლაძე - 0, გიორგი გორდეზიანი - 0, გაგა გუგუნაშვილი - 0, დათო იმედაშვილი - 31 (8), ვაკო ყაზაიშვილი - 2, გიორგი ხიდეშელი - 15, გელა ხუბუა - 16, გია კვარაცხელია - 15 (5), ლაშა პარუნაშვილი - 2, შოთა ბაბუნაშვილი - 18 (2), [illegible] - 17 (3), ზაზა ჭელიძე - 12, დავით კაკულია - 3, გიორგი გორდეზიანი - 0, გიორგი ჭელიძე - 0;

თავდამსხმელები: ანდერსონ აკინო - 31 (26), გიორგი ჭედია - 28 (8), რეზო ჯიქია - 10 (1), სანდრო იაშვილი - 13 (5). ჟონატასი - 9 (3), გია თოდუა - 8 (1), ედი სალესი - 6 (2), ჩოკო - 6, მეგრელაძე - 0, აკაკი მიკუჩაძე - 0, ირაკლი სირბილაძე - 0, გაგა ჩხეტიანი - 0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



# კახა კალაძე

# მწვრთნელი შინაგანად უნდა იყო...

**განვლილი სეზონი და „მილანში“ უთამაშებლობის მიზეზი, გავრცელებული ხმები შესაძლო ტრანსფერზე, რა არის „როსონერის“ წარუმატებლობის მიზეზი, რა სხვაობაა ანჩელოტისა და ლეონარდოს გუნდებს შორის, რამდენ ხანს აპირებს თამაშს, რაზე შესტკივა გული... ამ და სხვა საინტერესო თემებს ეხება კახა კალაძის ინტერვიუ, რომელიც უკრაინულმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს იმ ნაწილის თარგმანს, რომელიც საფეხბურთო თემას ეხება...**

**- სეზონი დასრულდა და თქვენ კიევში ხართ. ანდრეი შევჩენკოს გზას ხომ არ ადგახართ და კიევის „დინამოში“ ხომ არ ბრუნდებით?**

- არა, ასე ნამდვილად არ არის. სეზონი, რომელიც უკვე დასრულდა, ჩემთვის ძალზე რთული იყო, უპირველესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით... 18 წლის ვიყავი, როცა კიევის „დინამოში“ დავიწყე თამაში. ამ ქალაქში მშვენიერი წლები გავატარე, ბევრი მეგობარი მყავს და მათი ნახვა ყოველთვის მახარებს. ჩემთვის უკრაინა მეორე სამშობლოა და არცთუ იშვიათად ვსტუმრობ კიევს.

**- კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობისგან წინადადება ხომ არ მიიღეთ?**

- ხმები კი ვრცელდებოდა, მაგრამ სერიოზული ლაპარაკი ნამდვილად არ გვქონია. „მილანთან“ კიდევ ერთი წლით მაკავშირებს კონტრაქტი და მომდევნო სეზონს იტალიაში ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ.

**- გასულ სეზონში „მილანში“ საქმე არ აგეწყოთ, ძალზე ცოტა მატჩი ჩაატარეთ. რატომ არ გენდობოდათ ლეონარდო?**

- ეს ვერაფრით ავხსენი და ალბათ ლეონარდოც იმავეს გეტყვით. იმ მატჩებში, რომლებშიც მონაწილეობა მივიღე, ნორმალურად ვითამაშე. ბოლოს უკვე აღარ ვეკითხებოდი მწვრთნელს, თუ რატომ არ მათამაშებდა. მხოლოდ 11-13 ფეხბურთელით შეუძლებელია მთელი სეზონის სტაბილურად ჩატარება. კარლო ანჩელოტის მწვრთნელობისას, რა თქმა უნდა, იყო კონკურენცია და შემადგენლობაც იცვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ძლიერი გუნდი გვყავდა და შედეგიანად ვასპარეზობდით... მის ხელში ყველა ტიტული მოვიგეთ საკლუბო დონეზე. ლეონარდოს მწვრთნელობისას რამდენიმე ფეხბურთელს არ უწევდა თამაში, მაშინაც კი, როცა დატვირთვების გამო ფეხბურთელები ტრავმებს იღებდნენ. ამ სეზონში სკუდეტოს მოპოვებაც შეგვეძლო, მაგრამ ყველა ფრონტზე დავმარცხდით.

**- ბოლო 5-6 წელიწადია, რაც „მილანი“ ვეტერანებზე აკეთებს აქცენტს. სხვადასხვა პერიოდში ისეთი ვარსკვლავები ირჯებოდნენ „მილანისთვის“, როგორებიც არიან, რივალდო, იაპ სტამი, კაფუ, ფილიპო ინძაგი, რონალდინიო, ჯანლუკა ძამბროტა, დევიდ ბექჰემი... ამ სახელიანი ფეხბურთელებისთვის თითქმის არ არსებობს დაუპყრობელი მწვერვალი და ზოგი მიიჩნევს, რომ მათ უბრალოდ სათანადო მოტივაცია აღარ ჰქონდათ ახალი ტიტულების მოსაპოვებლად...**

- ვერ დაგეთანხმებით, ნამდვილად ვერ ჩავთვალი, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს სათანადო მოტივაცია არ ჰქონდათ. როცა პროფესიონალი ხარ და შენი საქმე, ფეხბურთი გიყვარს, ერთ გამარჯვებაზე არ გაჩერდები, მეტი და მეტი მწვერვალი გინდა დაიპყრო. არაერთი ფეხბურთელი, რომელიც რუსეთის ან უკრაინის დონის ჩემპიონატში მოეწყო, ფიქრობს, რომ მეტის მიღწევა აღარ შეუძლია, ამით კმაყოფილდება და ჩერდება. პროფესიონალი კი მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება და ყოველთვის მაქსიმალური მიზნებისთვის იბრძვის.

**- ე. ი. მიგაჩნიათ, რომ ლეონარდოს წასვლის შემდეგ, „მილანს“ შეუძლია სერია A-სა და ევროტურნირებზე მეორეხარისხოვან როლში აღარ იყოს?**

- დიახ, ეს შესაძლებელია. ჩვენ სარეზერვო გუნდშიც რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი გვყავს. გარდა ამისა, „მილანი“ რამდენიმე ფეხბურთელით კიდევ გაძლიერდება. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალში, „მანჩესტერთან“ მწარე მარცხი ვიწვნიეთ (2:3 და 0:4)... მაგრამ „მილანი“ ის კლუბია, რომელიც ევროტურნირებზე ყოველთვის გამორჩეულ ძალად ითვლებოდა, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და მჯერა, ყველაფერი ისევ ძველებურად იქნება.

**- „მილანთან“ მომავალ ზაფხულს გიმთავრდებათ კონტრაქტი. წელან მითხარით, იტალიაში ვითამაშებო. „მილანში“ რჩებით თუ სხვა იტალიურ კლუბში გიხილავთ?**

- რამდენიმე თვის წინ მართლა ვაპირებდი კლუბის შეცვლას, მაგრამ ლეონარდო „მილანიდან“ წავიდა, ახალი მწვრთნელი გვეყოლება და მას მინდა დავუმტკიცო, რომ „მილანის“ სასტარტოში თამაშს ვიმსახურებ.

**- ხმები გავრცელდა, რომ კიევის „დინამოს“ გარდა თქვენი გადაბირება მოსკოვის „სპარტაკს“ და სხვა კლუბებს უნდათ...**

- ეს მხოლოდ ჭორები იყო, რომლის მიხედვითაც მალე „სპარტაკთან“, კიევის „დინამოსთან“, „პარმასთან“ ან „ნაპოლისთან“ გავაფორმებდი კონტრაქტს. ჩემთან მიმართებაში სხვა კლუბებიც დასახელდა. ბოლოს ისიც დაიწერა, „მილანი“ კალაძეს „იუვენტუსს“ სხვა ფეხბურთელში უცვლისო. თუმცა ისევ „მილანში“ ვარ და მომდევნო სეზონს სწორედ ამ კლუბში დავასრულებ.

**- 32 წლის ხართ და კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

- კარგი იქნებოდა, მთელი ცხოვრება რომ შემეძლოს ფეხბურთის თამაში. ვწუხვარ, რომ ეს შეუძლებელია. იმედი მაქვს, ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და 3-4 წელიწადი კიდევ ვითამაშებ.

**- სამწვრთნელო კარიერის დაწყებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- მწვრთნელი შენში შინაგანად უნდა იჯდეს. ასე ნამდვილად არ არის და ამ პროფესიის დაუფლებასაც არ ვაპირებ. თამაშს თავს რომ დავანებებ, ოჯახზე გადავერთვები, ცოლსა და შვილზე... ღმერთის მადლით, მომავალში ერთზე მეტი შვილი მეყოლება.

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთი და ეკონომიკა

# ფინანსური შედეგები და აღდგენილი ბალანსი

ბოლო 30 წელია, ფეხბურთი სერიოზულ ბიზნესად იქცა. ბიზნესს კი თვლა უყვარს და ჩვენც დავთვალოთ: საქართველოს ჩემპიონატების ბოლოდროინდელი ტენდენცია წლევანდელი სეზონის შედეგებმა გააბათილა. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოს კლუბები ფინანსურად ძალიან იჩაგრებოდნენ. ეკონომიკური კრიზისის შედეგად რეგიონებში, ფაქტობრივად, ყველაფერი ჩაკვდა, ფინანსური რესურსების მობილიზაცია მხოლოდ დედაქალაქში იყო შესაძლებელი და საქართველოს ჩემპიონატიც თბილისის პირველობას დაემსგავსა. იყო დრო, როცა უმაღლეს ლიგაში დედაქალაქში დისლოცირებული 7 გუნდი მონაწილეობდა...

ასე გრძელდებოდა ახლახან დასრულებულ ჩემპიონატამდე, როცა უმაღლესი ლიგის 10 გუნდიდან 7 („დინამო“, „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „სპარტაკი“, „სიონი“, „ლოკომოტივი“, „გაგრა“) აღმოსავლეთ საქართველოს წარმოადგენდა და მხოლოდ 3 - დასავლეთს („სამტრედია“, „ბაია“, „ზესტაფონი“).

ბუნებრივია, ასეთი ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს კლუბებისთვის ფინანსურად ხელსაყრელი იყო, რადგან დასავლეთში მხოლოდ სამ გუნდთან უწევდათ სტუმრობა, ანუ მთელი ტურნირის მსვლელობისას მხოლოდ ექვს ტურში უწევდათ საკმაოდ დიდი სატრანსპორტო ხარჯების გაღება. დასავლეთი კი იჩაგრებოდა - შვიდ გუნდთან გასვლაზე თამაში ხომ გაცილებით მეტ ხარჯს მოითხოვს.

გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დასავლეთში აღმოსავლეთის დარად მდიდარი კლუბები არ იყო და მათი ბიუჯეტი ამით სერიოზულად ზარალდებოდა. მაგალითად, „სამტრედიასა“ და აღმოსავლეთის რომელიმე კლუბს ერთნაირი ბიუჯეტი რომ ჰქონოდათ, იმერული კლუბი ტრანსფერებსა და ხელფასებს მაინც ბევრად ნაკლებ თანხას მოახმარდა.

ეს განსხვავება კი სახუმარო სულაც არ იყო. ინფორმაცია კლუბებში გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ მაგალითად, თბილისიდან ზუგდიდში (გასული სეზონის მიხედვით ყველაზე შორეულ დასავლურ პუნქტში) წასვლა კლუბს ძალიან ძვირი უჯდებოდა - მინიმუმ 900 ლარი ავტობუსი, სასტუმროში დაბინავების ხარჯი დაახლოებით 1 120 ლარი (40 ლარი კაცზე, სასტუმროში კი დელეგაციის მინიმუმ 28 წევრი შედის), პლუს კვების 800 ლარი.

თუმცა მატჩის წინადღეს მოწინააღმდეგის ქალაქში ჩასვლას და დაბინავებას ყველა ვერ ახერხებდა და ჩვენც მინიმალური ხარჯი (ტრანსპორტირება პლუს კვება) გავთვალოთ - ანუ, თბილისიდან ზუგდიდში გამგზავრება გუნდს 1 700 ლარი უჯდებოდა. თუკი თბილისურ კლუბებს ასეთი ხარჯის გაწევა გასულ სეზონში 6-ჯერ (ანუ, სეზონში მინიმუმ 10 200 ლარი) უწევდათ, ზუგდიდელები და სამტრედიელები ყველაზე მეტად იჩაგრებოდნენ. მათი ხარჯი მიახ-



ლოებითი გათვლით 24 000 ლარს აღწევდა. განსხვავება აშკარაზე მეტია - 14 ათასი ლარი ის თანხაა, რომლითაც საქართველოში საკმაოდ კარგი სეზონისწინა შეკრების მოწყობაა შესაძლებელი.

წელს დასავლეთ-აღმოსავლეთის ბრძოლა, სპორტული და ფინანსური კუთხით, პირველის სასარგებლოდ დასრულდა. უმაღლესი ლიგიდან თბილისში დაფუძნებული ორი კლუბი („ლოკომოტივი“ და „გაგრა“) გავარდა, მათ ნაცვლად კი დასავლეთიდან ქუთაისის „ტორპედო“ და ფოთის „კოლხეთი“ დაწინაურდნენ.

საერთო ჯამში, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ბალანსი აღდგა - ლიგაში ორივე მხარე 5-5 გუნდითაა წარმოდგენილი. ეს გუნდების საბიუჯეტო ხარჯებს დააბალანსებს და დასავლეთ საქართველოს კლუბები აღარ დაიჩაგრებიან. თუმცა ცხადია, აღმოსავლეთის კლუბებს ხარჯები გაეზრდებათ...

**მერაბ მამულაშვილი**

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !

შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !

ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !



ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები”.



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა”.



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს”.

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



როკე სანტა კრუსი სოტირიოს კირიაკოსს გაურბის



ხესუს ნავასი ხარობს

# საბერძნეთს სანტა კრუსიც ეყო

## სერბები ისევ ხულიგნობენ

**აზერბაიჯანი-ჰონდურასი 0:0**

**ჰონდურასი:** კანალესი, ფიგეროა (46. ჩავესი), ბერნარდესი, ისაგირე, მენდოსა, პალასიოსი (46. ესპინოსა), გევარა (46. ტომასი), სუასო (68. პავონი), ნუნიესი, ხ. ლეონი (68. ხ. ლეონი), ალვარესი (77. გარსია).

**მაყურებელი:** 500

**საბერძნეთი-პარაგვაი 0:2**

**საბერძნეთი:** ცორვასი, პაპადოპულოსი, კირიაკოსი (46. კარაგუნისი), ტოროსიდისი, სეიტარიდისი, ციოლისი, კაცურანისი (59. პაცაცოგლუ), ნინისი (46. ვინტრა), სამარასი, კაპეტანოსი (75. სპიროპულოსი), სალპინგიდისი (46. ხარისტეასი).

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერონი (74. სანტანა), და სილვა, მორელი (66. კანისა), ბონეტი (60. ალკარასი), კასერესი, რივეროსი (80. ორტიგოსა), ტორესი, ვერა (60. ბარეტო), სანტა კრუსი, ბარიოსი (64. ბენიტესი).

**გოლები:** 0:1 ვერა (9), 0:2 ბარიოსი (25)

**მაყურებელი:** 5 200

**სერბეთი-პოლონეთი 0:0**

**სერბეთი:** ისაილოვიჩი (46. სტოიკოვიჩი), ლუკოვიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი, იოვანოვიჩი (46. პეტროვიჩი), კუზმანოვიჩი, სტანკოვიჩი (46. ტოშიჩი), კრასიჩი (69. მრდა), ჟიგიჩი (46. პანტელიჩი), ლაზოვიჩი (59. კაჩარი).

**მაყურებელი:** 3 000

**ესპანეთი-სამხ. კორეა 1:0**

**ესპანეთი:** რეინა (46. ვალდესი), მარჩენა, ალბიოლი, კაპდევილა, ს. რამოსი, ინიესტა (58. ჩაბი ალონსო), ფაბრეგასი (58. ჩავი), მარტინესი (80. სილვა), მატა (58. პედრო), ხ. ნავასი, ფ. ლორენტე (58. ვილია).

**სამხ. კორეა:** ვ. ლი (46. იუნი), ი.ს. ლი, ჩო, ი.პ. ლი, ოჰი (81. ჩა), ი. კიმი (46. ნ. კიმი) , კი, იეომი (66. ანი), ჩ. ლი, პარკი, ი. კიმი.

**გოლი:** 1:0 ხ. ნავასი (86)

**მაყურებელი:** 8 000

მუნდიალის მონაწილეები საბერძნეთი და პარაგვაი ერთმანეთს შვეიცარიის ქალაქ ვინტერტურში დაუპირისპირდნენ. **ხერარდო მარტინოს** გუნდმა პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლის წყალობით დაამარცხა **ოტო რეჰაგელის** რჩეულები - 2:0.

თავიდანვე ინიციატივა სამხრეთამერიკელებმა იგდეს ხელთ და უკვე მე-9 წუთზე **როკე სანტა კრუსმა** ბურთი ხარიხას გაარტყა, ხოლო დამატებულზე **ენრიკე ვერამ** იყოჩაღა. 25-ე წუთზეც პარაგვაელთა გოლს საფუძველი „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდმა დაუდო, სანტა კრუსის დარტყმული ამჯერად მეკარე **ალექსანდროს ცორვასმა** მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა **ლუკას ბარიოსმა** იყოჩაღა - 2:0. სხვათა შორის ბარიოსმა ეროვნული ნაკრების მაისური მხოლოდ მესამედ მოირგო და მესამე გოლიც გაიტანა.

ამის შემდეგ პირველ ტაიმში ბერძნები დომინირებდნენ, **დიმიტრის სალპინგიდისს** რეფერიმ გატანილი გოლი ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალა, ხოლო გოლის გატანასთან ახლოს იყვნენ **ალექსანდროს ციოლისი** და **გეორგიოს სამარასი.** მეორე ტაიმი პირველთან ახლოსაც ვერ მივიდოდა, ამის მიზეზი კი შესვენებაზე გაკეთებული მრავალი ცვლილებაა ორივე გუნდში. ერთადერთი სანტა კრუსის დარტყმას გამოვარჩევთ, რომელიც კარის ხაზიდან მცველმა პაპადოპულოსმა გამოიტანა. პარაგვაის ნაკრებმა იტალიასთან მატჩის წინ შესანიშნავი განწყობა დაიბევა, ბერძნებმა კი ჩრდილოეთ კორეასთან მოულოდნელ ფრეს მარცხი მიაყოლეს.

სერბეთის ნაკრები მუნდიალისთვის ავსტრიაში ემზადება. კოკისპირულ წვიმაში სერბეთისა და პოლონეთის ნაკრებებმა უგოლო ფრე ითამაშეს. შეხვედრაში ტრავმა მიიღო სერბთა ლიდერმა **დეიან სტანკოვიჩმა**. მატჩი ორჯერ შეწყდა სერბი ფანების მოედანზე შეჭრის გამო.

ჰონდურასის ნაკრებს კი ბევრი შრომა სჭირდება, რომ მუნდიალს მომზადებული შეხვდეს და როგორც ჩანს, ამერიკელები ამას ვერ ასწრებენ. მათ 10-კაციან აზერბაიჯანს ვერ მოუგეს, 73-ე წუთზე ჩვენმა მეზობლებმა წითელი ბარათის გამო **საშა იონისოღლუ** დაკარგეს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის გოლკიპერს მხოლოდ ერთხელ მოუწია გუნდის ხსნა, მას შემდეგ, რაც მის კარში **რამონ ნუნიესმა** დაარტყა.

ესპანეთის ნაკრებმა სამუნდიალო სპარინგში დიდ ხანს ვერაფერი მოუხერხა სამხრეთ კორეის გუნდს, თუმცა ბოლო გასაღები მაინც უპოვა აზიელთა კარს, ეს კი „სევილიას“ ვინგერმა **ხესუს ნავასმა** ბრწყინვალე დარტყმით მოახერხა, მატჩის დასრულებამდე 4 წუთილა რჩებოდა.

ინსბრუკში მატჩის ერთადერთი გოლი მართლაც ულამაზესი გამოდგა, ნავასმა დაახლოებით 20-21 მეტრიდან უცნაური ტრაექტორიით **სუნ-რიუნ იონის** კარის „ცხრიანში“ გაიტანა. **ვისენტე დელ ბოსკე** კორეელებთან მატჩში ძირითადად იმ ფეხბურთელებს დაეყრდნო, რომელთაც სათადარიგოს როლი დაეკისრებათ მუნდიალზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კლუბები და მსოფლიოს ჩემპიონატი

# მთელი ჩელსი და ბარსა მუნდიალზე

მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმოდგენილი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი მოთამაშე „ბარსელონას“ და „ჩელსის“ ეკუთვნით. ლონდონურ და კატალონიურ გრანდებს მუნდიალზე 13-13 ფეხბურთელი ეყოლებათ. მესამე ადგილზე მიუნხენის „ბაიერნია“ - 11 ფეხბურთელით (7 გერმანელი).

### 1. ჩელსი (13)

**ეშლი კოული, ჯო კოული, ფრენკ ლემპარდი, ჯონ ტერი** (ყველა ინგლისი), **ბრანისლავ ივანოვიჩი** (სერბეთი), **რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, დეკუ** (ყველა პორტუგალია), **ჯონ ობი მიკელი** (ნიგერია), **ფლორან მალუდა, ნიკოლა ანელკა** (საფრანგეთი), **დიდიე დროგბა, სალომონ კალუ** (კოტ დ'ივუარი).

### 2. ბარსელონა (13)

**ვიქტორ ვალდესი, ხერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ჩავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა, სერხიო ბუსკეტსი, პედრო როდრიგესი** (ყველა ესპანეთი), **რაფაელ მარკესი** (მექსიკა), **დანი ალვეში** (ბრაზილია), **ერიკ აბიდალი, ტიერი ანრი** (საფრანგეთი), **იაია ტურე** (კოტ დ'ივუარი), **ლიონელ მესი** (არგენტინა).

### 3. ბაიერნი (11)

**ჰანს-იორგ ბუტი, ჰოლგერ ბადშტუბერი, ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი, თომას მიულერი, მიროსლავ კლოზე, მარიო გომესი** (ყველა გერმანია), **მარტინ დემიკელისი** (არგენტინა), **არიენ რობენი, მარკ ვან ბომელი** (ჰოლანდია), **ფრანკ რიბერი** (საფრანგეთი).

### 4. ინტერი (10)

**ჟულიო სეზარი, ლუსიო, მაიკონი** (ყველა ბრაზილია), **ვალტერ სამუელი, დიეგო მილიტო** (ორივე არგენტინა), **დეიან სტანკოვიჩი** (სერბეთი), **ვესლი სნეიდერი** (ჰოლანდია), **რენე კრჰინი** (სლოვენია), **სალი მუნტარი** (განა), **სამუელ ეტო'ო** (კამერუნი).

### 5. პანათინაიკოსი (10)

**ალექსანდროს ცორვასი, გეორგიოს სეიტარიდისი, ლუკას ვინტრა, ნიკოლაოს სპიროპულოსი, კონსტანტინოს კაცურანისი, გეორგიოს კარაგუნისი, სოტირის ნინისი, დიმიტროს სალპინგიდისი** (ყველა საბერძნეთი), **ჟილბერტო სილვა** (ბრაზილია), **ჯიბრილ სისე** (საფრანგეთი).

### 6. ლივერპული (10)

**გლენ ჯონსონი, სტივენ ჯერარდი, ჯეიმი კარაგერი** (ყველა ინგლისი), **პეპე რეინა, ფერნანდო ტორესი** (ორივე ესპანეთი), **დანიელ აგერი** (დანია), **სოტირიოს კირიაკოსი** (საბერძნეთი), **მაქსი როდრიგესი, ხავიერ მასკერანო** (ორივე არგენტინა), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია).

### 7. არსენალი (8)

**ბაკარი სანია, ვილიამ გალასი, გაელ კლიში** (ყველა საფრანგეთი), **სესკ ფაბრეგასი** (ესპანეთი), **ალექსანდერ სონგი** (კამერუნი), **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია), **ემანუელ ებუე** (კოტ დ'ივუარი), **ნიკლას ბენდტნერი** (დანია).

### 8. იუვენტუსი (8)

**ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ჯორჯო კიელინი, მაურო კამორანეზი, კლაუდიო მარკიზიო, ვინჩენცო იაკუინტა** (ყველა იტალია), **ფელიპე მელო** (ბრაზილია), **კრისტიან პოულსენი** (დანია)

### 9. რეალი (8)

**იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი, ალვარო არბელოა, ჩაბი ალონსო** (ყველა ესპანეთი), **გონსალო იგუაინი** (არგენტინა), **კაკა** (ბრაზილია), **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ჰოლანდია), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია)

**გოტფრიდ ლენცი**

ფიორენტინა

# პრანდელი ოფიციალურად წავიდა, დღეიდან მიხაილოვიჩი

„ფიორენტინამ“ ეტიკეტი დაიცვა - ახალ მწვრთნელს მხოლოდ მას მერ უხმო, როცა ძველმა კლუბი ოფიციალურად დატოვა. დიახ, **ჩეზარე პრანდელი**, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ნაკრებს ჩაიბარებს, გუშინ „ვიოლას“ ყველა წესის დაცვით გამოეთხოვა... თუმცა ერთი „წესი“ მაინც დაარღვია - კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ „ფიორენტინას“ ოფისიდან ისე წავიდა, ჟურნალისტებისთვის არაფერი უთქვამს...

ახლა მედიისთვის სხვა კაცს ექნება სათქმელი - როგორც თავშივე ვთქვით, გუშინვე „ფიორენტინამ“ პრანდელის შემცვლელად 41 წლის **სინიშა მიხაილოვიჩი** მიიყვანა. ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია დღეს შედგება. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ მიხაილოვიჩი 1992 წლიდან იტალიაშია. 14 წლის განმავლობაში მან „რომა“, „სამპდორია“, „ლაციო“ და „ინტერი“ მოიარა. 425 მატჩში მან მცველი კვალობაზე უჩვეულოდ ბევრი - 83 გოლი გაიტანა (63 მატჩი და 11 გოლი ყოფილი იუგოსლავიის ნაკრების სახელით).



სინიშა მიხაილოვიჩი

2006-დან 2008 წლამდე სინიშა „ინტერში“ **რობერტო მანჩინის** ეხმარებოდა, მერე კი დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას - ჯერ „ბოლონიაში“ ილვაწა, ბოლო სეზონში კი „კატანია“ დატოვა სერია A-ში. დაუვიწყარი იყო გასული ჩემპიონატის ერთი მატჩი, როცა სიცილიელებმა მომავალ ჩემპიონსა და ლიგის ტრიუმფატორ „ინტერს“ 3:1 მოუგეს.

ეს, რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, „ფიორენტინას“ სატრანსფერო ამბებს კი მე-8 გვერდზე შეიტყობთ...

**ლაშა წიკლაური**

ვიქტორინა

# ათიანში!

11 ივნისიდან ფეხბურთის დიდი დღესასწაული გვესტუმრება. აფრიკის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში მდებარე სახელმწიფო - სამხრეთი აფრიკა მთელი თვის განმავლობაში უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32 ნაკრებს. ტელემაყურებელთა ორმილიარდიან არმიას ჩვენი გულშემატკივარიც შეუერთდება. გულშემატკივარს კი, ზოგადად, პროგნოზები უყვარს და გამარჯვებულის ამოცნობას ეშურება...

„ათიანი“ მკითხველს პროგნოზის გამოთქმის საშუალებას პირველად არ აძლევს. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში ხომ სწორედ ასე იტყვიან ხოლმე - ათიანში გაარტყაო! კონკურსში მონაწილეობა ყველას შეუძლია. ამისთვის, საკმარისია სამკაციანი გუნდის შედგენა და თქვენი პროგნოზების რედაქციაში გამოგზავნა მისამართზე:

atiani_magazine@hotmail.com

საკონკურსო კითხვებზე პასუხები წინასწარ, ჩემპიონატის დაწყებამდე (11 ივნისამდე) უნდა მოგვაწოდოთ. მკითხველები უნდა წარდგნენ 3-კაციან გუნდებად და გუნდებსაც შესაფერისი, სასურველია, სახალისო სახელი შეურჩიონ. ერთი გუნდის წევრთა პროგნოზები აუცილებელი არ არის, მერრდებოდეს, მთავარია გუნდის 3 წევრის მიერ ინდივიდუალურად მოგროვილი ქულების ჯამი. საკონკურსო კითხვა სულ ხუთია. თითოეულ კითხვაზე შესაძლებელია მაქსიმალური 32 ქულის მოგროვება. ხუთ საკონკურსო კითხვაზე მონაწილემ სწორი პასუხებით შეიძლება 160 ქულა მოაგროვოს, გუნდებისთვის კი მაქსიმუმი 480 ქულაა. საკონკურსო კითხვები ასეთია:

1. რომელი გუნდები გავლენ ქვეჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე? (ყოველ სწორად გამოცნობილ ადგილზე 2 ქულაა).

2. რომელი გუნდები გახდებიან ნახევარფინალისტები? (ყოველი ნახევარფინალისტის გამოცნობაზე 8 ქულაა).

3. რომელი გუნდები გავლენ ფინალში? (ყოველი ფინალისტის გამოცნობაზე 16 ქულაა).

4. ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი? (ჩემპიონის გამოცნობაზე 32 ქულაა).

5. ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი? (სწორი პასუხისთვის 32 ქულაა. თუ რამდენიმე თავდამსხმელმა გოლების ერთნაირი რაოდენობა გაიტანა, ქულები გაიყოფა. კონკურსის მონაწილეს შეუძლია დაასახელოს ერთზე მეტი საუკეთესო ბომბარდირი).

მოსალოდნელი ტრანსფერი

# წაიყვანს ჟოზე ბალაკს?

## თუ ჯერარდი არ გამოვა, ჟოზე მიხაელს უფასოდ გადაიბირებს

ტრავმირებული **მიხაელ ბალაკი**, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს, მეუღლესთან ერთად აშშ-ში გაემგზავრა და ახლა მაიამიში ისვენებს. გერმანიის ნაკრების უილბლო კაპიტანს ფეხი ისევ თაბაშირში აქვს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ დიდი შანსია, მიხაელს შესანიშნავი პერსპექტივა გაუჩნდეს. საქმე ის არის, რომ „კიკერის" ინფორმაციით, 33 წლის ნახევარმცველი შეიძლება მადრიდის „რეალში" გადავიდეს. როგორც იცით, „სამეფო გუნდის" მწვრთნელად **ჟოზე მოურინიო** დაინიშნა, რომელიც ლონდონის „ჩელსიში" მუშაობისას ბალაკსაც წვრთნიდა. მიხაელს კი „არისტოკრატებთან" კონტრაქტი უმთავრდება, რომელიც ჯერაც არ გაუხანგრძლივებია. „კიკერი" წერს, რომ მოურინიო უკვე ესაუბრა მიხაელის მრჩეველს. თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ მოურინიო ბალაკს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიბირებს, თუ „ლივერპულიდან" **სტივენ ჯერარდის** ყიდვას ვერ შეძლებს.

რაკი საკმაოდ რთულად წარმოსადგენია, რომ ჯერარდმა მერსისაიდული კლუბი დატოვოს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბალაკის „რეალში" ტრანსფერი საკმაოდ რეალურია. თვითონ გერმანელი ფეხბურთელი ჯერჯერობით არაფერს ადასტურებს და არც უარყოფს.

*„ფაქტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე თუ მის შემდეგ, რომელიმე კლუბთან კონტრაქტს გავაფორმებ. მე იმედი მაქვს, რომ ეს „ჩელსი" იქნება, რადგან ლონდონურ კლუბში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. „ჩელსის" დიდ პატივს ვცემ და ამ გუნდში დარჩენა მინდა. სამწუხაროდ, ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ჩემთვის ჯერ არავის მოუმართავს"*, - აცხადებს ბალაკი, რომელსაც „ჩელსისთან" კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება.

ბალაკსა და „ჩელსის" ხელმძღვანელებს შორის პირველი მოლაპარაკებები თებერვალსა და მარტში შედგა, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა, რადგან მხარეებს ზედმეტად სხვადასხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ. ლონდონური კლუბი მიხაელს მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდა, ბალაკს კი მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდა.

მოურინიო კი ბალაკს ძალიან კარგად იცნობს და მის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება. *„მიხაელი შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელიც არასდროს ნებდება და ყოველთვის ასი პროცენტით თავდადებულია. მასთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო,"* - თქვა მოურინიომ რამდენიმე კვირის წინ და ხომ იცით, ჟოზე ასეთი სიტყვებით ძალიან იშვიათად საუბრობს ხოლმე. ფაქტია, რომ მოურინიოს ძალიან უყვარს მიხაელ ბალაკის სტილის ფეხბურთელები.



მიხაელ [illegible] და ჟოზე მოურინიო



გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე მანუელ ნოიერი

პორტრეტი

# გერმანიის ახალი ერთიანი

## ლიბერო, რომელიც ხელთათმანებს ატარებს

**მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარს მანუელ ნოიერი დაიცავს. უნგრეთთან ამხანაგური მატჩი (3:0 გერმანიის სასარგებლოდ) მანუელისთვის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო ბუნდესგუნდის ნომერ პირველი კიპერის რანგში. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ 24 წლის შალკელს შესანიშნავი შანსი აქვს, გერმანიის ნაკრებში დიდი ერა შექმნას.**

როდესაც გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** და მეკარეების დამრიგებელმა **ანდრეას კიოპკემ** საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს, თუ ვინ უნდა ჩაეყენებინათ მუნდიალზე ბუნდესგუნდის კარში, ეს კი სულ რაღაც 7 დღის წინ მოხდა, ორი უმთავრესი კონკურენტიდან ნერვიულობა და შფოთვა მხოლოდ ნაგებულს, ბრემენელ **ტიმ ვიზეს** ეტყობოდა. არადა, ყველა ლოგიკის მიხედვით პირიქით უნდა ყოფილიყო. ნოიერი კი მშვიდი, ობიექტური და იმდენად უშფოთველი ჩანდა, თითქოს გერმანიის ნაკრებში უკვე 50-ზე მეტი მატჩი ჰქონდეს ჩატარებული. ფოტორეპორტიორებს დიდი ჯაფა დაადგათ იმისათვის, რომ ნოიერი ზუსტად ისეთ მომენტში გადაეღოთ, როცა მას სახეზე ბედნიერება ეტყობოდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები სწორედ ამის გამო გაოცდნენ: ახალგაზრდა მეკარემ ყველაფერი ისე მშვიდად მიიღო, თითქოს ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებდეს.

გასაოცარი იყო მანუელის უაღრესად მშვიდი ტონი და თავდაჯერებული კომენტარებიც. „შალკეს" კიპერმა თქვა, პირველ მეკარედ მე რომ არ დავესახელებინე, ეს ჩემთვის უდიდესი იმედგაცრუება იქნებოდა, ხოლო რაკი დამასახელეს, მიმაჩნია, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, ჩემი შრომის დაფასებააო.

ექსპერტები ულაპარაკოდ თანხმდებიან იმაზე, რომ ნოიერის სტილი გერმანიის ნაკრების სამ მეკარეს შორის ყველაზე თანამედროვე და დღევანდელი ფეხბურთისთვის ზედგამოჭრილია. ლიოვს და კიოპკეს მანამდეც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მათ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ისეთი მეკარე სურდათ, რომელიც თავისუფლად შეძლებდა ლიბეროს ფუნქციების შესრულებასაც და საჭიროების შემთხვევაში, კარგ შეტევასაც წამოიწყებდა. სჭირდებოდათ კიპერი, რომელიც არა მარტო მეკარეობით გამოირჩევა, არამედ თამაშს მთლიანად კითხულობს. მანუელ ნოიერი ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და ხანდახან, ზედმეტად დიდ რისკებზეც მიდის ხოლმე.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორ **მათიას ზამერს** რომ ჰკითხოთ, მისი აზრით, ნოიერის პირველობა მაშინვე გადაწყდა, როცა გაირკვა, რომ ლევერკუზენელი **რენე ადლერი** სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრებოდა. მანუელი დღესდღეობით საუკეთესო გერმანელი მეკარეაო, ამბობს ზამერი. ამ უკანასკნელის გარდა, ნოიერს ბოლო დროს ხშირად აქებდნენ **ფრანც ბეკენბაუერი** და ბუნდესგუნდის ყოფილი მეკარე **იენს ლემანიც**. სხვათა შორის, ნოიერი თავისი სტილით ძალიან ჰგავს ლემანს. აი, ბუნდესგუნდის მეკარეების მწვრთნელი კიოპკე კი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა. პრინციპში, ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას უნდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე მეკარე ვიზე და მესამე კიპერი **იორგ ბუტიც** მოტივირებულები იყვნენ. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ნოიერს ბედი ეხსნება - რაკი მსოფლიოს ჩემპიონატზე ის პირველი მეკარე იქნება, გამოდის, რომ თავის არც ისე დიდ კარიერაში მან უკვე მიაღწია ზენიტს. მუნდიალზე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეობა ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს და როგორც გერმანელები იტყვიან ხოლმე, ამის იქით უკვე აღარაფერია.

თუკი ნოიერი, რომელმაც უნგრეთთან მატჩში კარი მშრალად შეინახა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ითამაშებს, შესანიშნავი შანსი ექნება, ბუნდესგუნდის პირველი ნომერი არც მუნდიალის შემდეგ დათმოს. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რენე ადლერი გამოჯანმრთელდება, მაგრამ გერმანელებს არ უყვართ მეკარეების ხშირი ცვლა და თუ ნოიერმა მართლაც კარგად იასპარეზა, არც შეცვლიან. მაშინ კი შეგვეძლება იმის თქმა, რომ კარიერის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ადლერს ძალიან არ გაუმართლა, ნოიერს კი პირიქით, ბედი ჰქონია.

კიოპკე ამბობს, მანუელს უდიდესი პოტენციალი აქვსო. პირველი ნომრობა მუნდიალზე, პლუს ამას დიდი პოტენციალი - ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს შანსი, ძალიან დიდხანს იყოს გერმანიის ნაკრების ძირითადი მეკარე, ითამაშოს 2014 წლის მუნდიალზე (ბრაზილიაში) და 2018 წლის მუნდიალზეც. რაც მთავარია, 2018 წელს მანუელი 32 წლის იქნება და ნამდვილად ექნება შანსი, რომ კიდევ მინიმუმ ერთ მუნდიალზე იასპარეზოს.

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, საიდან დაიწყო ნოიერის აღმასვლა. 2006 წლის ნოემბერში მანუელი „შალკეს" სათადარიგო კიპერი გახლდათ, მაგრამ იმის გამო, რომ გუნდი კატასტროფულად ცუდად თამაშობდა, გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** გადაწყვიტა, გამოცდილი **ფრანკ როსტი** სათადარიგოთა სკამზე დაესვა, რადგან ის ფიქრობდა, რომ გუნდის წარუმატებლობებში ყველაზე მეტი ბრალი სწორედ როსტს მიუძღოდა. სლომკა მას გოლების განგებ გაშვებაში ადანაშაულებდა. ამრიგად სლომკამ კარში ნოიერი ჩააყენა - ახალგაზრდა მეკარე, რომელსაც მანამდე ბუნდესლიგაში მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული. თანაც, მირკო მანუელს პირველად მაინცდამაინც „ბაიერნთან" შეხვედრაში ენდო. მართალია, იმხანად 19 წლის ნოიერმა რეკორდმაისტერთან შეხვედრაში ორი გოლი გაუშვა (მატჩი 2:2 დასრულდა და თუ გახსოვთ, სწორედ იმ შეხვედრაში გაუტანა **ლევან კობიაშვილმა ოლივერ კანს** ის ბრწყინვალე გოლი), საერთო ჯამში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მას მერე, მანუელ ნოიერი „შალკეს" პირველი მეკარეა.

მანუელი გელზენკირხენში დაიბადა, გაიზარდა და 4 წლიდან „შალკეში" თამაშობს. ბავშვობაში „აუფ შალკეს" ჩრდილოეთ ტრიბუნაზე იჯდა ხოლმე, მოგვიანებით კი „აუტჩიკიც" ხშირად იყო. ნოიერი ყოველთვის ამბობდა, რომ მისთვის მისაბაძი მაგალითი ლემანია (და არა კანი). მანუელმა ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც მოასწრო და თანაც ისე კარგად ასპარეზობდა, რომ მისი შეძენა რამდენიმე გრანდს მოუნდა, მაგრამ ახალგაზრდა კიპერი „შალკეს" ერთგული დარჩა.

ზემოთ ნოიერის იღბლიანობა ვახსენეთ და რაც უნდა მძიმედ ჟღერდეს, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ: მანუელი მხოლოდ მას მერე გახდა გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეობის კანდიდატი, რაც **რობერტ ენკემ** თავი მოიკლა და რენე ადლერი დაშავდა. რომ არა ენკეს სიკვდილი ან ადლერის ტრავმა, მანუელი სამხრეთ აფრიკაში სავარაუდოდ ბუნდესგუნდის მესამე მეკარე იქნებოდა. მართალია, შარშან ის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა და თავისი შესაძლებლობები იმ ტურნირზეც დაამტკიცა, მაგრამ გერმანიის პირველ ნაკრებში იერარქია სხვანაირად ეწყობა ხოლმე და ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მანუელი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ნომერი იქნებოდა.

ბუნდესგუნდში დებიუტი 2009 წლის 2 ივნისს ჰქონდა, ემირატებთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც გერმანელებმა 7:2 მოიგეს. და მართალია, იმ მატჩის შემდეგ ლიოვმა შალკელი ძალიან აქო, იოგი მას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მაინც მესამე მეკარედ განიხილავდა - ტალანტად, რომელიც სამხრეთ აფრიკაში სათადარიგოთა სკამის ხეხვით გამოცდილებას დააგროვებდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნოიერი მაინც არ არის ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე გამოუცდელი მეკარე ბუნდესგუნდში, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ღირსება უნდა დაიცვას. 1962 წელს **ვოლფგანგ ფარიანი** მხოლოდ და მხოლოდ 20 წლის იყო და მუნდიალამდე ნაკრებში ოდენ ერთი მატჩი ჰქონდა ჩატარებული. 1990 წელს კი, გერმანიის ნაკრების კარს 23 წლის **ბოდო ილგნერი** იცავდა, რომელიც სულაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ის ფაქტი, რომ ასაკი და გამოუცდელობა მაინც მის წინააღმდეგ მეტყველებს, ნოიერს ოდნავადაც არ აღარდებს. *„აქამდე რაც უნდა გამეკეთებინა, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად და კარგად გავაკეთე. 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად გერმანიის ჩემპიონი გავხდი, უკვე ბევრი თამაში ჩავატარე ჩემპიონთა ლიგაშიც. ვფიქრობ, რომ ჩემს ასაკში ესეც ძალიან ბევრია,"* - აცხადებს ბუნდესგუნდის პირველი ნომერი.

ესეც მისი კიდევ ერთი პლუსი: თავდაჯერებულობა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეს საინტერესოა

### ბუნდესმეკარეები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

| მუნდიალი | მეკარე | კლუბი | ასაკი | თ |
|---|---|---|---|---|
| 1934 | ვილიბალდ კრესი | დრეზდენი | 27 | 13 |
| 1938 | რუდოლფ რაფტლი* | რაპიდი | 27 | 6 |
| 1954 | ტონი ტურეკი | ფორტუნა | 35 | 14 |
| 1958 | ფრიტც ჰერკენრათი | ესენი | 29 | 15 |
| 1962 | ვოლფგანგ ფარიანი | ულმი | 20 | 1 |
| 1966 | ჰანს ტილკოვსკი | ბორუსია (დ) | 30 | 32 |
| 1970 | ზეპ მაიერი | ბაიერნი | 26 | 19 |
| 1974 | ზეპ მაიერი | ბაიერნი | 30 | 50 |
| 1978 | ზეპ მაიერი | ბაიერნი | 34 | 83 |
| 1982 | ჰარალდ შუმახერი | კიოლნი | 28 | 25 |
| 1986 | ჰარალდ შუმახერი | კიოლნი | 32 | 67 |
| 1990 | ბოდო ილგნერი | კიოლნი | 23 | 15 |
| 1994 | ბოდო ილგნერი | კიოლნი | 27 | 34 |
| 1998 | ანდრეას კიოპკე | მარსელი | 34 | 54 |
| 2002 | ოლივერ კანი | ბაიერნი | 32 | 45 |
| 2006 | იენს ლემანი | არსენალი | 36 | 32 |
| 2010 | მანუელ ნოიერი | შალკე | 24 | 4 |

* რაფტლს ექვსივე თამაში ავსტრიის ნაკრებში ჰქონდა ჩატარებული

ლივერპული

# ბენიტესი წავიდა!

დიახ, **რაფა ბენიტესი** გუშინ „ლივერპულიდან" წავიდა - მერსისაიდული კლუბის პატრონებმა ესპანელ მწვრთნელს უთხრეს, რომ მასთან თანამშრომლობა აღარ სურთ. ამ ნაბიჯის გადადგმას კლუბის დირექტორთა მხრიდან გარკვეული ძალისხმევა დასჭირდა. „ლივერპულში" თითქოსდა პატური სიტუაცია იყო შექმნილი, როცა ნაბიჯს ვერც ბენიტესი დგამდა და ვერც მისი დამქირავებელი, მაგრამ გამოსავალი მოიძებნა და აქ, როგორც ხშირად ხდება, საქმე ფულში იყო - „წითლების" შეფებმა რაფას კომპენსაცია შესთავაზეს და 6-წლიან თანამშრომლობას ამით წერტილი დაუსვეს.

საინტერესოა, რომ მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას შორის საუბარი სატელეფონო კონფერენციით შედგა (ბენიტესი ახლა სარდინიაზე ისვენებს). ვერ გეტყვით, ვინ და საიდან ელაპარაკა მწვრთნელს, მაგრამ ფაქტი ერთია - მოსახდენი მოხდა და ახლა რაფას შემცვლელის მოძებნამდე „ენფილდ როუდზე" საქმეებს მისი ასისტენტი **სემი ლი** გაუძღვება. ეს ბატონი „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია და ბოლო ორი წელიწადი „წითლების" თავკაცს ედგა მხარში...

არადა, ერთხანს გარედან ისე ჩანდა, თითქოს ბენიტესსა და „ლივერპულის" პატრონებს შორის საერთო ენა გამოინახა... მაგრამ თურმე ყველაფერი მოჯადოებულ წრეში ტრიალებდა. ეს წრე სადღაც უნდა გაწყვეტილიყო. ამბობენ, რომ თავად ბენიტესი ვერ გრძნობდა, თუ რაოდენ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ინგლისურ პრესაში მისი და „ლივერპულის" ძველი სიყვარულისა და გაჭიანურებული განშორების ისტორიას, უკვე სატელევიზიო სერიალებსაც კი ადარებდნენ. ამბობენ, რომ თავიდან „ლივერპულმა" ესპანელს კონტრაქტის შეწყვეტაში 3 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ მან თავი შეიკავა, რადგან ხელშეკრულების თანახმად, „ენფილდზე" კიდევ ოთხი წელიწადი უნდა დარჩენილიყო და ამ პერიოდში 16 მილიონი აეღო. საბოლოოდ, დაახლოებით 4 მილიონზე შეთანხმებულან. ალბათ, ბენიტესი კიდევ ივაჭრებდა, „ინტერში" მნიშვნელოვნად დიდ ხელფასზე გადასვლის პერსპექტივა რომ არ გასჩენოდა...

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი მერსისაიდელთათვის კატასტროფული აღმოჩნდა. გუნდისგან, რომელიც ერთი წლით ადრე პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გავიდა და ყველას „მანჩესტერ იუნაიტედის" უმთავრეს კონკურენტად მიაჩნდა, მეშვიდე ადგილსა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მიღმა დარჩენას არავინ ელოდა. ასეთი ჩავარდნა „ლივერპულის" ამერიკელ მეპატრონეებს **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** მრავალი მიზეზის გამო არ აძლევდა ხელს. ნაგება რომ არავის უყვარს, გასაგებია, ამაზე არც ვლაპარაკობთ, აქ საქმე უფრო ბიზნესს ეხება. ამერიკელ მილიონერთა წყვილმა ბევრჯერ განაცხადა, რომ „ლივერპულის" გაყიდვას აპირებს და, თითქოს, რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რომელ ადგილზე გავა გუნდი, მაგრამ ასე არ არის. ვაითუ, „წითლებმა" მომავალ სეზონში კიდევ უფრო ღრმა კრიზისში შეტოპონ? ხომ არ გაართულებს ეს კლუბის გაყიდვის საქმეს? ხომ არ დაამძიმებს ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას? რასაკვირველია, ასე იქნება, ამიტომ, ჰიკსისა და ჯილეტისთვის ნათელია, რომ „ლივერპულის" სარფიანად გაყიდვისთვის ჯობს, პროცესი უკონტროლოდ არ მიუშვან და ბენიტესის ნაცვლად ახალი მწვრთნელი მიიყვანონ. გასულმა სეზონმა აშკარად გამოაჩინა, რომ რაფას ეპოქა დასრულებულია და „ენფილდზე" ახალი სისხლია საჭირო.

ზემოთ ვახსენეთ, რომ რაფა ბენიტესი მერსისაიდელებს უკვე 6 წლის განმავლობაში წვრთნის, მაგრამ არაფერი გვითქვამს მისი მუშაობის ეკონომიკურ მხარეზე. ამ დროის განმავლობაში 70 ფეხბურთელის ყიდვაში 220 მილიონი გირვანქა დახარჯა. ცოტა ხნის წინ კლუბის მეპატრონეებმა ბენიტესს გამოუცხადეს, რომ ამ ზაფხულს სატრანსფერო ბიუჯეტს სერიოზულად შეუმცირებდნენ, რაზეც ესპანელს ასეთი რეაქცია ჰქონდა - დირექტორატისგან წერილობითი გარანტია მოითხოვა, რომ ყოველი ფეხბურთელის გაყიდვით შემოსულ თანხას სხვაგან კი არ წაიღებდნენ, არამედ ახალი მოთამაშეების საყიდლად გამოიყენებდნენ. როგორც ჩანს, ასეთმა დამოკიდებულებამ „ლივერპულის" პატრონები გააღიზიანა, მით უფრო, რომ ბენიტესს, როგორც ფეხბურთელების მყიდველს, ტრავმირებულ **ალბერტო აკვილანიში** 17 მილიონი გირვანქის გადახდის შემდეგ სახელი ჰქონდა გატეხილი.

ამ სიტუაციამ თავის მხრივ ბენიტესიც შებოჭა - ესპანელმა იფიქრა, ფეხბურთელები რომ გავყიდო, ესენი ფულს აღარ მომცემენ და გუნდი სულ დამისუსტდებაო, რასაც ლოგიკური მოქმედებები მოაყოლა - აღარავის ყიდდა. რასაკვირველია, „ლივერპულის" თავმჯდომარეს **მარტინ ბრაფტონს** რომ ეთქვა, ფეხბურთელების გაყიდვით მიღებულ თანხებს შენ გიტოვებ და რაც გინდა გააკეთეო, პატური სიტუაცია აღარ შეიქმნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მხარეებს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის რესურსი აღარ ჰქონდათ.

თუ გახსოვთ, ამ გაზაფხულზე ბენიტესის დაქირავება „იუვენტუსს" მოუნდა. როგორც ინგლისური პრესა წერს, იმ დღეებში „ლივერპულის" შეფებს იმედი ჩაესახათ, რომ მწვრთნელი ახალი წინადადებით მოიხიბლებოდა და იოლი გამოსავალიც გამოჩნდებოდა, მაგრამ... ასე არ მოხდა - ბენიტესს „ბებერი ქალბატონის" პროექტი არ მოეწონა და ისევ „ენფილდზე" დარჩენა, ანუ კლუბის დირექტორატთან ფულზე ლაპარაკი და ჩივილი არჩია. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, სინამდვილეში კი ჩიხი მიიღო.

ამასობაში კი „ლივერპულის" ზარალი იზრდებოდა. წლიურმა დანაკარგმა 55 მილიონ გირვანქას მიაღწია, ჯამურმა ვალმა 351 მილიონს, რასაც დაემატა სპორტული ფიასკოც - გუნდი ვერც ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და ასეთ დღეში ჩავარდნილი კლუბის გაყიდვა რომ იოლი საქმე არ არის, მშვენივრად მოგეხსენებათ.

კაცმა რომ თქვას, მას მერე, რაც ბენიტესმა „ლივერპულში" მუშაობის პირველსავე სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, „წითლების" მწვრთნელს გუნდისთვის წარმატებების მოტანა გაუჭირდა. არადა, სტამბოლში, 2005 წლის დაუვიწყარ ფინალში გამარჯვებამ (შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა" „მილანთან" 0:3 გააბათილა და პენალტების სერიაში მოიგო) მოლოდინის თამასა ძალიან მაღლა ასწია. ბენიტესს გმირად მიიჩნევდნენ, ისიც აჰყვა ხალხს, მათთან ერთად ზეიმობდა, თავს მათ ნაწილად გრძნობდა, ამასობაში კი გუნდი სუსტდებოდა...

და რა მოხდება ახლა? დიდი შანსია, ბენიტესი „ინტერის" მწვრთნელი გახდეს. მეტიც, ალბათ ასეც მოხდება, მაგრამ ვაი, რომ პრობლემები იქაც არის, თან სხვაგვარი და ძალიან სერიოზული - „სან სიროზე" თამასა კიდევ უფრო მაღლა აწეული დახვდება. „ინტერი" იტალიის ჩემპიონი, თასის მფლობელი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია. შეძლებს კი რაფა **ჟოზე მოურინიოს** მიღწევების გამეორებას? რა გითხრათ... მაგრამ თუ სტამბოლის იმ ერთ საღამოს გავიხსენებთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...



ლივერპულში რაფა ბენიტესის ექვსწლიანი ერა დასრულდა



ლივერპულში მისვლის ყველაზე დიდი შანსი მარტინ ონილს აქვს

## ვინ შეცვლის ბენიტესს?

**ასე და ამგვარად, მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ვაკანსია გაჩნდა - „ლივერპულს" მწვრთნელი სჭირდება. ვის განიხილავენ მერსისაიდელთა ახალ თავკაცად? ვინ ჩანს დღეს რაფა ბენიტესის ყველაზე სავარაუდო შემცვლელად? ამ წუთისთვის, ასეთი ოთხია და ინგლისურ ტოტალიზატორებში მათ უკვე კოეფიციენტებიც უწერიათ. დავიწყოთ უელსელით...**

### 1. მარკ ჰიუზი

უელსის ნაკრებში მიღებული მცირე გამოცდილების შემდეგ, 2004 წელს „ბლექბერნის" თავკაცად დანიშნეს და ხელად დაატყო გუნდს ხელი. მისი ხელმძღვანელობით ლანკაშირელები ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში გადიოდნენ უეფას თასზე. 2008 წელს უელსელმა მწვრთნელმა „ბლექბერნი" დატოვა და „მანჩესტერ სიტიში" **სვენ გორან ერიქსონი** შეცვალა. როგორც კი ისტლენდელები არაბმა ინვესტორებმა შეიძინეს, ჰიუზმა ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდი დაამყარა - „რეალისგან" ბრაზილიელი **რობინიო** 32,5 მილიონ გირვანქად იყიდა. მუხლჩაუხრელი შრომის მიუხედავად, მწვრთნელის შედეგებით ინვესტორები უკმაყოფილონი დარჩნენ და შარშან, დეკემბერში ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მას მერე არსად უმუშავია, კარგ წინადადებას ელოდა.

### 2. როი ჰოჯსონი

ინგლისელ მწვრთნელს შთამბეჭდავი CV აქვს. ბოლოს მან ლონდონის „ფულჰემში" მუშაობით გაიმყარა რენომე. ახლახან, მაისში, მოკრძალებულმა დედაქალაქურმა კლუბმა მისი ხელმძღვანელობით ევროპის ლიგის ფინალში ითამაშა. „ფულჰემის" 131-წლიან ისტორიაში ეს პირველი საერთაშორისო რანგის ფინალი იყო. ამ მიღწევისთვის ჰოჯსონი ინგლისში წლის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს.

### 3. გუუს ჰიდინკი

„ჩელსის" ყოფილი დროებითი თავკაცი, თითქოსდა, თურქეთის ნაკრებთან არის მორიგებული და 1 აგვისტოდან სტამბოლში უნდა დაიდოს ბინა, მაგრამ... ხომ იცით, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. საკლუბო დონეზე ჰიდინკს უმდიდრესი გამოცდილება აქვს. მის ხელში, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ისეთმა გუნდებმა გაიარეს, როგორებიც არიან „ეინდჰოვენი" და „რეალი". სხვადასხვა დროს წვრთნიდა ჰოლანდიის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიისა და რუსეთის ნაკრებებს. „ჩელსიში" **ლუიშ ფელიპე სკოლარი** შეცვალა, გუნდს ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაგებინა და ფანებს უნდოდათ, რომ „არისტოკრატებში" დარჩენილიყო.

### 4. მარტინ ონილი

ტოტალიზატორებმა ყველაზე დაბალი კოეფიციენტი „ასტონ ვილას" მწვრთნელს დაუწერეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დანიშვნა ყველაზე რეალურია. აქ ერთი ფაქტორიცაა - ონილს ბირმინგემული კლუბის მეპატრონე **რენდი ლერნერთან** კონფლიქტი აქვს. როგორც მწვრთნელმა, მან სახელი „ლესტერში" გაითქვა, შემდეგ კი „სელტიკში" გადაბარგდა და გლაზგოური გრანდი 2003 წელს უეფას თასის ფინალში გაიყვანა, სადაც **ჟოზე მოურინიოს** „პორტუსთან" წააგო. მეტწილად ინგლისელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ასტონ ვილა" საფეხბურთო ასოციაციის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ იქ „მანჩესტერ იუნაიტედთან" წააგო.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიორენტინა

# ახალი სამიზნე

როდესაც **ჯუზეპე როსის** სამომავლო გეგმებზე ეკითხებოდნენ, მუდმივად იმას პასუხობდა, ჯერ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვფიქრობ და საკლუბო საკითხებზე მუნდიალის შემდეგ ვისაუბროთო. ისე მოხდა, რომ როსი **მარჩელო ლიპიმ** განაცხადს მიღმა დატოვა და შესაბამისად, უკვე თავისუფლად შეუძლია საკლუბო მომავალზე იზრუნოს. იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ვილიარეალის" თავდამსხმელის გადაბირებით ფლორენციის „ფიორენტინაა" დაინტერესებული. მეტიც, თურმე ტოსკანელთათვის როსის გადაბირება პრიორიტეტული საზრუნავი ყოფილა. „ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** ადასტურებს, რომ მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრისა, „ფიორენტინას" მიზანი შემადგენლობის გაძლიერებაა.

იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, მუნდიალს მიღმა დარჩენამ როსის ფასი მნიშვნელოვნად დააგდო. თუ აქამდე „ვილიარეალი" 22-25 მილიონ ევროს აფასებდა, დღეს მხოლოდ 15 მილიონზეა ლაპარაკი. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

აქვე, კიდევ ერთი ამბავი, რომელიც „ფიორენტინას" ეხება და კორვინოს სიტყვებს ადასტურებს. **ალბერტო ჯილარდინოს** პირადი აგენტის **მარჩელო ბონეტოს** თქმით, მისი კლიენტის „ლიონში" ან „ნაპოლიში" შესაძლო გადაბარგების შესახებ გავრცელებული ინფორმაციები, ჭორებია და მეტი არაფერი.

**ლაშა ნიკლაური**



ჯუზეპე როსი

პალერმო

# მაკარონე თითქმის სიცილიელია

თუ ვინმე გამოირჩეოდა სერია B-ში დაქვეითებულ „სიენაში, პირველ რიგში ეს **მასიმო მაკარონეზე** ითქმის. თუ ინდივიდუალურად შევხედავთ, მთლიანობაში, საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდა და რა გასაკვირია, რომ მასზე დიდი მოთხოვნაა. სერია A-ს არაერთი გუნდი აქტიურობს, მაგრამ მაკარონეს სიმპათიები ამბიციური კლუბებისკენ იხრება. როგორც იტალიელი ჟურნალისტები გვაუწყებენ, არჩევანი „პალერმოსა" და „სამპდორიას" შორის კეთდება. თავად მასიმოს გენუური ვარიანტი მოსწონს, მაგრამ უფრო მეტი შანსია, რომ სიცილიაში აღმოჩნდეს. მართალია, „სამპას" მესვეურებმა გამოხატეს გარკვეული ინტერესი, მაგრამ „პალერმო" გაცილებით მეტი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ საქმეს და 30 წლის ფორვარდს უკვე კონტრაქტიც გაუმზადა. ასე რომ, დიდია შანსი, მომავალი სეზონიდან მაკარონე „პალერმოში" ვიხილოთ. ფეხბურთელი აღფრთოვანებულია „როზანეროს" მწვრთნელ **დელიო როსის** ყურადღებით და მასთან მუშაობას ესწრაფვის.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# საკლუბო ფეხბურთელი თუ აძურას ლიდერი?


ანტონიო დი ნატალე

იტალიის ეროვნულ ნაკრებში ყოველთვის იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც ლიდერის თვისებებით გახლდნენ დაჯილდოებულნი და გუნდის გაძღოლა შეეძლოთ. გავიხსენოთ 1994 წლის ჩემპიონატი და **რობერტო ბაჯო**, რომელმაც ფაქტობრივად მარტომ ათრია გუნდი ფინალამდე. ბაჯო 1998 წლის მუნდიალზეც თამაშობდა, თუმცა მაშინ აქცენტი უფრო **ალესანდრო დელ პიეროზე** გაკეთდა, რომელიც თავის მხრივ ლიდერია „იუვენტუსში" და ამ პასუხისმგებლობას უკვე წლებია ატარებს. 2002 და 2006 წლის მუნდიალებზე დელ პიეროსთან ერთად, **ფრანჩესკო ტოტი** მიიწვიეს ნაკრებში და მათ უნდა გაეწიათ ეს ჭაპანი. მართალია, **მარჩელო ლიპის** გუნდებში გამოკვეთილი ლიდერები არ თამაშობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა გადამწყვეტ მომენტში საკუთარი სიტყვა არ თქვას. შესაძლოა, ვერც დელ პიერომ და ვერც ტოტიმ იმის მეათედიც ვერ გააკეთეს, რაც თავის დროზე ბაჯომ, მაგრამ მოლოდინი ნამდვილად დიდი იყო.

და რა იქნება 2010 წლის მუნდიალზე? - ვინ არის ფეხბურთელი, რომელსაც ლიდერის როლი შეიძლება დაეკისროს? - რა თქმა უნდა, **ანტონიო დი ნატალე**. გეთანხმებით, ტოტო არ არის ბაჯოს, დელ პიეროს და ტოტის კალიბრის ფეხბურთელი, მაგრამ დღეს აშკარად საუკეთესოა იტალიაში და სრულიად სამართლიანად მიემგზავრება სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე მარჩელო ლიპი 23-კაციან სიას დაასახელებდა, ცხადი იყო, რომ რჩეულთა შორის ანტონიო აუცილებლად იქნებოდა.

დი ნატალეზე იტალიაში დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან მას ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. 32 წლის ფეხბურთელმა სერია A-ს განვლილ გათამაშებაში 29 გოლი გაიტანა, რითაც პირადი რეკორდი მოხსნა და მართლაც ფენომენური შედეგი აჩვენა. თავად განსაჯეთ, დი ნატალემ „უდინეზეს" გოლთა ნახევარზე მეტი მიითვალა აქტივში. აპენინებზე სჯერათ, რომ ანტონიოს მუნდიალზე გაბრწყინება შეუძლია - გარდა იმისა, რომ შესანიშნავ ფორმაშია, მას მარჩელო ლიპის თავკაცობით მოუწევს თამაში. მაესტრომ ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა გამოიყენოს ესა თუ ის ფეხბურთელი, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ტოტოსთან მიმართებაშიც არაერთხელ დაამტკიცა. ლიპის ფაქტორზე იმად გავამახვილეთ ყურადღება, რომ ერთხელ უკვე ჰქონდა დი ნატალეს სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მავანთა გამო, ეს ვერ მოახერხა. მავანში კი პირველ რიგში **რობერტო დონადონის** ვგულისხმობთ, „სკუადრა აძურას" ექსთავკაცს. გახსოვთ ალბათ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი, რომელიც ავსტრია-შვეიცარიაში გაიმართა. მთელი შესარჩევი ეტაპის განმავლობაში დონადონი დი ნატალეს ეყრდნობოდა და ამ უკანასკნელმაც მასზე გაცემული ავანსები სრულად გაამართლა. დონს ჰყავდა ბირთვი, რომელმაც შესარჩევი დასძლია და რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე უნდა ესასპარეზა, მაგრამ...

როგორც ჩანს, დონადონი გადამწყვეტ მომენტში ანერვიულდა და აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილებები მიიღო. ევროფორუმზე ყველასათვის მოულოდნელად **ანტონიო კასანო** წაიყვანა, რომელსაც იქამდე საერთოდ არ ათამაშებდა. კიდევ რამდენიმე მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის **პანუჩის** „აძურაში" დაბრუნებაც შეგვიძლია გამოვარჩიოთ. მაშინ, როდესაც ტოტო ბრწყინვალე ფორმაში იყო და მზად გახლდათ, ლიდერობა თავის თავზე აეღო, დონადონი თავისივე აზრებში აიხლართა და ჯგუფური ეტაპის სამ შეხვედრაში სამი სხვადასხვა ფანტაზისტა ათამაშა: დი ნატალე, კასანო და დელ პიერო. ტოტოს ფაქტობრივად შანსი არ მიეცა და როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ცუდ ფორმაში მყოფმა ალექსმა გაამართლა და ვერც გუნდთან შეუთამაშებელმა კასანომ.

ლიპი დონადონი არ არის და ეს იქიდანაც ჩანს, რომ დიდი წნეხის მიუხედავად, გაფართოებულ შემადგენლობაში მხოლოდ ის ფეხბურთელები შეიყვანა, რომლებსაც შესარჩევ ეტაპზე დაეყრდნო. - ამჯერად, მისი მწვრთნელი აღარ აიჭრება, ბოლომდე დაეყრდნობა და მანაც უნდა დაამტკიცოს, რომ მხოლოდ საკლუბო ფეხბურთელი არ არის. დიახ, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტონიო მხოლოდ საკლუბო დონის ფეხბურთელია და მსოფლიო ფორუმზე შესაძლებლობის წარმოჩენა გაუჭირდება. ვნახოთ, ამ კითხვაზე პასუხი თავად ფეხბურთელმა უნდა გასცეს.

დი ნატალეს მეგავარსკვლავის სახელი ნამდვილად არ აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, ის ლიდერი უნდა იყოს გუნდის, რომელიც მსოფლიოს ფორუმზე მოქმედი ჩემპიონის სახელით იასპარეზებს. ალბათ, გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღემდე, არც ერთ დიდ კლუბში არ უასპარეზია. კარიერის საწყისი წლები ქვედა ლიგის გუნდებში გაატარა: „იპერცოლაში" 33 თამაშში 6 გოლის გატანა მოახერხა, „ვარეზეში" 4 უშედეგო მატჩი ჩაატარა, „ვიარეჯოში" კი 25 პაექრობაში მიიღო მონაწილეობა და 12 შედეგიანი დარტყმა განახორციელა. „ვიარეჯოში" გატარებული სეზონი წარმატებული გამოდგა და „ემპოლიში" ამოყო თავი. სულ მალე, ტოსკანური კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა - 159 შეხვედრა ჩაატარა და 48 გოლი გაიტანა. 2004 წლიდან „უდინეზეს" ფეხბურთელია და უკვე ფრიულელებს ახარებს შედეგიანი თამაშით. ამ დროისთვის „უდინეზეს" რიგებში 192 პაექრობა აქვს ჩატარებული და 84 გოლი გატანილი. მართლაც შესანიშნავი შედეგია, ვერაფერს ვიტყვით.

დი ნატალეს შესახებ ძალიან თბილად საუბრობს იტალიის ნაკრების ექსთავკაცი **არიგო საკი**: *„ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ტოტოს ამხელა ტვირთის ტარება გაუჭირდება. მე ასე არ ვფიქრობ, რადგან დი ნატალეს თამაშის მანერას და მის ხასიათს კარგად ვიცნობ. იმ მოთამაშეთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც ფეხები არასოდეს აუკანკალდებათ. აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ამხანაგურ შეხვედრას ატარებს თუ გადამწყვეტ პაექრობას, ყველგან ერთნაირი თავგამოდებით იბრძვის. მართალია, მასთან არასდროს მიმუშავია, მაგრამ ვიცი, რომ შესანიშნავი შეგირდია - ყოველთვის ზუსტად ასრულებს მწვრთნელის მითითებებს, ლიპის კი ასეთ ფეხბურთელებთან უყვარს თანამშრომლობა. მჯერა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის".*

ჟურნალისტმა საკის პროვოკაციული კითხვა დაუსვა: *„შეუძლია დი ნატალეს, იყოს ისეთივე ლიდერი გუნდისთვის, როგორიც რობერტო ბაჯო გახლდათ 1994 წლის მუნდიალზე?"* - საერთოდ, საკისა და ბაჯოს ურთიერთდამოკიდებულება ცალკე სალაპარაკო თემაა. მართალია, არიგომ რობი ამერიკის მუნდიალზე წაიყვანა, მაგრამ როგორც ამბობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სახლში დატოვება ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა. და მაშინ, როდესაც ამის მცირე საფუძველი მიეცა, ბაჯო ნაკრებს არ გააკარა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატს მილმა დატოვა. გაგვიგრძელდა და უმჯობესია, საკის პასუხს მოვუსმინოთ:

*„ბაჯო სხვა მასშტაბის ფეხბურთელი იყო და ეს უნდა ვაღიაროთ, მაგრამ ტოტოს აქვს თავისი პლუსები. რობერტო არ იყო ურჩი ფეხბურთელი, ყოველთვის მისმენდა, მაგრამ თამაშის მანერა ჰქონდა ისეთი, რომ ტაქტიკურ ჩარჩოებში ვერ მოაქცევდი. ეს უბრალოდ არ შეეძლო. დი ნატალეს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის, მას დაცვითი ფუნქციების შესრულებაც ეხერხება და ყოველთვის იქ იქნება, სადაც გუნდს დაჭირდება. ანტონიო ვერ იქნება ისეთივე ლიდერი, როგორიც ბაჯო იყო, მაგრამ მისგან არანაკლები სარგებლის მიღება შეიძლება".*

ალბათ, ასე მხოლოდ იტალიაში შეიძლება მოხდეს: სახლში რჩება ალესანდრო დელ პიერო, სახლში რჩება ფრანჩესკო ტოტი, სახლში რჩება ანტონიო კასანო - მუნდიალზე კი ნაკრებს ანტონიო დი ნატალე უნდა გაუძღვეს. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა ტოტო გაცემულ ავანსებს.

**ლაშა ნიკლაური**

აისრულე სურვილები ნატახტართან ერთად


იტალია

# აძურას უშედეგო ფორვარდები

## ლიპი 24 ფეხბურთელს ითხოვს

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ბუნებრივია, სატრანსფერო სიახლეები და საკლუბო ცნობები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ინტერესს იწვევს. აბა, რა დროს „პარმა“, „კატანია“ და „ჩეზენაა“, როცა კარს მსოფლიოს საფეხბურთო ფორუმი მოგვადგა. ბუნებრივია, იტალიური სპორტული პრესის დიდი ნაწილი სწორედ მუნდიალს და „სკუადრა აძურას“ ეთმობა. აპენინელები რომ საკუთარი ნაკრების პერსპექტივებს ეჭვის თვალით უყურებენ, არაერთხელ გაცნობეთ და საამისოდ ნამდვილად აქვთ არაერთი საბაბი. ლიპის ფაქტორი არავის ავიწყდება და მისი ნამდვილად სჯერათ, მაგრამ შემადგენლობაა ისეთი, ბევრს ოპტიმიზმის საფუძველს რომ ვერ აძლევს. დღეს, „აძურას“ თავდასხმის ხაზზე გავამახვილოთ ყურადღება, შემდეგ კი **მარჩელო ლიპის** მოვუსმინოთ, რომელმაც მინიბრიფინგი გამართა და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

იცით რამდენი გოლი აქვთ ეროვნულ ნაკრებში გატანილი „აძურას“ იმ ფორვარდებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდიან? - ძალიან ცოტა და ამაში ახლავე დარწმუნდებით. მაშ ასე, **ჯამპაოლო პაცინის** ცისფერი მაისურით ექვს შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული და მხოლოდ ერთი გოლი გატანილი. **ფაბიო კვალიარელამ** თვრამეტჯერ მოირგო ეროვნული გუნდის ამუნიცია და სამჯერ იხეირა. **ვინჩენცო იაკუინტას** შედეგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: 35 თამაში და მხოლოდ 5 გოლი. 31 მატჩში 9 გოლი აქვს შეგდებული **ანტონიო დი ნატალეს**, რაც ასევე არ გახლავთ ბრწყინვალე შედეგი. ყველაზე კარგი მონაგარი **ალბერტო ჯილარდინოს** აქვს, რომელმაც 39 პაექრობაში 19 გოლი გაიტანა. შეგვიძლია შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი და შემდეგ სურათს მივიღებთ: 129 თამაშში 34 გოლი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიპის განაცხადში არაერთი გამოკვეთილი ცენტრფორვარდია, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცთუ ისე შედეგიან თავდასხმის ხაზთან გვაქვს საქმე. ისე, თუ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს გავიხსენებთ, არც მაშინ გამოუდიათ თავდამსხმელებს დიდად თავი. „აძურას“ მიერ გატანილი გოლები პრაქტიკულად მთელ გუნდზე გადანაწილდა, იტანდნენ ნახევარმცველები და მცველებიც კი. მაგრამ, მაშინ იტალიას მთელ ფლანგზე მორბენალი **ჯანლუკა ძამბროტა** და **ფაბიო გროსო** ჰყავდა. ძამბრომ უკრაინას გაუტანა მნიშვნელოვანი გოლი, გროსოს გმირობებზე საუბარი კი შორს წაგვიყვანს. ეს უკანასკნელი სამხრეთ აფრიკაში არ მიემგზავრება, ჯანლუკა კი ოთხი წლით უფრო ასაკოვანია და მთელ ფლანგზე ნამდვილად ველარ ირბენს. ჰყავთ თუ არა მათ ღირსეული შემცვლელები, აქ დიდი კითხვის ნიშანი უნდა დავსვათ.

იტალია მექსიკასთან ტესტმატჩისთვის ემზადებოდა, როდესაც ლიპის ჟურნალისტებთან მოუწია გასაუბრებამ. შეხვედრის ირგვლივ საუბრები ნაკლებად საინტერესოა და უმჯობესია, ზოგად თემატიკაზე გავამახვილოთ ყურადღება. ლიპის შემადგენლობაზე დაეკითხნენ და აქვე, გავეცნოთ მის პასუხს:

*„ყველაზე მეტად მე დამწყდა გული, რომ რამდენიმე ფეხბურთელთან გამოთხოვებამ მომიწია. ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვრთნელს 24 ფეხბურთელის წაყვანის საშუალება უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, სამხრეთ აფრიკაში აუცილებლად წავიყვანდი ჯუზეპე როსის, ან ანდრეა კოსუს. ორივე მჭირდებოდა, მაგრამ არჩევანი უნდა გამეკეთებინა და მათი სახლში გაბრუნება მომიხდა. კარგი იქნება, თუ ფიფას მაღალჩინოსნები დაფიქრდებიან და სამომავლოდ, ფეხბურთელთა ლიმიტს ერთით მაინც გაზრდიან“.*

აი, აქ კი ლიპის სწორედ თავდასხმის ხაზზე დაეკითხნენ. ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში და ვინ უნდა იტვირთოს მთავარი მეგოლის როლი? - აქვე, მაესტროს პასუხი:

*„ჩვენთან ძირითადი შემადგენლობის წევრობა პირობითი ცნებაა. თითოეული ფეხბურთელი მჭირდება და სამხრეთ აფრიკაში იმად მიმყავს, რომ ყველა გამოვიყენო. ჰაერზე საუბარი არასდროს მიყვარდა და რადგან ვამბობ, ე.ი. ასეა. მხოლოდ ორ მეკარეზე შემიძლია ვთქვა, რომ ისინი რეზერვში იქნებიან, დანარჩენებს კი აბსოლუტურად თანაბარი შანსები აქვთ. ვინც კონკრეტულ სიტუაციაში უკეთეს ფორმაში იქნება, ძირითად თერთმეტეულში სწორედ ის მოხვდება. პირადად მე, არ ვთვლი, რომ ჩვენ სუსტი ფორვარდები გვყავს, პირიქით, მათზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ“.*

ვფიქრობთ, ყველასთვის საინტერესო იქნება, თუ წარსულს გადავავლებთ თვალს და წინამორბედ მუნდიალებზე იტალიელ ფორვარდებს გადავხედავთ - აქვეა მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც. მაშ ასე, 1970 წლიდან მოყოლებული, „სკუადრა აძურას“ თავდასხმა მუნდიალების მიხედვით:

**1970**

**ლუიჯი რივა** (კალიარი, 42 სანაკრებო თამაშში 35 გოლის ავტორი), **რობერტო ბონისენია** (ინტერი, 22-9), **პიერო პრატი** (მილანი, 14-7), **სერჯო გორი** (კალიარი, 3-0), **ანჯელო დომენგინი** (კალიარი, 33-7).

**1974**

**ლუიჯი რივა** (კალიარი), **პიეტრო ანასტაზი** (იუვენტუსი, 25-8), **რობერტო ბონინსენია** (ინტერი), **ჯორჯო კინალია** (ლაციო, 14-4), **პაოლო პულიჩი** (ტორინო, 19-5).

**1978**

**პაოლო როსი** (ვიჩენცა, 48-20), **რობერტო ბეტეგა** (იუვენტუსი, 42-19), **ფრანჩესკო გრაციანი** (ტორინო, 64-23), **პაოლო პულიჩი** (ტორინო).

**1982**

**პაოლო როსი** (იუვენტუსი), **ფრანჩესკო გრაციანი** (ფიორენტინა), **ალესანდრო ალტობელი** (ინტერი, 61-25), **დანიელე მასარო** (ფიორენტინა, 15-1), **ფრანკო სელვაჯი** (კალიარი, 3-0).

**1986**

**ჯანლუკა ვიალი** (სამპდორია, 59-16), **ალესანდრო ალტობელი** (ინტერი), **პაოლო როსი** (მილანი), **ჯუზეპე გალდერიზი** (ვერონა, 10-0), **ალდო სერენა** (იუვენტუსი, 23-5).

**1990**

**რობერტო ბაჯო** (ფიორენტინა, 56-27), **სალვატორე სკილაჩი** (იუვენტუსი, 16-7), **ჯანლუკა ვიალი** (სამპდორია), **რობერტო მანჩინი** (სამპდორია, 36-4), **ალდო სერენა** (ინტერი), **ანდრეა კარნევალე** (ნაპოლი, 10-2).

**1994**

**რობერტო ბაჯო** (იუვენტუსი), **ჯუზეპე სინიორი** (ლაციო, 28-7), **პიერლუიჯი კაზირაგი** (ლაციო, 44-13), **დანიელე მასარო** (მილანი), **ჯანფრანკო ძოლა** (პარმა, 35-10).

**1998**

**ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი, 91-27), **ფილიპო ინძაგი** (იუვენტუსი, 57-25), **კრისტიან ვიერი** (ატლეტიკო, 49-23), **რობერტო ბაჯო** (ბოლონია), **ენრიკო კიეზა** (პარმა, 17-7).

**2002**

**ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი), **ფრანჩესკო ტოტი** (რომა, 58-9), **ფილიპო ინძაგი** (მილანი), **კრისტიან ვიერი** (ინტერი), **მარკო დელ ვეკიო** (რომა, 22-4), **ვინჩენცო მონტელა** (რომა, 20-3).

**2006**

**ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი), **ფრანჩესკო ტოტი** (რომა), **ფილიპო ინძაგი** (მილანი), **ლუკა ტონი** (ფიორენტინა, 47-16), **ვინჩენცო იაკუინტა** (უდინეზე, 35-5), **ალბერტო ჯილარდინო** (მილანი, 39-16).

**ლაშა ნიკლაური**



ვინჩენცო იაკუინტა და ალბერტო ჯილარდინო

თერთმეტი ყველაზე...

# სანატრელი ინგლისი



ლეგენდარული ბობი ჩარლტონი ოთხი მუნდიალის მონაწილეა

**ასე და ამგვარად, ფაბიო კაპელომ დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მიჰყავს, გაზეთ „სანს“ კითხვა დაებადა: ვის წაიყვანდა ინგლისის ნაკრების იტალიელი თავკაცი, ყველა დროის საუკეთესო ინგლისელ ფეხბურთელებზე დაყრდნობა რომ შეძლებოდა? რასაკვირველის, ოცდასამი კაცის ჩხრეკას გაზეთი არ შესდგომია, რადგან ყველა პოზიციაზე საუკეთესო სათადარიგოს ძებნა ძალიან შორს წაიყვანდა და თან, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თანაბარი სიძლიერის ვარსკვლავები ალბათ მრავლად იყვნენ, მაგრამ, რაკილა კითხვა დაიბადა, გამოჩნდა პასუხიც. ინებეთ გამონაკლისი: „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილი რუბრიკა „ათი ყველაზე“ „თერთმეტი ყველაზედ“ გადაკეთდა და დასახელდა ის გვარები, რომლებიც ყველაზე დიდტირაჟიანი ბრიტანული გაზეთის სპორტული რედაქციის აზრით, იდეალურ ინგლისის ნაკრებს შექმნიდა. ჩვენ კი ჩვენი მხრივ ერთს დავამატებთ: რასაკვირველია, ამქვეყნად ყველაფერი პირობითია და მათ რიცხვშია „სანის“ სიმბოლური ნაკრებიც. საუკეთესო თერთმეტი კი ასეთი გახლავთ:**

### 1. გორდონ ბენქსი

აქ ერთი უხერხულობაა - ინგლისში თამაშობდა **პიტერ შილტონიც**, რომელმაც ნაკრების კარი 125 შეხვედრაში დაიცვა, მაგრამ რა გინდა გააკეთა, როცა ერმა თავისი ისტორიის საუკეთესო გოლკიპერად ბენქსი მიიჩნია და... ალბათ, ასეც იყო. გორდონ ბენქსი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონია და 1970 წელს პელესთვის ისეთი ბურთი აქვს აღებული, რომ ბევრი დღემდე აცხადებს, მსგავსი „სეივი“ არასდროს, არც ერთ ქვეყანაში არ უნახავთო. საბედნიეროდ, ამ ეპიზოდის ჩანაწერი არსებობს და გულშემატკივარს უნახავს.

ნაკრებში 73 შეხვედრა (1963-1972); მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე.

### 2. გარი ნევილი

ეს ფეხბურთელი ბევრს უყვარს და ბევრსაც სძულს, მაგრამ ემოციას რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ვერავინ უარყოფს ერთ ფაქტს: „წითელი ნევი“ ინგლისის ნაკრების ის ფეხბურთელი იყო, რომელსაც მწვრთნელები წლების განმავლობაში ენდობოდნენ. ასე, შვიდი წლის წინ ის შეტევებშიც ისე ერთვებოდა, რომ ლამის საკუთარ თავდამსხმელებს ავიწროვებდა და სხვა ფრთაზე გადასვლას აიძულებდა.

ნაკრებში 85 შეხვედრა (1995-2007); მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე

### 3. ეშლი კოული

არეული პირადი ცხოვრება „ჩელსის“ ვარსკვლავს, როგორც საუცხოო მცველს არ აუფასურებს. მარცხენა ფრთაზე ის საუკეთესოა. კოულის კონკურენტად „სანი“ **სტიუარტ პირსს** მოიაზრებდა, რადგან ეს ფეხბურთელი უშელავათო ორთაბრძოლებითა და ძლიერი დარტყმით გამოირჩეოდა, მაგრამ კოულის უპირატესობა თავდასხმაში აქტიური და მწვავე ჩართვაა.

ნაკრებში 78 შეხვედრა (2001-დან დღემდე); მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე

### 4. სოლ კემპბელი

უშიშარ **ტერი ბატჩერს** სულ ოდნავ აჯობა, თუმცა ძალიან შთამბეჭდავი CV რომ აქვს, რად უნდა ლაპარაკი: ზედიზედ ექვს დიდ შეჯიბრებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. 2002 წელს ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიტყვანა.

ნაკრებში 73 შეხვედრა (1996-2007); მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე

### 5. დევიდ ბექჰემი

რად უნდა ლაპარაკი, რომ ბექჰემი ამ შემადგენლობაში უნდა იყოს! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მისი თავდადება წლების განმავლობაში გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა. გარდა ამისა, ის ისტორიაში შევიდა, როგორც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში, საბერძნეთის ნაკრების კარში, შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე განუმეორებელი გოლის ავტორი. ამ გადამწყვეტმა გოლმა ინგლისის ნაკრები ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. ფაქტია, რომ **ფაბიო კაპელო** მას ახლაც, უკვე 34 წლისასაც კი უპირებდა სამხრეთ აფრიკაში წაყვანას.

ნაკრებში 115 შეხვედრა (1996-2010); მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე.

### 6. ბობი მური

გარდა იმისა, რომ ბობი მური ისტორიაში შევიდა, როგორც 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის კაპიტანი, ის დაამახსოვრდათ, როგორც ფეხბურთელი, რომელიც საოცრად „კითხულობდა თამაშს“. ამ მხრივ მას ინგლისში, შესაძლოა, ბადალიც არ ჰყოლია. გარდა ამისა, მას ჰქონდა ერთი საოცარი თვისება: ფორმა იშვიათად ესვრებოდა, რადგან უხეშობას ყოველთვის წინასწარ გრძნობდა და თავს იზღვევდა - არ ეცემოდა.

ნაკრებში 108 შეხვედრა (1962-1973); მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე.

### 7. ალან ბოლი

ალან ბოლი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „სანის“ სომბოლურ ნაკრებში მან სულ ოდნავ აჯობა **ბრაიან რობსონს**, რადგან ამ უკანასკნელს ტრავმებმა ფინალში გასვლის საშუალება არ მისცა. ბოლი ენერგიული ფეხბურთელი იყო, მარტივად თამაშობდა და რობსონის მსგავსად გადამწყვეტი გოლების გატანა ეხერხებოდა.

ნაკრებში 72 შეხვედრა (1965-1975); მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე.

### 8. პოლ გესქოინი

პოლ გესქოინის ბადალი ტექნიკური ფეხბურთელი ინგლისელებს არასდროს არავინ ჰყოლიათ. მართალია, მისი კარიერა ტრავმებმა და ლოთობამ დაამოკლა, მაგრამ 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაზამ ისე ითამაშა და 1996 წელს ევროპის პირველობაზე შოტლანდიას ისეთი გოლი შეუგდო, რომ ამ ფეხბურთელის სიმბოლური ნაკრების მიღმა დატოვებას ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხანი ვერავინ გაბედავს.

ნაკრებში 57 შეხვედრა (1988-1998); მსოფლიოს ერთი ჩემპიონატის მონაწილე.

### 9. ბობი ჩარლტონი

ეს ფეხბურთელი ზუსტად იმ ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომელიც ასე სჭირდება ნებისმიერ გუნდს, რომელიც შემტევი ფეხბურთის თამაშს აპირებს. როდესაც ჩარლტონი მაქსიმუმის გამომჟღავნებას ახერხებდა, შეუჩერებელი იყო და მისი ფეხბურთის ნახვას არაფერი სჯობდა. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ლეგენდამ ეროვნულ გუნდში 49 გოლი გაიტანა და ეს მთელი 40 წლის განმავლობაში რეკორდი გახლდათ.

ნაკრებში 106 შეხვედრა (1958-1970); მსოფლიოს 4 ჩემპიონატის მონაწილე.

### 10. გარი ლინეკერი

Fox in the box ანუ მელა საჯარიმო მოედანში (ოღონდ, ინგლისურად რითმაა) - ასე უწოდებდნენ ამ დიდ თავდამსხმელს თანამემამულეები. ზოგი ამბობს, რომ მისი ფეხბურთი ლამაზი სანახავი არ იყო... საკამათოა. თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ თუკი გუნდი ლინეკერს ბურთს მეტოქის საჯარიმოში მიაწვდიდნენ, მერე შეეძლოთ არხეინად ყოფილიყვნენ. ის გახლდათ მექსიკა 86-ის საუკეთესო ბომბარდირი. საინტერესოა, რომ ლინეკერს ნაკრებში 39 გოლი აქვს გატანილი. სხვა სიტყვებით, მას ბობი ჩარლტონის რეკორდამდე ერთი გოლი ჰქონდა დარჩენილი და ვაგლახ, გატანა ვერ მოახერხა - ბრაზილიასთან, ამხანაგურ შეხვედრაში პენალტი ვერ შეაგდო.

ნაკრებში 80 შეხვედრა (1984-1992); მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე.

### 11. მაიკლ ოუენი

„სანი“ არ მალავს, რომ ამ არჩევანის გაკეთება ყველაზე მეტად გაუჭირდა, მაგრამ... საბოლოოდ არჩევა **ჯეფ ჰერსტის** ჰეთ თრიკსა (1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში) და ოუენის სისწრაფესა და დრიბლინგს შორის გახდა საჭირო და აქ, მაინც ოუენმა გადაწონა. ოუენმა განსაკუთრებული ეფექტი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე მოახდინა, თუმცა 2002-შიც გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ.

ნაკრებში 89 შეხვედრა (1998-2008); მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გურამ მოდებაძესთან

# რა გამოჩნდა ბრაზილიაში

**გურამ მოდებაძეს** ბრაზილიიდან დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ. ის სამხრეთ ამერიკაში თავის შეგირდებთან - **დავით ქევხიშვილთან** (81), **ვალერი ლიპარტელიანსა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანთან** (100) ერთად იმყოფებოდა. ისინი თავდაპირველად მხოლოდ რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე" აპირებდნენ გამოსვლას, თუმცა მერე იქვე ერთობლივ ვარჯიშებზეც დარჩნენ და მომდევნო კვირაში სან პაულუში, მსოფლიოს თასზე გადაინაცვლეს. ამ შეჯიბრებებში ლიპარტელიანმა ვერცხლი და ბრინჯაო მოინადავლა, რითაც გვარიანად გაიუმჯობესა სალიცენზიო რეიტინგი, ჟორჟოლიანის შედეგი რიოს ბრინჯაო და სან პაულუს მეხუთე ადგილია, ქევხიშვილი კი მხოლოდ რიოში გამოვიდა, სადაც მეხუთე იყო, მეორე ტურნირში კი ხელის ტრავმის გამო ვერ იჭიდავა.

რაკილა სამივე ფალავანი მოდებაძის პირადი შეგირდია, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მისი აზრი მათ გამოსვლაზე. ბრაზილიურმა შეჯიბრებებმა ნეგატივზე მეტი პოზიტივი დაგვანახვა, თუმცა ხარვეზები ჯერ კიდევ ბლომადაა.

**- დადებითი ტენდენციებით დავიწყოთ - ბრაზილიაში რა დაინახეთ ასეთი თქვენს მოსწავლეებში?**

- ბრაზილიური ტურნირები მართლაც ნაყოფიერი გამოდგა და დიდი მადლობა სპორტის დეპარტამენტსა და ძიუდოს ფედერაციას იქ გაშვებისთვის.

ცხადია, ბიჭების გამოსვლებში ნაკლოვანებებიც იყო, მაგრამ მთლიანობაში თუ შევხედავთ, მაინც წარმატებით გამოვიდნენ, ეტყობოდათ გარკვეული პროგრესი. მაგალითად, ქევხიშვილის ჭიდაობა ტურნირებზე ამდენი ხანი არ მენახა და კმაყოფილი დავრჩი, ურიგოდ არ უჭიდავია. ის ახალ წონაში გამოდიოდა და პირველივე შეხვედრაში რუსი ევროპის მოქმედი ჩემპიონი სირაზუდინ მაგომედოვი დაამარცხა დამაჯერებლად. ურიგოდ არც ლიპარტელიანი და ჟორჟოლიანი გამოსულან. მართალია, ყველაზე კარგი იქნებოდა, ოქრო მოგვეპოვებინა, მაგრამ გარკვეული წინსვლა მათ ჭიდაობაშიც შევნიშნე. თან მათთან ინდივიდუალურად მეტი მუშაობის საშუალება მომეცა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ჩემს დარბაზში - „შევარდენში" უკვე იმდენი ბავშვია, იმდენი ჯგუფია, მიჭირს ყველასთან ძველებურად ინტენსიურად მუშაობა. იქ ჭაბუკები არიან, აქ - ახალგაზრდები, ეროვნული ნაკრების წევრები და ყველას უნდა მიაქციო ყურადღება. ბრაზილიაში ეს სამი კაცი მყავდა და, ერთი მხრივ, იქნებ კარგიც იყო, ბევრნი რომ არ ვიყავით - 10 წუთიც რომ ელაპარაკო ერთს, ესეც ბევრს ნიშნავს. ძალიან კარგი იყო ის ერთობლივი ვარჯიშებიც - ბევრმა შეხვედრამ მოუწიათ და კარგად დაიტვირთნენ. ეს თქვეს კიდეც და კმაყოფილებიც იყვნენ.

**- ჟორჟოლიანსაც და, უფრო კი ლიპარტელიანს პროგრესი მართლაც ეტყობოდათ, მაგრამ საინტერესოა, თქვენს რას მიიჩნევთ ასეთად?**

- ჟორჟოლიანი თითქოს უფრო გახსნილი, უფრო თამამი იყო. თითქოს უფრო ირწმუნა საკუთარი თავისა. პირველ ტურნირზე იაპონელ ტაკამასა ანაისთან წააგო, თუმცა ძალიან თანაბრად ეჭიდავა და იქნებ მეტოქე კიდეც უნდა გაეფრთხილებინათ. მეორეში რუს ევროპის შარშანდელ ჩემპიონ ტაგირ ხაიბულაევს დამთავრებამდე 45 წამით ადრე იუკოს უგებდა და ნაადრევად ირწმუნა მოგება. ამ დროს, როგორც თვითონ თქვა, ტაბლოს გახედა და მეტოქემ გდება გაუკეთა. მერე ველარც ბრინჯაოსთვის საჭიდაოდ განეწყო. ცოტა კონცენტრაცია აკლია, რაც უნდა გამოასწოროს. თავდაჯერებაც მეტია საჭირო და შეტევებშიც უფრო გაბედულად უნდა წავიდეს. თუ ამას დასძლევს, ფიზიკურად ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესოა ამ წონაში.

ლიპარტელიანმაც უფრო გამოასწორა ჭიდაობა - სუნთქვაც, გამძლეობაც ცოტა უკეთესი ჰქონდა, გადავლებებსაც უფრო ხშირად აკეთებდა.

**- მაგრამ პირველ ტურნირზე დენისოვთან წაგებულ შეხვედრაში ბოლოსკენ აშკარად დაილალა. თან მანამდე ვერც ამოსმულები გაუკეთა - ისე ჩანდა, ვერ ასწია, მასით ვერ დასძრა მეტოქე. ამ შეხვედრაშიც და ევროპის ჩემპიონატის წაგებულ ფინალშიც შვედ არტურ ნიმანთან მის მეტოქეებს აშკარად ეტყობოდათ, ამის დაღლას ელოდნენ შეხვედრის მეორე ნახევარში.**

- ლიპარტელიანი ბრაზილიაში გერმანიიდან წამოვიდა, სადაც საკლუბო ტურნირზე იჭიდავა, მანამდე ტუნისშიც გამოვიდა და იქნებ ცოტა გადაღლილიც იყო. შეიძლება ითქვას, ცოტა ჩავარდნაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივი ამბავია და ნებისმიერს შეიძლება დაემართოს. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში რუსთა შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ივან ნიფონტოვი თავის თავს არ ჰგავდა, ისე იყო. ერთობლივ ვარჯიშებზე ლიპარტელიანმა კარგად იმუშავა და თვითონვე კმაყოფილი იყო, მართლაც კარგად დაიტვირთა. ეს დაეტყო კიდეც სან-პაულუს ტურნირზე - იქ აღარ დაღლილა და მასპინძელ უგო პესანას მსაჯებმა დაუმსახურებლად მისცეს მოგება. მაგ შეხვედრაში საგანგებოდ დავავალე გადავლებებზე მუშაობა - ამ დროს მეტოქეს აიძულებ, მუხლებზე ჩავიდეს. თუ დააკვირდებით მაგ ფინალს, იქ ბრაზილიელი რამდენჯერმე ჩავარდა მუხლებზე, მაგრამ არ გააფრთხილეს. პირიქით - ამას მისცეს.

**- რიოს ტურნირზე დენისოვს ორჯერ უშედეგოდ შეეკრა - პირველად ბეწვზე გადაურჩა, მეორედ - ვერა და რუსმა ოქროს ქულა მოიპოვა. ცოტა უცნაურია, როცა ბრუნი მისი კოზირი არაა, რატომ შეეკრა? მით უფრო, როცა ამან ერთხელ უკვე ვერ მოუტანა წარმატება. რა ილეთს აპირებდა ამით და ეს თქვენი დავალება იყო თუ მისი გადაწყვეტილება?**

- ამით დენისოვის წინ ჩაჩეხა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. არადა, რუსმა მაგ დროს წარმატებით იცის ხოლმე ფეხის გამოკვრა... სწორედ ამიტომ, დენისოვთან მას ფეხის წინ წადგმა დავავალე, რათა მეტოქეს გამოსმის საშუალება არ ჰქონოდა. შეხვედრის პირველ ნახევარში, ვიდრე დაიღლებოდა, ამას აკეთებდა, მაგრამ მერე - ვერა. როცა დაიღალა, შეხვედრაც აურია ცოტათი.



**- თუ ერთად დასხდებით თქვენ, ნაკრების, ფედერაციის ხელმძღვანელობა და ლიპარტელიანს მზადების კონკრეტულ გეგმას ჩამოუწერთ, ანუ საკითხს პროფესიულად დაუყენებთ, არც ისაა უდისციპლინო და არც ეს პრობლემებია ძნელად მოსაგვარებელი. მთავარია, სისტემურობა და მოთხოვნა. არის ასეთი მიდგომა? ან მისი მეტოქეების ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა-შესწავლა თუ ხდება?**

- ჩვენ ამ საკითხებზე ინტენსიურად ვმუშაობთ. მისი ტექნიკური არსენალის გამრავალფეროვნებაზეც ვზრუნავთ. ბრუნებზეც ვავარჯიშებთ, მაგრამ საამისოდ კარგი ფიზიკური მომზადებაა საჭირო და ეს კომპონენტიც უნდა დაიხვეწოს. რაც შეეხება ტაქტიკურ მხარეს, მეტოქეთა საჭიდაო სტილის განხილვას, ამაზეც გამუდმებით ვმუშაობთ და ბრაზილიაშიც ასე იყო. თვითონაც თქვა, რომ ეს მისთვის კარგი გაკვეთილი იყო და ინატრა, ნეტავ ხშირად გვქონდეს ამის საშუალებაო. მასთან ტექნიკური არსენალის გამრავალფეროვნებაზეც ვმუშაობთ.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ შავი სამუშაო ძირითადად იმ დარბაზში უნდა კეთდებოდეს, სადაც სპორტსმენი ვარჯიშობს - ნაკრების შეკრებაზე ყველაფერს ვერ გააკეთებ, იქ მომზადებული უნდა მიდიოდეს სპორტსმენი და შესწავლილი ნიუანსების დახვეწა ხდებოდეს. ამ სამუშაოების ძირითადი ნაწილი მე უნდა გავაკეთო ჩემს დარბაზში, ანუ შიდა სამზარეულოში. მე ჩემს მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება უნდა მომეცეს, რადგან მათი ამბავი ყველაზე კარგად მე ვიცი - ისინი ხომ ბავშვობიდან ჩემთან არიან და მათთან 8-10-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს.

**- მერედა არ გეძლევათ თქვენს მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება?**

- ახლა - კი, მაგრამ თავიდან იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ნაკრების წევრები ერთად უნდა ემზადებოდნენ. დილომშიც დავდიოდი, მაგაზე ეგ რა სალაპარაკოა, მაგრამ იქ ყველა ერთადაა შეკრებილი და მაინც სხვა ატმოსფეროა. ჩვენს სამზარეულოში მუშაობა ბევრად ეფექტურია, უფრო წყნარად ვვარჯიშობთ.

**ირაკლი თავაძე**

მადრიდის ტურნირი

# მადრიდის მოვიდა

ხვალ-ზეგ მადრიდი ძიუდოისტთა მსოფლიოს თასს უმასპინძლებს, რომელშიც ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა, ალექსანდრე იაკობაშვილი, უჩა ხუციშვილი, პაატა მერებაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, მინდია ხომიზური, დავით კობერიძე** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **მინდია ბოდაველი, საბა გავაშელიშვილი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, დიდი ხნის შემდეგ ისევ ერთად იჭიდავებენ ოლიმპიური ჩემპიონები - ცირეკიძე და ზვიადაური, ამ მხრივ კი ნაკრების თავკაცი **ამირან ტოტიკაშვილი** მადრიდში ნამდვილად გამორჩეულ ამპლუაში იქნება - ორი ოლიმპიური ჩემპიონი ბევრ გუნდს ნამდვილად არ ეყოლება. ნაკრებში ისევ დაბრუნდა გიორგი ბაინდურაშვილი, რომელიც მიზეზთა გამო დიდხანს არ ვარჯიშობდა, ახლა კი მადრიდში საკუთარი ხარჯებით მიდის. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ წონაში ორი მონაწილის გაყვანა შესაძლებელია, მადრიდული შეჯიბრება ბევრისთვის ნაკრებში მოხვედრის ბოლო შანსია. გუნდი ესპანეთში დღეს გამთენიისას გაფრინდა.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ ანზორ თენაძესთან

# ქვემოქართლელთა ზედიზედ მეორე გუნდური გამარჯვება

## აამოქმედეთ დასჯის მექანიზმი...

**გორის** ძიუდოს სკოლის ძალისხმევა ძველი დიდების დასაბრუნებლად წარმატებით გრძელდება. რამდენიმე დღის წინ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შიდა ქართლის გუნდს, რომელიც თითქმის მთლიანად გორელი ფალავნებით იყო წარმოდგენილი, როგორც შარშან, პირველობა წლეულსაც არ დაუთმია - სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს.

გთავაზობთ ინტერვიუს გუნდის მწვრთნელ ანზორ თენაძესთან, რომელიც ტურნირის ჩატარებისას ბოლო ხანებში თავჩენილ ხარვეზებზეც ამახვილებს ყურადღებას.

**— ბატონო ანზორ, გუნდური პირველობის ზედიზედ მეორედ მოპოვება ალბათ ძნელი მისაღწევი იყო...**

— შარშანდელი შედეგის გამეორება ძნელი რომ იქნებოდა, ამას ჩვენი წამყვანი ძიუდოისტების - ტატალაშვილის, მერებაშვილის, კუდუხაშვილის და ტაბატაძის არყოფნა გვაფიქრებინებდა. ესენი ასაკის გამო ველარ ჭიდაობდნენ. საბედნიეროდ, შემცვლელებმა გაგვიმართლეს. შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვართ, 73 კილოში დიდებში საქართველოს ვერცხლის პრიზიორის ანზორ ხმიადაშვილის ბრინჯაომ დაგვწყვიტა გული. მას უდავოდ ჰქონდა პოტენციალი, ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევარფინალში აფრასიძესთან წააგო, არადა, ამას წინათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირის ფინალში იპონით აჯობა.



**— ყველაზე კმაყოფილი ალბად 55 კილოში შიდაქართლური ფინალით იქნებით...**

— რაც მთავარია, ეს იყო ღირსეულთა ფინალი. ლაშა გიუნაშვილი ახლახან ევროპის ჩემპიონი გახდა სამბოში ჭაბუკთა შორის, ბაქოს ტურნირზეც პირველობა არავის დაუთმო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ ეტაპზე ოთარ კაიდარაშვილი უფრო ძლიერია (იუკოთი დაამარცხა მეტოქე). საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელს შარშანაც ოქროს ვუგეგმავდით, მაგრამ მაშინ მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

**— შარშან 60 კილოში საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე გორელები ავიდნენ. ამჯერად ამ წონაში რატომ მოგეცარათ ხელი?**

— იმ სამიდან ორი ასაკის გამო ველარ ჭიდაობდა, მაშინდელმა მესამე პრიზიორმა ლაშა ლომიძემ კი 66 კილოში გადაინაცვლა და ჩემპიონიც გახდა. უშუალოდ 60 კილოში მნიშვნელოვან შედეგს არც ველოდით, მაქსიმუმი მესამე ადგილი გვქონდა დაგეგმილი და თარაშვილს და გოგიაშვილს ცოტა კენჭისყრისას რომ გამართლებოდათ, ასეც მოხდებოდა. ამჯერად ეს ფალავნები სამეულს მიღმა დარჩნენ. ჩემპიონატმა გვაჩვენა, რომ სამუშაო ბევრი გვაქვს 81, 90 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში. გვყავს რამდენიმე იმედისმომცემი სპორტსმენი, რომელიც მომავალში უთუოდ წარმატებით გამოავლენს შესაძლებლობებს.

**— მძიმეწონოსან უტა კოკაურს შარშანდელი გამარჯვების შემდეგ არცთუ სახარბიელო სეზონი ჰქონდა.**

— კოკაური ახლაც, როგორც შარშან, ჩემპიონი დამაჯერებლად გახდა. ოქროს მედლისკენ სავალ გზაზე ორივეჯერ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო! შარშანდელ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების მერე გარკვეულწილად გაუჭირდა საერთაშორისო სარბიელზე. მიზეზი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო. კარგა ხანს ტატამისკენ გახედვაც აღარ უნდოდა. პირადმა მწვრთნელებმა მასთან ბევრი იმუშავეს და, ვფიქრობ, სასურველი შედეგი მიღწეულია.

**— ბატონო ანზორ, გვერდს ვერ ავუვლით ჩემპიონატის მსვლელობისას მომხდარ ჩხუბს და აყალმაყალს. რამ გამოიწვია ინციდენტები და, თქვენი აზრით, რაშია გამოსავალი?**

— რაც მოხდა, ძალიან ცუდი იყო. პრობლემა ზოგიერთი მსაჯის არაკომპეტენტურობასა და არაობიექტურობაშია. კარგი იქნებოდა, ყველა არბიტრი მაღალი დონისა გვყავდეს. უცნაურია, როდესაც გულშემატკივარი ან მშობელი მსაჯების გადაწყვეტილების შეცვლას პირადი ჩარევით ცდილობს და არც ფიზიკურ შეურაცხყოფას ერიდება. სადავო შეხვედრები ყოველთვის, ყველა შეჯიბრებაზე იქნება. მაგრამ, თუ არ ამოქმედდა დასჯის მექანიზმი, მსგავს ექსცესებს ალბათ სხვა დროსაც ვერ ავცდებით.

აზრის გამოთქმა ბატონ **გურამ პაპიტაშვილსაც** ვთხოვეთ. აღმოჩნდა, რომ მასსა და **გივი ზაუტაშვილზე** იმდენად უმოქმედია ჩემპიონატის პირველივე დღეს მომხდარ არეულობებს, რომ შეჯიბრება მიუტოვებიათ და არც მეორე დღეს ჩასულან თბილისში.

**„ძიუდოს საქართველოში შემოსვლის დღიდან ვემსახურები და ასეთი რამ არათუ ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ არსად მინახავს! ეს რა ხალხი იყო? თავისი ფალავნის პოზიციის დასაცავად უთავბოლოდ ყვიროდნენ, დარბაზში წინ და უკან დარბოდნენ, ვინმე თუ პასუხის გაცემას „გაბედავდა", ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიოდნენ. ოდნავი მორიდებაც არ ჰქონიათ წარსულში ტიტულოვანი, ბუმბერაზი ფალავნების მიმართაც კი. ჩემთვის და გივი ზაუტაშვილისთვის ძიუდო მთელი ცხოვრებაა — ასეთი თავხედი ადამიანების შემხედვარე ცუდად შევიქენით, დავტოვეთ შეჯიბრება და არც მეორე დღეს გამოვჩენილვართ. სამწუხაროდ, მეორე დღეს კიდევ უარესი ამბები მომხდარა..."**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ახმეტას ახალი ტურნირი შეემატა

1-2 ივნისს ახმეტაში პირველად გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის - **ზურაბ ზვიადაურის** აღმზრდელ **გუგული აბრამიშვილის** სახელობის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

აბრამიშვილს უცხოელთა სოლიდური წარმომადგენლობის მოწვევა სურდა და ბევრსაც დაუგზავნა ფაქსი, მაგრამ მათგან მხოლოდ უახლოესი მეზობლები - სომხები და აზერბაიჯანელები ჩამოვიდნენ. სამაგიეროდ, ქვეყნის სხვადახვა რაიონის გუნდებმა სატურნირო პრაქტიკის მიღების შანსი გამოიყენეს და ტურნირში 14 გუნდი გამოდიოდა, სულ - 141 მონაწილე. შეჯიბრებამაც ლამაზად, მართლაც რომ მეგობრულ და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში, ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე ჩაიარა. წმინდა სპორტულ მხარეს რაც შეეხება, ყველაზე უკეთ მასპინძლები - ახმეტელები გამოვიდნენ. გულდაწყვეტილი არც სტუმარი მეზობლები დარჩენილან. განსაკუთრებით - აზერბაიჯანელები, რომლებმაც სომხებზე მეტი მედალი მოიპოვეს, 46 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი ჩემპიონობა საშინაო საქმედ აქციეს.

აღსანიშნავია, რომ 1-ელ ივნისს თვითონ გუგული აბრამიშვილის დაბადების დღე იყო, 2-ში - ზურაბ ზვიადაურისა.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი.**

**38კგ:** 1. ილია ჭიკაიძე, 2. გიორგი სოხოშვილი, 3. ზურაბ ლომიაშვილი, დავით ქასაევი (ოთხივე - ახმეტა).

**42კგ:** 1. მამუკა ხოხობაშვილი 2. ბიჭიკო მამუკელაშვილი, 3. ბაჩანა სარქისაშვილი (ახმეტა), არსენ გევორქიანი (სომხეთი).

**46კგ:** 1. სადიხ მაჰარამოვი, 2. ელსან ნუნიამალიევი (ორივე — აზერბაიჯანი), 3. თემურ სვანიძე (ქუთაისი), არუთინ დემირჭიანი (სომხეთი).

**50კგ:** 1. თემურ სამუკაშვილი (ახმეტა), 2. საიდ შუკუროვი, 3. ფაჰრუზ მამადოვი (აზერბაიჯანი), 3. ლევან ზარავანდაშვილი (ახმეტა).

**55კგ:** 1. გოდერძი ფეტვიაშვილი (ახმეტა), 2. ბაქარ გულბიანი (ქუთაისი), 3. ლევან ფრუიძე, გიორგი უძილაური (ახმეტა);

**60კგ:** 1. ბექა ჩართოლანი (მესტია), 2. ედგარ მიქაელიანი (სომხეთი), 3. ბექა ჯოხაძე (ყვარელი), ლაშა გუმაშვილი (ახმეტა).

**66კგ:** 1. ირაკლი ლომიძე (გორი), 2. ივანე ჩურჩხელაშვილი (ახმეტა), 3. შმაგი ხარაული (გორი), ლევან დავაძე (მარნეული).

**73კგ:** 1. ცოტნე ზურაბიანი (ქუთაისი), 2. ლექსო ნადირაშვილი (ახმეტა), 3. ფრიდონ გიგანი (ბოლნისი), ზურაბ ყიფშიძე (ყვარელი).

**81კგ:** 1. ილია ოტიაშვილი (ახმეტა), 2. ალექსანდრე ზაალიშვილი (გორი), 3. ავთანდილ სომხიშვილი (დედოფლისწყარო), ბექა რატიანი (ბოლნისი).

**+81კგ:** 1. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 2. დავით გარაქლოვი (ახმეტა), 3. გიგა კობიაშვილი (თელავი), გიორგი სეტიელი (თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# მთავარია, საქმეს გულით მოეკიდოს...

**საქართველოს ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ცინცაძესთან ინტერვიუ შეგვეძლო დაგვეწყო მეტოქეებზე ლაპარაკით, ნაკრების ახალწვეულებით, საკლუბო სიახლეებით, მაგრამ არის ერთი თემა, რაც ზემოხსენებულებზე მნიშვნელოვანია - კალათბურთელის ჯანმრთელობა. გიორგიმ პოლონეთის ჩემპიონატში კოჭი დაიზიანა და „სოპოტს" ნახევარფინალში ველარ დაეხმარა.**

- პოლონეთის პირველობის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 2 მატჩი რჩებოდა, როცა კოჭი გადამიბრუნდა. გამოკვლევა ჩამიტარეს, აღმოჩნდა რამდენიმე დაზიანება. ექიმებმა მითხრეს, ასეთი ტრავმის შემდეგ ერთ თვეში უნდა ითამაშოო. თვე რომ გავიდა, მწვრთნელმაც მითხრა, მოედანზე უნდა გაგიყვანოო. ვუპასუხე - ფეხი ისევ მტკივა და თუ შევძლებ, ვითამაშებ-მეთქი.

**- მოედანს მეოთხედფინალებში დაუბრუნდი...**

- მეოთხედფინალური სერიის ყველა მატჩი ჩავატარე. კოჭი ძალიან მტკიოდა, ვერც შეტევაში ვთამაშობდი თამამად და დაცვაშიც მიჭირდა. თუმცა, სასტარტო გამთამაშებელს რამდენიმე წუთით ვასვენებდი.

**- ნახევარფინალში „პროკომის" წინააღმდეგ არ გითამაშია...**

- მეოთხედფინალები რომ დასრულდა, მწვრთნელს გაშვება ვთხოვე, აღარ შემიძლია-მეთქი. გამომიშვეს.

**- კოჭი ახლა რა მდგომარეობაშია?**

- აღარ მაწუხებს. თბილისში ჩამოსვლისთანავე ნაკრების ექიმს, თემურ ყიფშიძეს მივაკითხე, სურათი გადავიღე და გაირკვა, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. თუმცა ექიმმა მირჩია - სჯობს ცოტა კიდევ დაისვენოო.

**- ვარჯიშს როდის შეუდგები?**

- არ ვჩქარობ, რადგან ვიცი, რომ წინ რთული სეზონი მელის. ახლა აუზსა და ტრენაჟორებზე დავდივარ.

**- საქართველოს ნაკრებში ორი ამერიკელი ჩამოჰყავთ. ერთ-ერთი, გრინი საბერძნეთში თამაშობდა. სეზონი შენც საბერძნეთში დაიწყე...**

- გრინის წინააღმდეგ ორჯერ მითამაშია. ჯერ საკონტროლო მატჩი, შემდეგ საბერძნეთის ჩემპიონატში. მე უფრო ევროვარსკვლავს ან NBA-ს კალათბურთელს ველოდი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გრინი ურიგო კალათბურთელია. მას ამერიკის კოლეჯების ლიგა აქვს მოგებული. ესპანეთისა და საბერძნეთის ჩემპიონატებში მიღებული გამოცდილება ცოტას არ ნიშნავს. კარგი მოთამაშეა და იმედი მაქვს, გულით მოეკიდება საქმეს.

**- ჰერბერტის დროს ნაკრებში მსროლელადაც ირჯებოდი. მანამდე, შემონდ უილიამსი რომ გვეხმარებოდა, მხოლოდ მსროლელი იყავი...**

- ჰერბერტის დროს, მგონი, საერთოდ არ ვთამაშობდი. მანამდე უფრო მეორე ნომრის ფუნქციებს ვასრულებდი. თუმცა ვფიქრობ, უფრო სწორად, მჯერა, რომ ტორინ გრინი ტაირონ ელისის შემცვლელად, მსროლელად ჩამოიყვანეს.

**- ქუინტონ ჰოსლის თამაში ხომ არ გინახავს?**

- არა. მას არ ვიცნობ.

**- გასულ სეზონში ოთხ გუნდში ითამაშე. რა მოგცა თითოეულმა კლუბმა?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საბერძნეთში გადასვლა შეცდომა იყო. „ტრიკალას" მწვრთნელს ვენდე, მაგრამ რასაც დამპირდა, არ შეასრულა.

**- რას დაგპირდა?**

- კონტრაქტის გაფორმებამდე ველაპარაკე სათანადო სათამაშო დროსა და ფუნქციებზე... რადგან საქმე ისე არ აეწყო, როგორც ვილაპარაკეთ, თან ხელფასსაც აგვიანებდნენ, „ტრიკალას" დატოვება გადავწყვიტე. კონტრაქტი ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტეთ.

**- „დონეცკში" კარგად მოეწყვე...**

- მიუხედავად იმისა, რომ სულ 3 მატჩი ჩავატარე, გუნდს იოლად მოვერგე და სერიოზული ფუნქციებიც დამეკისრა, მაგრამ გარემოებათა გამო გუნდი იანვარში დაიშალა - „დონეცკი" ყველა ლეგიონერმა დატოვა.

**- უკრაინასა და პოლონეთს შორის „აგრარული" იყო.**

- დონეცკიდან ჩამოსულს სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა. „აგრარულის" ხელმძღვანელობა ყოველმხრივ გვერდში დამიდგა და ძალიან დამეხმარა. მეც საქართველოს თასის მოგებაში დავეხმარე. მოხარული ვარ, რომ საქართველოში პირველი ტიტული მოვიპოვე - ახალგაზრდულ ასაკში მოგებულ ჯილდოებს არ ვგულისხმობ.

**- 2003 წელს „აკადემიადან" „ბასკოში" გადახვედი. სწორედ მაშინ მოიპოვეს ბათუმელებმა საქართველოს თასი. თუმცა მაშინ გუნდში არ იყავი...**



გიორგი ცინცაძე

- 2003 წელს თასის გათამაშება იანვარში ჩატარდა. „აკადემიადან" „ბასკოში" სწორედ იანვრის ბოლოს გადავედი და ამიტომაც არ მითამაშია. იმ წელს ჩემპიონატის ფინალში „დინამოსთან" წავაგეთ და მას მერე უცხოეთში წავედი.

**- „ტრიკალა", „დონეცკი", „აგრარული"... დაგვრჩა „სოპოტი".**

- საკალათბურთო თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში იყო. მწვრთნელი ბოლომდე მენდობოდა. საწყისი ორი თამაში შესათამაშებლად დამჭირდა, შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო, ერთ-ერთ ლიდერადაც ვიქეცი. გულშემატკივრების მხრიდანაც ვგრძნობდი პატივისცემას. თუმცა 6 მატჩის შემდეგ, როცა ფორმაში შევედი, ტრავმა მივიღე და მას მერე სეზონის ბოლომდე სათანადოდ ველარ ვითამაშე.

**- მომავალ კლუბზე კითხვა ნაადრევია?**

- ასეა. ევროპის ბევრ ქვეყანაში სეზონი არ დასრულებულა. მეც ჯერ უკლუბოდ ვარ.

**- პოლონეთში დაბრუნებას აღარ აპირებ?**

- „სოპოტთან" კონტრაქტს ვადა სეზონის დასრულებისთანავე გაუვიდა. იქ კარიერას აღარ გავაგრძელებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**იტალიის ჩემპიონატი**

**მონტეპასკი-კანტუ 104:74**

**მანუჩარ მარკოიშვილი: 16 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 5 ფოლი**

**სერიას იგებს მონტეპასკი - 2:0**

ჭადრაკი

# თასი მუზიჩუკს ერგო

ცხრა შესაძლებლიდან — 8 ქულა, აი, ასეთი შედეგით დაამთავრა უკრაინელმა **ანა მუზიჩუკმა** მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება, რომელშიც ოთხი ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. სლოვენიის სახელით მოასპარეზე დიდოსტატი გუშინ შავი ფიგურებით თასის შარშანდელ მფლობელ **ბელა ხოტენაშვილს** დაუპირისპირდა. იმის მიუხედავად, რომ მუზიჩუკს პირველი ადგილი უკვე განაღდებული ჰქონდა, ბოლომდე უშელავათოდ ებრძოდა ქართველ მეტოქეს და გაიმარჯვა კიდეც. მაია ჩიბურდანიძის თასთან ერთად მას 7 ათასი ლარი ერგო. 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა **ნინო ხურციძე**, რომელმაც ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით **სოფიკო გურამიშვილს** აჯობა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ლელა ჯავახიშვილი-სოფიო გვეტაძე 0:1, სოფიო ხუხაშვილი-სოფიო ნიკოლაძე 1:0, ნინო ბაციაშვილი-მირანდა მიქაძე** 0,5:0,5, **ალექსანდრა ვახანია-ლილით გალოიანი** (სომხეთი) 0,5:0,5, **თამარ ხმიადაშვილი-მაკა ფურცელაძე** 0:1.

ცხრა ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები სოფიო გვეტაძემ და სოფიო ხუხაშვილმა გაინაწილეს. 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე მოდიან: ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, მირანდა მიქაძე და მაკა ფურცელაძე. მეორე ადგილზე გასულ მოჭადრაკეს 5000 ლარი ხვდა, ბრინჯაოს მედალოსანს — 4500, მეოთხე ადგილოსანს — 2500 ლარი. სულ ფულადი პრიზებით (32 ათასი ლარი) 28 მოჭადრაკე დაჯილდოვდა.

ტურნირის საზეიმო დახურვისას სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** და ანა მუზიჩუკი. გია გიორგაძემ მადლობა გადაუხადა სპონსორებს - „სოკარ ჯორჯიას", ქართუ ჯგუფს და დასძინა, რომ 2011 წელს **ნონა გაფრინდაშვილის** საერთაშორისო ტურნირიც გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ჯობავა მეორე ტურში დამარცხდა

პოიკოვსკში (რუსეთი) მოჭადრაკეთა ანატოლი კარპოვის სახელობის მე-11 საერთაშორისო ტურნირზე (ფიდეს მე-19 კატეგორია) გუშინ მეორე ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა**, სამწუხაროდ, **დმიტრი იაკოვენკოსთან** დამარცხდა, **სერგეი კარიაკინმა** კი **არკადი ნაიდიჩს** აჯობა. დაზავდნენ: **ალექსანდრ ონიშჩუკი-სერგეი რუბლიოვსკი, ნიკიტა ვიტიუგოვი-ვიორელ ბოლოგანი, ალექსანდრე რიაზანცევი-ემილ სუტოვსკი, ალექსანდრ მოტილევი-ივან სოკოლოვი.** ორი ტურის შემდეგ ბოლოგანს, კარიაკინს, რიაზანცევსა და იაკოვენკოს 1,5-1,5 ქულა აქვთ, ვიტიუგოვს, მოტილევს, ონიშჩუკსა და სუტოვსკის — თითო ქულა, ხოლო ჯობავას, ნაიდიჩს, რუბლიოვსკისა და სოკოლოვს — 0,5-0,5 ქულა.

დღეს მესამე ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# შაფათავა დუბლს უმიზნებს

უზბეკეთის ქალაქ ბუხარაში 25-ათასიან საჩოგბურთო ტურნირში ხუთი ქართველი ჩაება, აქედან ერთმა ნახევარფინალამდე გააღწია - 21 წლის **სოფიო შაფათავამ** (348). შაფათავამ ძირითად ბადემდე საკვალიფიკაციოც გაიარა, სადაც მე-3 ნომრად იყო განთესილი. გუშინ ჩვენებურმა მეოთხედფინალში რუსი **დარია კუჩმინა** (483) დაამარცხა - 6:4, 4:6, 6:0. **ეკა გორგოძეს**, მე-6 ნომრად განთესილი **ელენა კულიკოვასთვის** (361) რომ მოეგო, ნახევარფინალში ქართველთა დუელი შედგებოდა, მაგრამ ეკამ სამ სეტში წააგო - 7:6 (4), 0:6, 3:6. ამავე ეტაპზე დამარცხდა **თათია მიქაძეც**, რომელსაც მე-2 ნომრად განთესილმა **ეირინი გეორგატუმ** (საბერძნეთი, 257) აჯობა - 6:2, 6:3. ნახევარფინალში შაფათავას გარდა ყველა განთესილი ჩოგბურთელია.

ბუხარაში წყვილთა თანრიგში დღეს ფინალი გაიმართება, მე-4 ნომრად განთესილ ქართულ წყვილს (შაფათავა, მიქაძე) ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. ამისთვის მიქაძეს და შაფათავას პირველ ნომრად განთესილების, **ბასუკისა** და **რომპიესის** (ორივე ინდონეზია) დამარცხება მართებთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ველოსპორტი | ტრეკი

# ასკურავა შედეგებს აუმჯობესებს

მაისის მეორე ნახევარში რუსეთის ქალაქებში ტულასა და მოსკოვში გაიმართა ტრეკზე ველომრბოლთა ევროპის თასის I და II ეტაპები, რომლებშიც ჩვენი ერთადერთი თანამემამულე, სატრეკო ველოსპორტის ლიდერი, ლონდონის ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი **დავით ასკურავა** მონაწილეობდა.

აი, რა გვიამბო რუსეთიდან დაბრუნებულმა **როდიკო მეიშვილმა**, დავით ასკურავას მწვრთნელმა:

— ტულაშიც და მოსკოვშიც ევროპის თასის ეტაპები ოლიმპიურ დისციპლინებში გაიმართა და აქ ასპარეზობა იმიტომაც იყო ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი. ორივე შეჯიბრება სარეიტინგო ქულებს იძლევა, ამიტომ ველოსპორტის ელიტა მონაწილეობდა — მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. აქ იყვნენ ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, ჩეხი, პოლონელი, ჰოლანდიელი, გერმანელი, უკრაინელი, ბელარუსი და სხვა ქვეყნების ველოსიპედისტები.

ასკურავამ ორივე ტურნირში საგრძნობლად გააუმჯობესა შედეგები. გარდა ამისა, უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა და ეს უცხოელმა სპეციალისტებმაც აღნიშნეს — ერთ წელიწადში სპორტსმენმა ძალიან მოუმატაო.

ტულიდან მოსკოვში გადავედით. კრილატსკოეს ხის საფარზე 200 მეტრზე დათომ კვლავ გააუმჯობესა შარშანდელი შედეგი.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ რუსეთში, ასე ვთქვათ, გზატკეცილიდან წავედით, ჩვენი ტრეკი ხომ არასრულყოფილია. ამიტომ დარწმუნებული ვარ, სადმე უკრაინაში ან ბელარუსში ათდღიანი შეკრება რომ გაგვევლო ხისსაფარიან ტრეკზე, გაცილებით უკეთეს შედეგებს ვაჩვენებდით.

მესამე ეტაპი 18 ივნისს გერმანიაში იწყება, მაგრამ იქ წასვლა საეჭვოა, ვიზების გაფორმებას ვერ ვასწრებთ, ალბათ ბოლო, მეოთხე ეტაპზე წავალთ აგვისტოში პოლონეთში.

**ტულა, 24-25 მაისი. ევროპის თასის პირველი ეტაპი, ტულის გრან-პრი.**

**200 მ. (36 მონაწილე):** ... 19. დავით ასკურავა – 10.850. ... 19. ფინალში ასკურავა შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონს ოლიმპიურ სპრინტში, გერმანელ რობერტ ფორსტერმანს და დამარცხდა.

**ოლიმპიური სპრინტი (13 გუნდი):** ... 8. დავით ასკურავა (შერეულ გუნდთან).

**კეირინი:** ...13. დავით ასკურავა.

**მოსკოვი, 28-30 მაისი.** ევროპის თასის მეორე ეტაპი, მოსკოვის გრან-პრი.

**200 მ. (45 მონაწილე):** ... 22. დავით ასკურავა – 10.494. ... 22. ფინალში შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ ბაუჯე გრეგორს და დამარცხდა.

**ოლიმპიური სპრინტი (11 გუნდი):** ... 9. დავით ასკურავა (შერეულ გუნდთან)

**კეირინი (40 მონაწილე):** ... 15. დავით ასკურავა

**გიორგი გურული**

ევროპული ნაკრების მეტოქე | პორტუგალია

# ლოპესი: საქართველოს ნაკრებს არ ვიცნობ



მონჩო ლოპესი

ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებსაიტზე პორტუგალიის ნაკრების შესახებ გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც გუნდის მთავარი მწვრთნელი **მონჩო ლოპესი** შესარჩევ ეტაპსა და მეტოქეებზე ლაპარაკობს. რამდენადაც პორტუგალიას მეტოქედ ქართველებიც ერგებიან, საინტერესო უნდა იყოს სტატიის გადმოქართულება.

*- პორტუგალიელთა დამრიგებელი მონჩო ლოპესი მიესალმება ევრობასკეტის მონაწილე გუნდების რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდას.*

*- ეს ჩვენთვის ფანტასტიკური ინფორმაციაა. ვფიქრობ, ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის დიდი შანსი გვაქვს. ფიბას გადაწყვეტილება სერიოზულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რადგან კიდევ უფრო მაღალი დონის გუნდებთან მოგვიწევს თამაში.*

მონჩო ლოპესს სანაკრებო შემადგენლობა საბოლოოდ ჯერ არ შეურჩევია. იგი პორტუგალიურ პუბლიკას ჰპირდება, რომ გაფართოებულ სიას უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს. შემადგენლობაში 3-4 ახალგაზრდა კალათბურთელი იქნება, რომლებსაც მწვრთნელი დიდი ხანია, აკვირდება.

პორტუგალიის ნაკრები 4 ივლისს იმ იმედით შეიკრიბება, რომ აგვისტოს ბოლოს ლიტვაში გასამართი 2011 წლის ევრობასკეტის საგზურს მოიპოვებს. საქართველო, ბელგია, პოლონეთი და ბულგარეთი - აი, პორტუგალიელთა მეტოქეები.

*- თეორიულად ჩვენი მეტოქეები უფრო ძლიერები არიან. თუმცა საკმარისად გამოცდილები ვართ და კარგად ვიცით, რომ მატჩი მოედანზე უნდა მოიგო და არა თეორიაში, - ამბობს ლოპესი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გასოლსა და ნავაროს ავარჯიშებდა. იგი მეტოქეებსაც ახასიათებს:*

*- ბულგარეთი და პოლონეთი ჯგუფში ყველაზე ძლიერები არიან. ბელგიამ შარშანაც დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. გასულ ციკლში ბელგიელებთან ორჯერ წავაგეთ, მაგრამ იმ მატჩებმა გვიჩვენა, რომ მათზე არანაკლები სიძლიერის გუნდი გვყავს. სიმართლე გითხრათ, საქართველოს ნაკრებს არ ვიცნობ. არც მისი თამაში მინახავს. ამ გუნდების წინააღმდეგ მატჩებისას პორტუგალიელი ქომაგის მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს.*

ივლისში პორტუგალიელები რიო მარში შეიკრიბებიან. ამავე ქალაქში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებენ - პირენეებზე ჩავლენ ბრაზილია, იორდანია და ანგოლა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

3 ივნისი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 15 |
| ვისოლი/ყოჩები | 22 |

ლოკომოტივი (15-9) კავთიძე, ჟამუტაშვილი, ქავთარაძე, ხუციშვილი (კობერიძე 59), შიოშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია (1-8) ელოშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი (გუნიავა 64), ჩიტიძე, გუჯარაიძე, ნიშნიანიძე (ახვლედიანი 32), ბეროშვილი (ოზგებაშვილი 59), ზ.მაისურაძე

*5ს: კვინიხიძე*

სინბინი: კვინიხიძე

ვისოლი/ყოჩები (15-9) მახარაშვილი, გეგენავა, პ.მაისურაძე, ადანაია, ნიჟარაძე, სოხაძე (1-8) გოიშვილი (ასეიშვილი 60), ზრეგვაძე, ხოსიტაშვილი, ზაალიშვილი, არჩუაშვილი, ტყეშელაიძე (მამულაშვილი 56), ცხვედიანი (კალმახელიძე 45), დგებუაძე (ნიკოლაიშვილი 76)

*ლ: არჩუაშვილი . 5ს,გ: მახარაშვილი*

სინბინი: ცხვედიანი, ნიჟარაძე, სოხაძე

მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

# ვისოლი/ყოჩებმა აია გაალიდერა



ბურთით ზვიად მაისურაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო შეხვედრაში ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე „ვისოლი/ყოჩებმა“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ 22:15 დაამარცხა. შედეგად, პირველი წრის გამარჯვებული გახდა ქუთაისის „აია“, რომელსაც უშუალო კონკურენტებისგან განსხვავებით ერთით ნაკლები წაგება აქვს.

„ვისოლი/ყოჩებისა“ და „ლოკომოტივის“ დაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ვაკეში შეკრებილმა ქომაგებმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილეს. პირველ ნახევარში რკინიგზელებმა მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მათი უპირატესობა შერკინებაში.

„ლოკომოტივმა“ მეტოქე მოლით რამდენჯერმე საკმაო დიდ მანძილზე ათრია, თუმცა ეს ყოველთვის ჩათვლის მოედნიდან შორს ხდებოდა. რკინიგზელთა მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** სამი საჯარიმო გაიტანა და ტაიმი მათ მშრალად - 9:0 მოიგეს.

„ვისოლი/ყოჩებს“, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდათ. ისინი მეტოქის ჩათვლის მოედანს არც კი მიახლოებიან და ერთხელაც არ მისცემიათ შანსი, კარი საჯარიმოთი დაელაშქრათ. რკინიგზელთაგან ყველაზე აქტიური, როგორც ყოველთვის, მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე** იყო, თუმცა მას თანაგუნდელები სათანადოდ მხარს ვერ უბამდნენ. განსაკუთრებით პასიური კი უკანა ხაზი იყო.

მეორე ტაიმი „ვისოლი/ყოჩებმა“ ბევრად მეტი შემართებით დაიწყო და მატჩის ბედის სათავისოდ გადაწყვეტა მოახერხა. ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა**, რომელმაც გუნდს 17 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა), ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე 42-ე წუთზე საჯარიმოთი შეამცირა.

შავლეგს სამიოდ წუთში კიდევ ერთხელ შეეძლო საჯარიმოთი მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ მსაჯთან კამათისთვის „ვისოლი/ყოჩების“ გარემარბმა **სანდრო ნიჟარაძემ** ყვითელი ბარათი დაიმსახურა და საჯარიმოს დარტყმის უფლებაც „ლოკომოტივს“ გადაეცა.

50-ე წუთზე კვინიხიძემ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, რასაც მახარაშვილმა საჯარიმოთივე უპასუხა - 6:12. ნელნელა „ვისოლი/ყოჩების“ უპირატესობა შერკინებაშიც გამოიკვეთა. ახლა ისინი უკეთ კრავდნენ მოლს და მეტოქეს დიდ თავსატეხს უჩენდნენ. 59-ე წუთზე მათ ამ უპირატესობის რეალიზება შეძლეს. მარჯვენა ფრთაზე დერეფნიდან მოლი ააგორეს, რამდენიმე მეტრი გაიარეს. მერე თამაში რაკში გადავიდა. მორკინალებმა ორჯერ კართან ახლოს შეუტიეს. ბოლოს ბურთი მეორეხაზელმა **მიხეილ არჩუაშვილმა** აიტაცა და ლელოში გადადო. მახარაშვილმა გარდასახა - 13:12.

„ლოკომოტივს“ შვიდი წუთი დასჭირდა ანგარიშში ისევ დასაწინაურებლად. კვინიხიძემ ამჯერადაც საჯარიმო გაიტანა - 15:13. დასკვნით 15 წუთში პირობებს მთლიანად“ვისოლი/ყოჩები“ კარნახობდა. მათ ჩვეული შეუპოვრობა და ბოლომდე ჟინიანად ბრძოლის უნარი კიდევ ერთხელ გამოავლინეს. მით უფრო, რომ სინბინში სამი მორაგბე ჰყავდათ და 30 წუთი უმცირესობაში მოუწიათ თამაშმა. არბიტრმა არც რკინიგზელები დაინდო და ყვითელი ბარათი გუნდის ლიდერ ბობა კვინიხიძეს უჩვენა. გამოცდილი მგეზავის გარეშე „ლოკომოტივი“ სულ აირია.

შავლეგ მახარაშვილმა ოთხ-ოთხწუთიანი შუალედებით კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა და „ვისოლი/ყოჩებს“ - 22:15 გაამარჯვებინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 7 | 6 | 0 | 1 | +55 | 12 |
| 2. ყოჩები | 7 | 5 | 0 | 2 | +51 | 10 |
| 3. ლელო | 7 | 5 | 0 | 2 | +100 | 10 |
| 4. ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | +64 | 10 |
| 5. არმაზი | 7 | 3 | 0 | 4 | -38 | 6 |
| 6. აკადემია | 7 | 2 | 0 | 5 | -22 | 4 |
| 7. ბათუმი XV | 7 | 1 | 0 | 6 | -91 | 2 |
| 8. ხარები | 7 | 1 | 0 | 6 | -115 | 2 |

საქართველოს თასი

3 ივნისი

| | |
|---|---|
| თსუ/ლომები | 12 |
| ლელო | 15 |

თსუ/ლომები (15-9) ფერაძე, ბ.კობახიძე, თ.მჭედლიძე, ნადარეიშვილი, ხარაზიშვილი, ბაირამაშვილი, ჯანაშვილი (1-8) ქორიძე, ორაგველიძე (ანთაძე 62), შენგელია, ბ.მჭედლიძე (კ.კობახიძე 52), ჟღენტი, კილასონია, მორჩაძე, დარახველია

*4ს: ბ.კობახიძე*

ლელო(15-9)ყიასაშვილი, თოდუა, ანდღულაძე (ჯოგლიძე 45), მანჯავიძე (გუგავა 38),მჭედლიშვილი, ხმალაძე, ლამბაშიძე (1-8) მირცხულავა, ცხოვრებაშვილი, სუჯაშვილი, აზალაძე, ი.დაუშვილი (ჯალაღონია 28, გაბელია 72), სურგულაძე, სარდანაშვილი, ჭყოიძე

*2ლ: ცხოვრებაშვილი, სარდანაშვილი. გ,ს: მჭედლიშვილი*

მსაჯი. გ. ჯავახიშვილი

საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალში მხოლოდ სამი შეხვედრა გაიმართა, რადგან პირველი ლიგის გუნდებმა, „არწივებმა“, „ბაგრატმა“, „რაინდებმა“, „ხულიგანამ“ და „თიბისიმ“ ასპარეზობაზე უარი თქვეს. ამიტომ „აია“, „აკადემია“, „ხარები“, „არმაზი“ და „ბათუმი XV“ მეოხედფინალში პირდაპირ გავიდნენ.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელ „ლელოს“ დაპირისპირება აღმოჩნდა პირველლიგელთან გორის „თსუ\ლომებთან“. გორელებმა მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით - 9:8 მოიგეს კიდეც.

„ლელომ“ მეორე ტაიმის მიწურულს მაინც შეძლო მობილიზება და მეტოქე 15:12 დაამარცხა.

საქართველოს თასი

მერვედფინალი

ივერია-ლოკომოტივი 29:45

დევები-ვისოლი/ყოჩები 7:65

ზე 14

# სიმბოლურში მხოლოდ სამი გამარჯვებული

ზე 14-ის წლევანდელი გათამაშება პრეტორიის „ბლუ ბულზის“ ტრიუმფით დასრულდა. „ლურჯმა ხარებმა“ დამსახურებულად მოიპოვეს მესამედ ზეპური რაგბის უმაღლესი ტიტული. თუმცა სეზონის შედეგების შეჯამებისას, ანუ სიმბოლურ ნაკრებში ზე 14-ის საუკეთესო გუნდიდან მხოლოდ სამი მორაგბე მოხვდა.

საუკეთესო თხუთმეტეული Planetrugby-ს სპეციალისტთა ჯგუფმა შეადგინა. მათ ამა თუ იმ პოზიციაზე უპირატესობა იმ მორაგბეს მიანიჭეს, ვინც სეზონის განმავლობაში ტურის სიმბოლურ ნაკრებში უფრო მეტჯერ მოხვდა.

**15. იზრაელ დაგი (ჰაილენდერზი):** ის საუკეთესო იყო მთელი სეზონის განმავლობაში. ახალი ზელანდიის ამომავალ ვარსკვლავს კონკურენციას სეზონის დასასრულისკენ მხოლოდ ვორათაზელი **ქართლი ბეილი** უწევდა. დაგი ღირსი იყო, წლეულს ჩემპიონის ტიტულს დაუფლებოდა, მაგრამ ეს მომავალ სეზონში შეიძლება. მან „ჰაილენდერზი“ დატოვა და ზე 14-ის შვიდგზის ჩემპიონ „კრუსეიდერზში გადაბარგდა.

**14.ჯო როკოთოკო (ბლუზი):** „ადამიანი რაკეტა“ დაბრუნდა. როკოთოკო ყველა ტურში იყო სიმბოლური ნაკრების კანდიდატი. დიდი, სწრაფი და შეუჩერებელი - მოკლედ ასე შეიძლება მისი დახასიათება. დარწმუნებულნი ვართ, მომავალ ტესტებზე ირლანდიასა და უელსის ნაკრებებს ბევრ თავსატეხს გაუჩენს.

მისი კონკურენტი სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ვორათზელი **ლაკი ტერნერი** იყო.

**13.ჟაკ ფური (სთორმერზი):** მან მთელი სეზონის განმავლობაში დაცვასა და შეტევაში თამაშის მასტერკლასი ჩაატარა. ფურიმ ბოლო ცენტამდე გაამართლა „სთორმერზის“ მიერ „ლაიონზისთვის“ გადახდილი საკმაოდ სოლიდური სატრანსფერო თანხა. ის სთორმერზელთა წლევანდელი წარმატებული თამაშის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია.

ამ პოზიციაზე პრეტენზიას „ბლუზის“ შუამარბი **რენე რენგერიც** აცხადებდა.

**12. ვინანდ ულიფიე (ბლუ ბულზი):** მან მთელი სეზონი უშეცდომოდ ითამაშა. დაცვაში შეუდარებელი იყო და არც ბურთით ხელში ჩამოუვარდებოდა ვინმეს. ულიფიე საუკეთესო იყო „ბლუ ბულზის“ შემადგენლობაში.

მისი კონკურენტი სიმბოლურ ნაკრებში მოსახვედრად ჰარიკენზელი **მაა ნონუ** იყო

**11.ზაკ გილდფორდი (კრუსეიდერზი):** ის შრომისმოყვარე, დაუზარელი, გამრჯე ბიჭია. ზაკს სერიოზულ კონკურენციას ვორათაზელი **დრიუ მიტჩელი** უწევდა. ავსტრალიელსაც ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ უპირატესობა მანიც გილდფორდს მიანიჭეს. რეალურად კი, ვინ უფრო მაგარია, სამი ერის გათამაშებაში, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის დაპირისპირებისას გაირკვევა.

**10. ქუადე კუპერი (რედსი):** შესაძლოა, „ბლუ ბულზის“ ქომაგები შესაძლოა ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმონ, მაგრამ ფაქტია, კუპერმა ბრწყინვალედ ითამაშა და ყველა ასპექტში საუკეთესო იყო. თვით ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობი დინსმა**, უპირატესობა მგეზავის პოზიციაზე მას მიანიჭა და **მეთ გიტო** შუამარბად გაამწესა ივნისის ტესტებისთვის.

ცხდია, კუპერის კონკურენტი „ბოკეს“ მგეზავი **მორნი სტეინი** იყო.

**9. ვილი გენია (რედსი):** როცა ელავს,



ვინანდ ულიფიე

აუცილებლად დაიქუხებს. გენია კუპერთან წყვილში მეხივით ატყდებოდა მეტოქეებს. მართალია, მათი „რედსი“ ოთხეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ვილი ყველა შეხვედრაში ისე თამაშობდა, როგორც ფინალურ მატჩში. ერთი სიტყვით, ის გუნდის მამოძრავებელი ძალა იყო.

ვილის კონკურენტი „ბლუ ბულზისა“ და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცხრა ნომერი **ფური დუ პრი** იყო.

**8. პიერ სპისი (ბლუ ბულზი):** ამ პოზიციაზე ორი [illegible] მორაგბე აცხადებდა პრეტენზიას. სპისის მეტოქე სთორმერზელი **დუეინ ვერმულენი** იყო. ფინალში სპისმა აჯობა და სიმბოლურშიც დამსახურებულად დაიკავა ადგილი.

**7. ფილ ვოგი (ვორათაზი):** ის ჭკვიანი, ბოლომდე მებრძოლი ფლანკერია. ნახევრფინალში ყველაფერი ილონა „სთორმერზის“ დასამარცხებლად, თუმცა უშედეგოდ. ვოგს გარჯა ავსტრალიის ნაკრების თავკაცმაც არ დაუფასა - ის ნაკრებში ვერ მოხვდა.

ფილს კონკურენციას სიმბოლურ ნაკრებში მოსახვედრად **ჟუან სმითი** (ჩიტაზი) უწევდა.

**6. სხალკ ბურხერი (სთორმერზი):** ის გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო. ბურხერი [illegible] იყო დაცვაში და შეტევისას მოწინააღმდეგის დაცვას შიშის ზარს სცემდა. ფიზიკურად ყოველთვის ხალასად გამოიყურებოდა და ტოლს არავის არაფერში უდებდა. ნამდვილი მებრძოლი, თავდადებული მესამეხაზელია.

მისი კონკურენტი ჰაილენდერზელი **ადამ თომსონი** იყო.

**5. ანდრეას ბეკერი (სთორმერზი):** ზე 14-ის ყველაზე მაღალი მორაგბე ტურის სიმბოლურ ნაკრებებში ყველაზე მეტჯერ მოხვდა. ფინალში **ვიქტორ მეტფილდმა** დაჩრდილა, მაგრამ მანამდე ის უფრო ბრწყინავდა.

**4. დენ მამი (ვორათაზი):** ის ყოველთვის მუხლჩაუხრელად შრომობს, თავდადებით იბრძვის. ბრწყინვალეა დერეფანში თამაშისას. დენი ვინმეს არც დრიბლინგში ჩამოუვარდება. მისი რამდენიმე გარღვევით ვორათაზელებმა უმნიშვნელოვანესი ლელოები გაიტანეს.

ამ პოზიციაზე კიდევ ერთი ღირსეული კანდიდატი ფორსელი **ნათან შარფი** იყო.

**3. ნეემია ტიალატა (ჰარიკენზი):** ეს შერკინების ბურჯი ყველაზე მაგარია სტატიკურ სიტუაციებში. შერკინებაში კედელივით დგას და შეტევაშიც ხშირად ქმნის უპირატესობას.

მისი კონკურენტი სიმბოლურ ნაკრებში **ვი პი ნილი** იყო

**2. ჯეისონ რათლიჯი (ჰაილენდერზი):** ის დიდი ენთუზიაზმითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. რათლიჯი ერთნაირად კარგია დაცვაშიც და ღია თამაშშიც. თითქმის იმავეს თქმა შეიძლება „ბლუ ბულზის“ შერკინების კვაჭ **გარი ბოთაზე.**

**1. ხურთრო სტენკამპი (ბლუ ბულზი):** მან თავისი საუკეთესო თვისებები ტურნირის მეორე ნახევრში გამოავლინა. სტენკამპი შეუდარებელი იყო ფინალშიც. მართალია, ბრამბიზელ **ბენ ალექსანდერს** გარკვეულ კომპონენტებში ჩამოუვარდება, მაგრამ ხურთრო უფრო მებრძოლი, შეუდრეკელი აღმოჩნდა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ფორმულა 1



# ფეტელი 2015 წლამდე

ჟურნალ „ავტოსპორტის" ინფორმაციით, ავსტრიული საჯინიბო „რედ ბული" უახლოეს ხანში ახალ კონტრაქტს შესთავაზებს გერმანელ **სებასტიან ფეტელს**.

ახალგაზრდა და ნიჭიერი პილოტის მიმართ „რედ ბულის" კონკურენტები მუდმივ ინტერესს გამოხატავენ, რის გამოც ავსტრიული გუნდის ხელმძღვანელობას სურს, რაც შეიძლება მალე გადახედოს გერმანელის კონტრაქტის პირობებს. დღეისთვის მხარეებს 2012 წლის ბოლომდე აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება, მაგრამ უახლოეს ხანში მას სავარაუდოდ 2015 წლის ბოლომდე გაახანგრძლივებენ. როგორც ამბობენ, მოლაპარაკებები „რედ ბულსა" და ფეტელს შორის დასკვნით ფაზაშია შესული.

რაც შეეხება გუნდის მეორე პილოტს **მარკ უებერს**, მასთან დაკავშირებით სიტუაცია არც ისე მარტივია. როგორც ჩანს, ავსტრალიელთან არ აპირებენ მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას, მაქსიმუმ ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელებაა. ეს საკითხი, სავარაუდოდ, ბრიტანეთის გრან-პრის შემდეგ გადაწყდება.

გარდა ამისა, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „რედ ბულში" დარჩება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა - მთავარი კონსტრუქტორი **ადრიან ნიუი**. *„ჩვენი თანამშრომლობა დროით არ არის შეზღუდული,* - ამბობს „რედ ბულის" შეფი **კრისტიან ჰორნერი**. - *ის სიამოვნებას იღებს იმისგან, რასაც აკეთებს, თანაც ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდაა".*

ავტოსპორტი

# ვილნევი ნასკარზე ირბოლებს

უკვე რამდენიმე წელია ფორმულა 1-ის 1997 ჩემპიონი **ჟაკ ვილნევი** სერიოზული სარბოლო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი. გასულ ზამთარში კანადელი US F1-თან ერთად სერიოზულად ემზადებოდა ფორმულა 1-ში დასაბრუნებლად, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა. პილოტი უკვე 39 წლისაა, ამიტომაც უწევს იმის აღიარება, რომ სარბოლო კარიერის საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა.

თუმცა ვილნევი ბოლომდე ვერ ემშვება ავტოსპორტს. ამ ზაფხულს ის ნასკარ-ის სერიის ორ რბოლაში აპირებს მონაწილეობა. ლაპარაკია ამ სერიის ე.წ. „პირველ ლიგაზე", რომელსაც Nationwide ჰქვია. კანადელი „ტოიოტას" მანქანით ირბოლებს, თანაც იმ ტრასებზე, რომელსაც ჟაკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

19 ივლისს ვილნევი ელკარტ-ლეიკში გავა სტარტზე. სწორედ აქ 16 წლის წინ ჟაკმა პირველი გამარჯვება მოიპოვა CART-ის ჩემპიონატში. 29 აგვისტოს მსოფლიოს ექსჩემპიონს მშობლიური მონრეალის ტრასაზე ვიხილავთ, რომელსაც მამამისის - **ჟილ ვილნევის** სახელი აქვს მინიჭებული. სხვათა შორის, უმცროსი ვილნევი აქ 2009 წელს გამოდიოდა Nationwide-ის სერიის ეტაპზე, როცა მეექვსემ აილო სტარტი და მეოთხე მივიდა ფინიშთან.

თხილამურებით სირბილი

# რუსეთი დოპინგის გამო დაისაჯა

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIS) 127 ათასი ევროთი დასაჯა რუსეთის სათხილამურო რბოლების ფედერაცია. მიზეზი გახშირებული დოპინგსკანდალები გახდა, რომლის მონაწილეებიც რუსი სპორტსმენები არიან. გარდა ამისა, FIS-მა რუსეთს ამ სკანდალებში გარეული მწვრთნელების გაშვება მოსთხოვა.

საერთაშორისო ფედერაციამ რუსი ჩინოვნიკებისგან 2010 წლის პირველ ნოემბრამდე ანტისადოპინგო პროგრამის წარმოდგენა მოითხოვა. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები არ შესრულდება, რუსეთის ფედერაციას ახალი სანქციები ელის, მაგალითად, საერთაშორისო ტურნირებიდან ოთხი წლით მოკვეთა.

ჰოკეი

NHL პლეი ოფი. ფინალი

**ფილადელფია-ჩიკაგო 4:3 (ო)**

**1:0,1:2, 1:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 ბრიერი-11 (ჰარტნელი-8, ქობურნი-3), 1:1 კეიტი-2 (კეინი-14, მარიან ჰოსა-12), 2:1 ჰარტნელი-5 (პრონგერი-13, ჟირუ-10), 2:2 სოპელი-1 (მადენი-1), 2:3 კეინი-8 (ტეუვზი-20, იგერი-2), 3:3 ლეინო-6 (ჟირუ-11, მ. კარლი-11), 4:3 ჟირუ-9 (მ. კარლი-12, ბრიერი-13).

**სერია: 1:2**

ჩოგბურთი

# არშემდგარი ნახევარფინალები

გუშინ, როლან გაროსზე ქალთა ტურნირის ფინალისტები გაირკვნენ - **ფრანჩესკა სკიავონემ** და **სამანტა სტოსურმა** პირველად მიაღწიეს „დიდი სლემის" ტურნირის გადამწყვეტ მატჩამდე და შესაბამისად, რომელიმე მათგანი პირველად მოიგებს ტიტულს.

გუშინდელი პროგრამა **ფილიპ შატრიეს** ცენტრალურ კორტზე რუსი **ელენა დემენტიევასა** და იტალიელი ფრანჩესკა სკიავონეს ნახევარფინალით გაიხსნა. მეტოქეები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, რადგან ეს მათი მე-11 დაპირისპირება იყო.



იტალიელმა მოიგო სასტარტო გეიმი, რის შემდეგაც მეტოქის სამ მომდევნო მოწოდებაზე თითო ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ დემენტიევამ აქტიური თამაშით სამივე შემთხვევაში შეძლო თავის დაძვრენა და ანგარიშის გათანაბრება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსი სეტის პირველ ნახევარში საკმაოდ ხშირად ცდებოდა და მისი თამაში სტაბილურობით არ გამოირჩეოდა, ფრანჩესკა კი თავის მოწოდებაზე მეტად დამაჯერებლად გამოიყურებოდა და შანსს არ აძლევდა მეტოქეს. ასე გრძელდებოდა მეშვიდე გეიმამდე. სწორედ ამ მომენტში სკიავონეს პირველი მოწოდება გაუფუჭდა, მეორეს რბილად აწოდებდა და დემენტიევა წარმატებით იწყებდა კონტრშეტევებს. ამის წყალობით ელენამ ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და მაშინვე გამოიყენა შანსი.

შემდეგ გეიმში დემენტიევამ 40:15 დაწინაურდა და წესით ანგარიში 5:3 უნდა გამხდარიყო მის სასარგებლოდ. და მოულოდნელად, რუსმა ზედიზედ დაიწყო შეცდომების დაშვება (აქედან ორი ორმაგი შეცდომა გახლდათ). ანგარიში გათანაბრდა - 4:4. ამის შემდეგ ჩოგბურთელები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს და სეტის ლოგიკური დასასრული გახდა ტაი-ბრეიკი. „შემოკლებული გეიმი" დემენტიევამ მინი-ბრეიკით დაიწყო, შემდეგ თავისი მოწოდებაც მოიგო და 2:0 დაწინაურდა. და ისევ, რუსმა შეცდომებს მოუხშირა, რასაც სკიავონეს მხრიდან ზედიზედ ექვსი გათამაშების მოგება მოჰყვა. იტალიელმა ოთხი მატჩბოლი მიიღო და მეორე ცდაზე მიაღწია მიზანს. პირველი სეტი საათსა და ცხრა წუთს გაგრძელდა - 7:6(7:3) ფრანჩესკას სასარგებლოდ.

მეორე სეტის დაწყებამდე აპენინელი სულის მოსათქმელად სკამზე დაჯდა. ამ დროს მას დემენტიევა მიუახლოვდა, რაღაც უთხრა მეტოქეს, რის შემდეგაც მთავარ მსაჯს ხელი ჩამოართვა და აცრემლებულმა დატოვა კორტი.

უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი სლემის" ტურნირებზე 12-წლიანი გამოსვლის განმავლობაში ელენა დემენტიევამ პირველად ვერ დაასრულა მატჩი საკუთარი ინიციატივით. პრესკონფერენციაზე რუსმა ამ გადაწყვეტილების მიზეზი ახსნა: *„შეხვედრა ფეხის ტკივილის გამო შევწყვიტე. ეს ტრავმა ადრეც მაწუხებდა, მაგრამ დღეს ტკივილი განსაკუთრებულად ძლიერი იყო. კორტზე სიარულიც კი მიჭირდა. უსიამოვნო შეგრძნებები ჯერ კიდევ მეორე მატჩში დაიწყო, ამ თამაშში კი ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთული იყო. სხვათა შორის, მესამე წრეში ალექსანდრა ვოზნიაკთან მატჩშიც ვაპირებდი თამაშის მიტოვებას. რატომ არ გამოვიძახე ექიმი? გაგიმეორებთ, რომ ტკივილი ძალიან ძლიერი იყო, ნორმალურად გადაადგილება არ შემეძლო. აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა".*

სკიავონეს ისღა დარჩენოდა, თანაგრძნობა გამოეხატა მეტოქის მიმართ: *„არ ვიცი, რა მოხდა. სკამზე ვიჯექი, როცა მომიახლოვდა და მითხრა: „ბოდიში, თამაშს ვერ გავაგრძელებ". მეტის არაფრის თქმა არ შემიძლია. იმედი მაქვს, ელენას ყველაფერი კარგად ექნება".*

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დემენტიევამ, შესაძლოა, უიმბლდონზე ვერ შეძლოს თამაში.

ფინალში სკიავონეს მეტოქე ავსტრალიელი სამანტა სტოსურისა და სერბი **ელენა იანკოვიჩის** მატჩში ირკვეოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტოსური ამ ტურნირზე საუკეთესო თამაშს აჩვენებს. მან გუშინდელ შეხვედრაში დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ დაუმარცხებია **ჟუსტინ ანენი** და **სერენა უილიამსი**. ამ ჩოგბურთელებთან ურთულესი მატჩების შემდეგ, სამანტამ გუშინ იანკოვიჩთან შეხვედრა ვარჯიშად აქცია - სერბი ერთ საათში იქნა განადგურებული.

პირველ სეტში ბრძოლა არ შედგა. იანკოვიჩს ერთი „ვინერსიც" არ გაუკეთებია და 11 უნებლიე შეცდომა დააგროვა. მთელი თამაში ავსტრალიელს მიჰყავდა და სეტის ანგარიშიც ლოგიკური გამოდგა - 6:1. მეორე პარტიაში ელენამ თითქოს მოახერხა თამაშში ჩართვა. მან 2:0 წაიყვანა ანგარიში, მესამე გეიმში კი 40:15 დაწინაურდა და აქედან მოყოლებული ისევ „ძილს მიეცა". სტოსურმა ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო და ფინალის საგზური მოიპოვა.

გახარებულმა ავსტრალიელმა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი გრძნობები: *„ვერ ვიჯერებ, რომ როლან გაროსის ფინალში გავედი. ამ მატჩში ჩემი ამოცანა თამაშზე კონტროლის დაწესება იყო, აქტიურად უნდა მემოქმედა და ელენასთვის ფიქრის დრო არ უნდა მიმეცა. არ მეგონა, თუ ასე კარგად აეწყობოდა ყველაფერი. ჩემთვის ეს უდიდესი მიღწევაა, მაგრამ წინ ფინალი მელის".*

ორშაბათს, WTA-ის ახალ რეიტინგში სკიავონე და სტოსური მეექვსე-მეშვიდე ადგილებს გაიყოფენ. უფრო მაღლა ის აღმოჩნდება, ვინც გადამწყვეტ მატჩს მოიგებს.

გუშინვე როლან გაროსზე პირველი გამარჯვებული გაირკვა. შერეულ წყვილთა თანრიგში პირველობა მოიპოვეს სლოვენიელმა **კატარინა სრებოტნიკმა** და სერბმა **ნენად ზიმონჯიჩმა**, რომლებმაც საჩემპიონო ტაი-ბრეიკში დაამარცხეს **იაროსლავა შვედოვასა** (ყაზახეთი) და **იულიან ნოულის** (ავსტრია) დუეტი - 4:6, 7:6(5), 11:9.

**ქალები**

**1/2 ფინალი**

**სამანტა სტოსური** (ავსტრა, 7)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 4) 6:1, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტა, 17)-ელენა დემენტიევა (რუს, 5) 7:6(3) დემენტიევას უარი.



მსოფლიოს მე-14 ჩოგანი **ფერნანდო გონსალესი** მარცხენა მუხლის ტრავმის გამო ვერ შეძლებს უიმბლდონზე თამაშს. როლან გაროსიდან გავარდნის შემდეგ ჩილელმა ჩოგბურთელმა სამედიცინო შემოწმება ჩაიტარა, რომელმაც კუნთის ანთება დაადასტურა. სავარაუდოდ, აღდგენითი პროცესი რვა კვირა გაგრძელდება, რაც ეჭვქვეშ აყენებს გონსალესის თამაშს დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელშიც ჩილე ჩეხეთის ნაკრებს ხვდება.

*„გონსალესს ორივე მუხლთან დაკავშირებით დიდი ხანია პრობლემები აქვს. ამიტომაც ექიმებმა მას დასვენება გამოუწერეს. აუცილებელია 4-8 კვირა ფიზიკურ დატვირთვაზე უარის თქმა. ასე რომ, გამოირიცხა უიმბლდონზე თამაში. თუ მას გამოჯანმრთელება სურს, დროებით სპორტულ მიზნებზე არ უნდა იფიქროს",* - ამბობს ექიმი **რობერტო იანიესი**.

# გონსალესი უიმბლდონს გამოტოვებს...

დევისის თასზე არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **მოდესტო ვასკესმა** რუსეთთან მეოთხედფინალური მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. შეხვედრა 9-11 ივლისს მოსკოვში გაიმართება.

არგენტინელთა შემადგენლობაში ვერ მოხვდა ნაკრების პირველი ნომერი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელიც მაჯაზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის. მის გარეშე არგენტინის შემადგენლობა ასე გამოიყურება: **დავიდ ნალბანდიანი** (149-ე ჩოგანი), **ხუან მონაკო** (25), **ლეონარდო მაიერი** (44), **ორასიო სებალიოსი** (45), **ედუარდო შვანკი** (64) და **ფედერიკო დელბონისი** (138).

მომავალ მეოთხედფინალში ნალბანდიანისა და მონაკოს თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან მათ ტრავმები აწუხებთ. არგენტინის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა მატჩამდე ორი დღით ადრე გახდება ცნობილი.

მერვედფინალში არგენტინამ შვედეთს მოუგო, რუსეთმა - ინდოეთს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — ევროპული ამბები

# პაოს სტოიაკოვიჩი უნდა




ევროპულ დაიჯესტს „ვალენსიაზე“ ცნობებით დავიწყებთ, რომელმაც, როგორც იქნა, ახალი მწვრთნელი იპოვა. ვის აღარ უშვებდნენ ამ კლუბში - **ველიმირ პერასოვიჩს, დევიდ ბლატს** ან **სერჯო სკარიოლოს**, ყველაფერი კი ძალიან მარტივი აღმოჩნდა: გუნდის ახალი დამრიგებელი გახდა **მანუელ ჰუსეინი**. ვინ არის ეს სპეციალისტი? ის არაბი არ გეგონოთ, ნამდვილი ესპანელია, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა 26 წლის ასაკში დაიწყო. მანოლო ყველაზე მეტად „გრან კანარიასა“ (1995-2002) და „მურსიაში“ (2005-09) მუშაობით არის ცნობილი. ტიტულები არ გააჩნია.

„ვალენსიას“ ძველი მწვრთნელი **ნევენ სპაჰია** კი ჯერ ვერ გაერკვია თავის მომავალში. ახალი ჭორის მიხედვით, მას თურქეთის „ეფეს პილსენში“ ეძახიან, რომელიც გაისად ევროლიგის მონაწილე იქნება, რაც ხორვატი სპეციალისტის ერთ-ერთი პირობაა. საერთოდ, „ეფესისა“ და სპაჰიას ალიანსი სავსებით შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ გუნდის ამჟამინდელი დამრიგებელი **ენგინ ათამანი** თურქულ გრანდს მოკრძალებული შედეგების გამო დატოვებს - როგორც ჩანს, „ეფესი“ წელს ტიტულის გარეშე დარჩება.

კიდევ ერთ სამწვრთნელო დანიშვნაზე ჩვენ უკვე ვწერდით. საქმე ეხება ლიტვის ჩემპიონ „ლეტუვოს რიტასიდან“ **რიმას კურტინაიტისის** წასვლასა და მის ნაცვლად **დრაჟენ ანზულოვიჩის** მიწვევას. ახალმა მწვრთნელმა უკვე მოხაზა მომავალი საკადრო პოლიტიკა. ხორვატი სპეციალისტი გუნდიდან ხუთი მოქმედი ჩემპიონის გაშვებას აპირებს. ესენი არიან: **არონ ბეინსი, სტეპას ბაბრაუსკასი, დონატას ზავაცკასი, ვიდას გეჩევიჩუსი** და **იუსტას სინიცა**. მათ ნაცვლად მწვრთნელი შემტევი მცველისა და ცენტრის მიწვევას აპირებს, რა თქმა უნდა, ორივე ლეგიონერს.

■ ■ ■

საინტერესო ამბები ვრცელდება საბერძნეთიდან. მიმდინარე სეზონის ფინალური სერიის მონაწილეები - „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ უკვე ზრუნავენ მომავალი წლისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე. პირველ რიგში ეს „პანათინაიკოსს“ ეხება, რომელმაც წელს ევროსეზონი ჩააგდო. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, „პაო“ დაინტერესდა „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ სერბი ლეგიონერით **პეჟა სტოიაკოვიჩით**, რომელსაც კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს ამერიკულ კლუბთან. თუ ეს ტრანსფერი შედგება, სერბი საბერძნეთში ლეგიონერად არ ჩაითვლება, რადგან 1994-98 წლებში პაოკში თამაშისას პეჟამ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო.

რაც შეეხება „ოლიმპიაკოსს“, აქ ლაპარაკია არა პოტენციურ ახალბედებზე, არამედ წამსვლელებზე. საქმე ისაა, რომ „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მთავარი მწვრთნელი ევროპაში ტურნეს აწყობს და ბუნებრივია, პერიოდულად საკალათბურთო მატჩებსაც ესწრება. ასე მაგალითად, **რემბისმა** მადრიდში შეიარა და მაშინვე ალაპარაკდნენ „მინესოტას“ ინტერესზე **ტომიჩის** მიმართ, საბერძნეთში მოგზაურობის შემდეგ კი გაირკვა, რომ „მგლების“ დამრიგებელი „ოლიმპიაკოსის“ ლიდერებით - **ჯოშ ჩილდრესით, ნიკოლა პეკოვიჩითა** და **ლინას კლეიზათი** დაინტერესდა. რემბისმა დაადასტურა ჩამოთვლილი კალათბურთელის დაკვირვების ფაქტი და იქვე დაამატა, რომ ამ მოთამაშეებით მაშინ დაინტერესდება, როცა ოდესმე NBA-ში დაბრუნებას მოისურვებენ.

# კრუიჟევსკის NBA არ აინტერესებს



ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ**, რომელიც საკლუბო დონეზე მრავალი წელია დიუკის უნივერსიტეტის გუნდში მუშაობს, კიდევ ერთხელ უარყო NBA-ში კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა. მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში კრჟიჟევსკის სავარაუდო გამოჩენის შესახებ ცნობები პერიოდულად ჩნდება პრესაში. მაგალითად, არაოფიციალური ინფორმაციით, შარშან მაიკმა უარყო „ლეიკერსის“ 40-მილიონიანი წინადადება. მაშინ კალიფორნიული კლუბი **ფილ ჯექსონის** შემცვლელს ეძებდა, რადგან სახელოვან მწვრთნელს პენსიაში გასვლა ჰქონდა განზრახული.

ახლა კრჟიჟევსკის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ასახელებენ „ნიუ ჯერსის“ ან „კლივლენდის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. „კავალიერსის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მაიკი შეძლებს კლუბის ჩემპიონობამდე მიყვანას, რადგან ამერიკის ნაკრებში მოღვაწეობისას მას შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა კლუბის მთავარ ვარსკვლავთან - **ლებრონ ჯეიმსთან**. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცნობებიც არ შეესაბამება სინამდვილეს.

*„არასოდეს მქონია ამ გუნდების გაწვრთნის პრეტენზია. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჟურნალისტები ჩემს სახელს ამ კონტექსტში ახსენებენ, მაგრამ ეს სამუშაო არ მაინტერესებს. ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ დიუკში ყველაფერი მაწყობს. აქ ბედნიერი ვარ“*, - განაცხადა მაიკ კრჟიჟევსკიმ ESPN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჭადრაკი

# კარპოვს პრეზიდენტი უჩივის



ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** სასამართლოში უჩივლა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, რუს **ანატოლი კარპოვს**. პრეზიდენტმა სასამართლოს კარპოვის განცხადების გამო მიმართა - დიდოსტატმა ფედერაცია და მისი პრეზიდენტი კორუფციაში დაადანაშაულა.

ილუმჟინოვის თქმით, კარპოვმა ან უნდა წარმოადგინოს კორუფციის დამამტკიცებელი ფაქტები ან ცრუ ბრალდებისთვის შესაბამისი სასჯელი უნდა მიიღოს.

2010 წლის სექტემბერში რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. მარტში კარპოვმა ამ პოსტის დაკავების სურვილი გამოთქვა და საარჩევნო კამპანიაც წამოიწყო. კორუფციული სკანდალების შესახებ, რომელიც ფედერაციაში ილუმჟინოვის საქმიანობით არის გამოწვეული, კარპოვმა აპრილში აუწყა საზოგადოებას. კერძოდ, მოჭადრაკე ამბობს, რომ სწორედ პრეზიდენტია დამნაშავე იმაში, რომ ტურნირების ჩასატარებლად სპონსორების მიწვევა შეუძლებელი გახდა.

თავის წინასაარჩევნო პროგრამაში კარპოვმა დაწერა, რომ მხოლოდ ფედერაციის ხელმძღვანელობის მთლიანად შეცვლა გამოიწვევს საერთო სიტუაციის გაუმჯობესებას. აპრილში რუსეთის ჭადრაკის ფედერაციამ ილუმჟინოვს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, რის გამოც მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ესპანეთი-ს. კორეა | 1:0 |
| იტალია-მექსიკა | 1:2 |
| გერმანია-ბოსნია | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მიონდალენი-სარპსბორგი | 3:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| ჰამარბიუ-ტრელებორგი | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-სკაილაინ. | 52:56 (ო) |
| **იტალია** | |
| სიენა-კანტუ | 104:74 |

## TV პროგრამა

**4 ივნისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
**09:05** 2:1 - საფეხბურთი ტოქ შოუ.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
**12:00** ახალი ამბები.
**14:05** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.
**15:50** ახალი ამბები.
**16:05** 2:1 - საფეხბურთი ტოქ შოუ.
**17:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ვოლფსბურგი.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ფიორენტინა.
**20:45** ახალი ამბები.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**22:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**23:50** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
**01:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-მარსელი.
**03:40** 2:1 - საფეხბურთი ტოქ შოუ.
**04:40** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.

**EUROSPORT**

**10:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**11:45** ჩოგბურთი. როლან გაროსი. 1/2 ფინალი.
**14:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**15:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. 1/2 ფინალი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**20:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**20:40** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**21:45** პროფესიული კრივი.
**22:15** პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კ. აირიხი (გერმანია)-ა. კალი (გერმანია). გერმანია (LIVE).
**00:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა.
**01:15** ბოულინგი. PBA. ტელეჟურნალი.
**02:15** ჩოგბურთი. როლან გაროსი. 1/2 ფინალი.
**03:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.

## ამბები

**კალათბურთი**

### ევანსს სასამართლო ელის

წლევანდელ სეზონში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო დებიუტანტი, „საკრამენტო კინგზის“ მცველი **ტაირიკ ევანსი** აგვისტოში სასამართლოს წინაშე წარსდგება. კალათბურთელს ბრალად ედება მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვა.

ვერტმფრენიდან გადაღებული ვიდეომასალის მიხედვით, ევანსის ავტომობილი საათში 160 კილომეტრის სიჩქარით მიქროდა. ტაირიკმა უკვე აღიარა დანაშაული, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ვიდეომასალის შესწავლის შემდეგ მას დამატებითი ბრალდებებიც წაუყენონ.

**ჩოგბურთი**

### ბოდე მილერი აშშ-ის ღიაზე?

სახელგანთქმული ამერიკელი სამთო-მოთხილამურე **ბოდე მილერი** ჰავაიზე რეგიონალურ საჩოგბურთო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრება ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო შერჩევის ერთ-ერთი ეტაპი გახლავთ.

ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კარგა ხნის წინ განაცხადა, რომ ჩოგბურთი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ხოლო ეს ტურნირი მას მძიმე ოლიმპიური სეზონის შემდეგ ფიზიკური ფორმის აღდგენაში დაეხმარება.

16 შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული აგვისტოში ეროვნულ კვალიფიკაციაში ითამაშებს და საუკეთესოები „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირის - ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში მოხვდებიან.

**მძლეოსნობა**

### ბოლტი 8 ივლისამდე დაისვენებს

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** ტრავმის გამო გამოტოვებს „ბრილიანტის ლიგის“ ეტაპს, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართება. როგორც იამაიკელი სპრინტერი ამბობს, ის ამ პრესტიჟულ სერიაში გამოსვლას 8 ივლისს განაახლებს, როცა მორიგ ეტაპს შვეიცარიის ქალაქი ლოზანა უმასპინძლებს.

შვეიცარიაში ბოლტი 200 მეტრს გაირბენს. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ უსაინის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ის მოასწრებს ლოზანას ეტაპისთვის კარგად მომზადებას. შეგახსენებთ, რომ იამაკელმა სეზონი აქილევსის მყესის ანთების გამო შეწყვიტა. ექიმებმა სპრინტერს სამკვირიანი დასვენება გამოუწერეს.

**ჰოკეი**

### მელოუნი საუკეთესო მენეჯერია

ამ სეზონში ჰოკეის ეროვნული ლიგის საუკეთესო ხელმძღვანელად „ფინიქს სანზის“ გენერალური მენეჯერი **დონ მელოუნი** დასახელდა.

წელს მელოუნიმ რამდენიმე ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის ერთ-ერთი იყო მთავარ მწვრთნელად **დეივ ტიპეტის** დანიშვნა, რომელმაც 2002 წლის შემდეგ პირველად გაიყვანა გუნდი პლეი ოფში. „კოიოტზმა“ საკლუბო რეკორდი დაამყარა რეგულარულ სეზონში გამარჯვებების რაოდენობით.

გარდა ამისა, მელოუნიმ სეზონის წინ წარმატებული სასელექციო სამუშაო ჩაატარა, როცა კონტრაქტები გააფორმა **რადიმ ვრბატასთან, ჯიმ ვანდერმეერთან, ადრიან ოკუანთან, ტეილორ პიატთან** და **რობერტ ლანგთან**.

ეს მენეჯერი „ფინიქსში“ 2007 წლის მაისში მივიდა, მანამდე კი ცხრა წელი „ნიუ იორკ რეინჯერსში“ იმუშავა.

გამოკითხვაში მონაწილეობდა ლიგის 30 კლუბის გენერალური მენეჯერი, NHL-ის ხელმძღვანელობა და პრესის წარმომადგენლები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# არასტანდარტული ადამიანი

## რაჟონ რონდოს მაიკლ ჯორდანის თამაში არასოდეს უნახავს, კალათბურთისთვის თვალის დევნება კი მოსაწყენ საქმედ მიაჩნია



**რაჟონ რონდო** - არასტანდარტული ადამიანია. ის მხოლოდ 24 წლისაა, მაგრამ უკვე მოასწრო NBA-ის საჩემპიონო ბეჭდის მოგება, თანაც „სელტიქსის" ძირითადი გამთამაშებლის რანგში. ახლა კი ის გუნდის ლიდერად ითვლება და მეორე ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას.

SLAM Online-მა „ლეიკერსთან" ფინალური სერიის წინ ინტერვიუ ჩამოართვა რონდოს, რომელმაც მეტად უცნაური საიდუმლო გაანდო ჟურნალისტს - მას თურმე არასოდეს უნახავს, როგორ თამაშობდა მაიკლ ჯორდანი. უფრო მეტიც, ის პირველად NBA-ის მატჩს ოთხი (!) წლის წინ დაესწრო, ისიც მეგობრის მიპატიჟებით. და კიდევ, რადონი თავს საუკეთესო გამთამაშებლად მიიჩნევს.

**- „ბოსტონისა" და „კლივლენდის" სერიის მეორე მატჩის შემდეგ, რომელშიც თქვენ 19 შედეგიანი პასი გააკეთეთ, ჩარლზ ბარკლიმ, ვინც ახლა ტელევიზიაში ანალიტიკოსად მუშაობს, საუკეთესო გამთამაშებლების რიცხვში არ შეგიყვანათ.**

- დიახ, ამის შესახებ მეც გავიგე.

**- ბარკლიმ საუკეთესოდ დერონ უილიამსი დაასახელა, მეორე ადგილზე კრის პოლი დააყენა, მესამეზე - დერიკ როუზი.**

- ბარკლს შეუძლია, რაც სურს ის ილაპარაკოს.

**- თავად თქვენ რომელ ადგილზე დააყენებდით საკუთარ თავს?**

- პირველზე. მიმაჩნია, რომ ჩემს საქმეში საუკეთესო ვარ. ძალიან კარგად ვთამაშობ და საქმეს სერიოზულად ვეკიდები. მომწონს მოედანზე ჩამოთვლილი მოთამაშეების წინააღმდეგ თამაში. შეიძლება ეს არაობიექტურად ჟღერს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ საუკეთესო ვარ.

**- ამგვარი აზრები უკეთ თამაშში გეხმარებათ?**

- ჩემი აზრით, კარგ კალათბურთს მაშინ ვთამაშობ, როცა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ვიმყოფები. მაგრამ მე ყოველთვის მცველად ვრჩები, რომლის მთავარი მოვალეობა პასების დარიგებაა. უილიამსი, როუზი და პოლი იძულებულნი არიან, შეტევისთვის თავად შეიქმნან შესაძლებლობა და გუნდის თამაში მთლიანად საკუთარ თავზე აილონ. მე კი საუკეთესო პირველი ნომრების რეიტინგში იმიტომ არ შევყავართ, რომ ჩვენს გუნდში არის „დიდი ტრიო" - გარნეტი, ალენი და პირსი. დარწმუნებული ვარ, პროგრესს გავაგრძელებ და ყოველთვის გავიმეორებ - მე საუკეთესო ვარ.

**- წელს თქვენ დებიუტი გქონდათ „ყველა ვარსკვლავის მატჩში"...**

- დიახ, მაგრამ ზოგიერთმა ადამიანმა არ იცის, რომ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი.

**- იმ შეხვედრაში არცთუ ისე ცუდად გამოიყურებოდით...**

- მართალი ხართ, მაგრამ ჩვენთან გამთამაშებელი ლებრონ ჯეიმსი იყო, მე კი უბრალოდ მის გვერდით ვიდექი.

**- რა მომენტში იგრძენით, რომ თქვენგან მაღალი კლასის კალათბურთელი დადგებოდა?**

- ოუკ-ჰილის სკოლაში ვსწავლობდი, საიდანაც ჯოშ სმიტი კოლეჯის გვერდის ავლით პირდაპირ NBA-ში გაემგზავრა. მაშინ მივხვდი, რომ თუ ის ასოციაციაში თამაშს შეძლებდა, მაშინ მეც მოვახერხებდი იმავეს გაკეთებას. მე და ჯოშს სკოლაში თითქმის ერთნაირი სტატისტიკა გვქონდა, თუმცა სხვადასხვა პოზიციაზე ვთამაშობდით. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი, კარგად ვთამაშობდი ქვეყნის ყველაზე სახიფათო მცველების წინააღმდეგ, მაგალითად შემიძლია დავასახელო სებასტიან ტელფეირი და შონ ლივინგსტონი. გარდა ამისა, მონდომებით ვმუშაობდი.

**- როგორც ამბობენ, ოუკ-ჰილში სწავლა კოლეჯში გადასვლის გარანტიაა...**

- პირველი ორი თვე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული იყო. მე ხომ იქ არავის ვიცნობდი. ფულიც არ მქონდა და თავიდან საერთო საცხოვრებელში ჩემს კონკურენტთან მარკუს ნიქსთან ერთად ვცხოვრობდი. შემდეგ ჯოშ სმიტთან შემასახლეს და მას შემდეგ დიდი მეგობრები ვართ.

**- 2006 წელს დრაფტზე „ფინიქსმა" აგირჩიათ, რომელმაც მაშინვე „ბოსტონში" გაგიშვათ. ოდესმე გიფიქრიათ იმაზე, როგორ წარიმართებოდა თქვენი კარიერა „სანზში"?**

- ჩემპიონი ვერ გავხდებოდი და საერთოდ, თადარიგში ვიქნებოდი (იცინის). რა თქმა უნდა, კალათბურთის შესწავლას გავაგრძელებდი, მაგრამ სათამაშო პრაქტიკით გამოცდილების მიღება უკეთესი ვარიანტია. სტივ ნეშის შემცვლელის როლი საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის უფრო სასარგებლოა რეგულარულად მოედანზე გასვლა და მწვრთნელ რივერსის ხელმძღვანელობით თამაში, რადგან ისიც გამთამაშებლის პოზიციაზე მოქმედებდა.

**- ლიგაში მისვლის შემდეგ დაემთხვა თუ არა თქვენი მოლოდინი რეალობას?**

- არ ვიცოდი რა მელოდა. სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში NBA-ის ფანი არ ვყოფილვარ. თამაშებს არასოდეს ვუყურებდი - არც ცოცხლად და არც ტელევიზიით. უბრალოდ ვიცოდი, რომ იქ შეკრებილნი არიან საუკეთესოებს შორის საუკეთესოები, ამიტომაც ყოველთვის მინდოდა მათ რიგებში მოხვედრა.

**- რომელი გუნდი იყო ყველაზე ახლოს თქვენს მშობლიურ ლუისვილთან?**

- „ინდიანა". ინდიანაპოლისიდან ლუისვილამდე მანქანით საათ-ნახევრის გზაა. მიუხედავად ამისა, „პეისერსის" მატჩს არასოდეს დავსწრებივარ.

**- საერთოდ ესწრებოდით NBA-ის შეხვედრებს „ბოსტონთან" კონტრაქტის გაფორმებამდე?**

- პირველად მატჩს 2006 წელს, დრაფტამდე ერთი თვით ადრე დავესწარი. დერეკ ანდერსონმა დამპატიჟა და პლეი ოფში „მაიამის" თამაში ვნახე. იმ წელს ფლორიდელები ჩემპიონები გახდნენ. ტელევიზორში კი NBA-ის მატჩი პირველად მაშინ ვნახე, როცა უნივერსიტეტის პირველ კურსზე ვიყავი. ძალიან მინდოდა ლიგაში მოხვედრა, მაგრამ მისთვის თვალის მიდევნება მოსაწყენი იყო.

**- უცნაური აღიარებაა. თქვენი ასაკის ბიჭების უმრავლესობისთვის საყვარელი კალათბურთელი აუცილებლად 90-იანი წლების დასაწყისში NBA-ში თამაშობდა.**

- დიახ, მაგრამ მე არც ერთ ასეთ კალათბურთელს არ ვიცნობ. და ამის გამო ხშირად კევინ გარნეტის დაცინვის ობიექტი ვარ, სხვა თანაგუნდელებიც არ ჩამორჩებიან მას. მაგრამ მე მართლაც არასოდეს მინახავს, როგორ თამაშობს მაიკლ ჯორდანი. უბრალოდ, არ ვუყურებდი მის მატჩებს.

**- გამოდის, კევინ გარნეტის თამაშიც არ გინახავთ?**

- არასოდეს.

**- არ მიგაჩნიათ, რომ ამის გამო თქვენი სათამაშო თვისებები დაზარალდა?**

- არა. ზოგიერთი ცდილობს თავის საყვარელ კალათბურთელს მიბაძოს, მაგრამ მე ეს არ მახასიათებს.

**- ამავდროულად, თქვენ იყენებთ ფინტს, რომელიც პასის იმიტაციაში მდგომარეობს. ის ჰაკიმ ოლაჟუონმა მოიგონა და მას „ჰაკიმის ჯადოსნური ფინტი" ჰქვია.**

- იგივე მითხრა კევინ გარნეტმა, მაგრამ ჩემთვის ეს სულერთია. ოლაჟუონის თამაში ცხოვრებაში არ მინახავს, შესაბამისად, არც მისი ფინტი ვიცი. მე ამ ელემენტს „რონდოს ფინტს" ვეძახი.

**- რთული იყო გარნეტთან, პირსთან და რეი ალენთან შეთამაშება?**

- ადამიანების მიმართ მოწიწების გრძნობა არასოდეს მქონია. არასოდეს მიფიქრია, რომ სუპერვარსკვლავების გვერდით ვთამაშობ. ხელმძღვანელობას შემთხვევით არ დავუტოვებივარ გუნდში მაშინ, როცა შვიდი ადამიანი ჩართეს ტრეიდში. მე რომ ჩემი სამუშაო ცუდად შემესრულებინა, ძალიან სწრაფად მომიშორებდნენ თავიდან. ეს ბიზნესია. მე მათ პატივს ვცემ, ისინი - მე. ჩემს თავში კი დარწმუნებული ვარ.

**- გასულ წელს გენერალური მენეჯერი დენი ეინჯი პრესის მეშვეობით გაკრიტიკებდათ. მაშინაც მიგაჩნდათ, რომ ეს ბიზნესია?**

- დიახ. მე უნდა გადამელახა ეს სირთულეები. მეგონა, რომ პლეი ოფი ცუდად არ გავიარეთ, მაგრამ ხელმძღვანელობას სხვა აზრი ჰქონდა.

**- მიგაჩნიათ თქვენი თავი მნიშვნელოვან მოთამაშედ?**

- მნიშვნელოვანი მოთამაშე ვარ. როგორ ამბობს შაკი? - მე ვარ უმაღლესი დონის უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

**- მალე სუპერვარსკვლავის სტატუსით ისარგებლებთ...**

- მე ეს არ მაღელვებს. საჭიროა გავხდე სუპერვარსკვლავი? გავხდები. მთავარია სარგებლობა მოვიტანო მოედანზე და მუდმივად პროგრესი მქონდეს.

**- არ გინდათ, რომ მთელი მსოფლიო სუპერვარსკვლავად გიცნობდეთ?**

- ამის გარეშეც ნორმალურად ვგრძნობ თავს. არ მინდა ბოსტონის ქუჩებში ყველა აფიშიდან მე ვიცქირებოდე და „სელტიქსის" სახე ვიყო.

**გია თვალაბეიშვილი**




28 მაისიდან




95 წლის ვეტერანის წერილი პრეზიდენტს

ყმაწვილო, გთხოვთ ყურად იღოთ ერთი ბეხრეკი კაცის რჩევა...

...განადგურებული და აღშფოთებული ვარ, არ მსურს ჩემი ქვეყანა ჩემზე ადრე მოკვდეს, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ ტყავიდან ძვრებით ისე ცდილობთ, რომ ეს უბედურება რაც შეიძლება მალე მოხდეს...

...ვფიქრობ და ვერ გამიგია, რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანდებით? მთელ მსოფლიოში დაფრინავთ და ჩვენს მტერ-მოყვარესთან უბადრუკ აზრებს აფრქვევთ...

...სრულად იხილეთ ჟურნალში

ტანკები აფხაზეთის ომში

უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „გეკოს" ვაზნებით

რუსული არმიის ფსიქოლოგიური მზადება ახალი ომისთვის?

ვინ იყო ჰუგო შმაისერი?..

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის